Необходимо отметить, что вообще в посевных отделениях, являясь мелколистность проявляется с опозданием — в конце вегетации — и процент заболевания гораздо меньше, чем на плантациях. Это, по-видимому, объясняется тем, что переносчик инфекции в естественных условиях в течение одного вегетационного сезона (4 месяца) не успевает заразить растение или же растение уже инфицировано, но болезнь находится в латентной форме, и в связи с окончанием вегетационного сезона и с наступлением холодов она не успевает проявиться. Поэтому необходимо наблюдения продолжать.

В таблице 2 приводятся предварительные данные по заболеваемости окулянтов в школе саженцев.

Таблица 2
Учет заболеваемости окулянтов на разных подвоях
(1971 г.)

№	Происхождение подвоя	% заболевших окулянтов		% развития болезни	
		п р и в о й			
		Грузия	Ошима	Грузия	Ошима
Подвой свободного опылен.					
1.	Грузия	43,9	25,2	21,9	12,6
2.	Кутатури	12,5	11,8	6,2	5,9
3.	Кокус-13	8,0	7,7	2,7	2,6
4.	Русская	11,1	6,6	5,6	2,2
5.	ПС-5	0	0	0	0
6.	Татарика	0	0	0	0
7.	ЛУ	0	0	0	0
Подвой гибр. происход.					
8.	Грузия х Гибр. 2	29,6	16,6	14,8	8,3
9.	Кутатури х Гибр. 2	4,0	2,6	1,3	0,9
10.	Кутатури х №2, № 29, № 5	10,0	10,0	3,3	3,3
11.	Кутатури х Ошима	5,0	0	1,7	0
12.	Кутатури х № 2, № 29, Ошима	6,5	0	2,2	0
13.	Кокус-13 х Гибр. 2	0,8	0,8	0,3	0,3
14.	Татарика х Гибр. 2	0	0	0	0
15.	Японский х Гибр. 2	0	0	0	0

Как видно из таблицы 2, для обоих сортов самыми устойчивыми подвоями свободного опыления оказались потомства Татарика, Лу и ПС-9, а из гибридных комбинаций — Татарика×Гибрид-2, Японский×Гибрид-2. Самым восприимчивым подвоем к заболеванию оказалось потомство сорта Грузия.

При сравнении между собой гибридного и полученного от свободного опыления подвойного материала отмечается отчетливая разница



в заболеваемости. В частности, во всех случаях более высокий процент заболеваемости окулянтов отмечается при окулировке выращенных из семян свободного опыления, чем на происхождении. Так, например, на подвойном материале сорта Грузия гибридного происхождения процент зараженности равняется у окулянтов сорта Грузия 29,6, а у сорта Ошима — 16,6, на подвоях же, выращенных из семян свободного опыления — 43,9% (Грузия) и 25,2% (Ошима). Соответственно такая же разница получена и при других подвоях.

Из таблицы 2 также видно, что как восприимчивый, так и устойчивый к заболеванию сорта на разных подвоях проявляют заболеваемость разной интенсивности. Так, при окулировке глазками сорта Грузия на разных подвоях заболевание вовсе не отмечалось на подвоях потомства Татарика, ПС-9 и Лу, а на подвое сорта Грузия оно достигало 43,9%. Аналогичная картина получена и при окулировке устойчивым сортом Ошима.

В таблице 3 приведены средние трехгодичные данные заболеваемости неокулированного подвойного материала гибридного происхождения и полученных от семян свободного опыления.

Как видно из таблицы 3, за 3 года наибольшей устойчивостью выделяются подвои, полученные от свободного опыления сортов Иверия, Татарика, Пендула и ПС-9, у которых процент зараженности варьирует от 8,7 до 11,9%, а у гибридных комбинаций наибольшей устойчивостью выделяются Пендула×Татарика и Татарика×Гибрид-2.

В таблице привлекает внимание тот факт, что заболеваемость разных комбинаций по годам сильно варьирует. Так, если процент зараженности по всем комбинациям в 1969 году в среднем равнялся 33,3, то в 1970 году был 9,4%.

Кажущееся выздоровление характерно для данной болезни, известное в литературе. Часто у сильно болеющих растений в последующие годы болезнь переходит в скрытую, латентную форму и внешних ярких симптомов болезни не выявляют, а при соответствующих условиях для развития болезни (метеорологические, агротехнические) она проявляется с новой силой, как в нашем опыте на 3-ий год наблюдений. Так, у сорта Грузия, если в 1969 г. процент зараженности был 45,2, то в 1970 г. — 19,6, а в 1971 году составил 62,8. Или же у потомства Кутаури×№ 29, где в зараженности по годам наблюдается закономерное уменьшение проявления внешних признаков болезни—соответственно по годам — 50,9, 4,3 и 0,0%.

Из вышесказанного можно сделать следующие предварительные выводы:

1. Наиболее устойчивыми являются подвои гибридного происхождения Татарика×Гибрид-2 и Японский×Гибрид-2, а у свободно опыленного потомства — ПС-9, Татарика и Лу.

Средний процент зараженности неокулированных подвоев в школе саженцев

№	Происхождение	% зараженности			Среднее да в %
		1969	1970	1971	
Свободное опыление					
1.	Грузия	45,2	19,6	62,8	45,2
2.	Кутатури	40,7	11,1	34,9	28,9
3.	Кокус 13	36,2	7,4	14,9	19,5
4.	Русская	32,3	10,3	12,7	18,4
5.	ПС-9	14,4	2,3	19,0	11,9
6.	Татарика	24,8	1,1	4,0	9,9
7.	Пендула	29,8	0	4,5	11,4
8.	Иверна	20,0	6,2	0	8,7
9.	Лу	28,2	8,1	16,6	17,6
Гибриды					
10.	Грузия х Гибр. 2	43,9	9,9	24,3	24,0
11.	Кутатури х Гибр. 2	37,2	6,5	22,3	22,0
12.	Кутатури х № 2, № 29, № 5	27,3	10,9	26,1	21,4
13.	Кутатури х № 29	50,9	4,3	0	18,4
14.	Кутатури х Ошима	40,8	5,4	19,2	25,1
15.	Кутатури х № 2, № 29, Ошима	43,0	1,3	23,8	22,7
16.	Кокус 13 х Гибр. 2	42,8	6,4	14,1	21,1
17.	Татарика х Гибр. 2	25,3	0	0	8,4
18.	Пендула х Татарика	15,0	0	0	5,0
19.	Иверна х Ошима	41,2	14,3	30,0	28,5
20.	Японски х Ошима	35,5	5,1	5,5	15,4

2. Во всех случаях подвой потомства сорта Грузия выделяются как наиболее восприимчивые к заболеванию. Самый высокий процент заболевания отмечается при окулировке подвоев потомства сорта Грузия как восприимчивым, так и устойчивым сортами.

3. Один и тот же сорт, заокулированный на разных подвоях, проявляет болезнь с неодинаковой интенсивностью.

4. Из неокулированного материала самыми устойчивыми к заболеванию курчавой мелколистностью оказались потомства сортов Иверна, ПС-9, Татарика, Пендула, Пендула×Татарика и Татарика×Гибрид-2.




დ. შალაგერიძე

თუთის ფოთლის მეზოფილის ანატომიური აგებულება

თუთის ფოთლის ღირსების განმსაზღვრელ ნიშანს მისი შინაგანი სტრუქტურის თავისებურებანი წარმოადგენს. ჩვენ მიერ შესწავლილია თუთის 5 ჯიშის — გრუზიას, ივერიას, ოშიმას, კატლამას, იტალიურისა და უჯიშო ფორმა ტატიკას ფოთლის მეზოფილის ანატომიური აგებულება.

ზემოდასახელებული ჯიშების მცენარეებზე საანალიზოდ ნიმუშები აღებული იყო სექტემბრის შუა რიცხვებში სამხრეთის ექსპოზიციის ყლორტებიდან (წვერიდან 6—7 ფოთოლი, ფირფიტის შუა ნაწილი).


ექვსივე ჯიშის ფოთლის ზედა და ქვედა მხარე შემოფარგლულია ეპიდერმისის უჯრედებით. ზედა ეპიდერმა ქვედა ეპიდერმასთან შედარებით შედგება



სურ. 1.

გაცილებით უფრო დიდი ზომის უჯრედებისაგან. ჯიშ გრუზიას ფოთლის ზედა ეპიდერმა ქვედა ეპიდერმასთან შედარებით შედგება უფრო დიდი ზომის უჯრედებისაგან, ოშიმასი 3—4-ჯერ, კატლამას ურისა 4—5-ჯერ, ხოლო ტატარიკასი 1—2-ჯერ უფრო დიდი ბისაგან. ეპიდერმალურ უჯრედებს ორივე მხარეზე გადაყვება კუტიკულა (სურ. 1).

ქვედა ეპიდერმის უჯრედები შეიცავენ ბაგეებს (სურ. 1). ბაგეების თანმხლები უჯრედები უფრო დიდია, ვიდრე ეპიდერმის ფუძემდებელი უჯრედები. ტერმინი „ფუძემდებელი უჯრედები“ შემოღებულია პროფ. ნ. ანელის მიერ [1]. ბაგეები განივ ჰრილზე გაგრძელებულია რადიალური მიმართულებით.



სურ. 2.




სურ. 3.


ზედა ეპიდერმის უჯრედებში გვხვდება მომრგვალო ან ოვალური ფორმის დიდი ზომის უჯრედები — ლითოციტები (სურ. 1). ჯიშ ივერიას (სურ. 2) და ოშიმას (სურ. 3) მეზოფილში ლითოციტებს უკავიათ მთელი ფოთლის სისქის თითქმის ნახევარი, ხოლო კატლამას (სურ. 4) მეზოფილში — ნახევარზე მეტი, გრუზიას (სურ. 1), იტალიურისა (სურ. 5) და ტატარიკას (სურ. 6) მეზოფილში კი — ფოთლის სისქის მეოთხედი.

ლითოცისტებში ვითარდებიან ცისტოლითები (ნახშირმჟავა კალციუმის კრისტალები CaCO_3). ცისტოლითი ჩნდება ამ უჯრედის გარსზე ნახშირმჟავა კალციუმის დაკრისტალებით. გარსის ის ნაწილი, სადაც დაკრისტალები წარმოადგენს კრისტალის ფეხს, რომლითაც კრისტალი უჯრედის ღრუშია


კალციუმის
ნახშირმჟავა
კრისტალები
წარმოადგენს
კრისტალის
ფეხს



სურ. 4.



სურ. 5.



სურ. 6.

122



დაკიდებული [2]. ფეხი და ზოგჯერ თვითონ ცისტოლითიც გაქვეყნებულია კა-
ეთი SiO_2 [3]. ჩვენ მიერ დადგენილია, რომ ჯიშ გრუზიასათვის დამახასიათებ-
ებელია ნახევრადმთვარისებრი ფორმის, სუსტად გამოხატული სხივური აგებუ-
ლების ცისტოლითი, ჯიშ ივერიის ცისტოლითი სფეროსებრი ფორმის, კარგად
გამოხატული სხივური აგებულებისაა, ოშიმას — მსხლისებრი ფორმის უჯრო-
ვანი აგებულების, კატლამასი — სფეროსებრი ფორმის, სუსტად დაშრევე-
ბული ბორცვებით, იტალიურისა — ნახევრადმთვარისებრი ფორმის, კარგად
გამოხატული სხივური აგებულებით, ხოლო ტატარიკასი — სფეროსებრი
ფორმის, ბორცვოვანი აგებულების [4].

ჩვენ მიერ შესწავლილი თუთის ექვსივე ჯიშის მეზოფილი ძირითადად
წარმოდგენილია ტიპური გრძელი მესრისებრი უჯრედებით და პარენქიმიო-
იდური ჰაბიტუსის მქონე არატიპური მესერნაირი უჯრედებით. ტიპურ მესრი-
სებრ უჯრედებს გრუზიას, ივერიას, ოშიმას, იტალიურისა და ტატარიკას ფო-
თოლში უკავიათ მეზოფილის თითქმის ნახევარი, ხოლო კატლამას ფო-
თოლში — 1/3. რაც შეეხება არატიპურ მესერნაირ პარენქიმას, იგი წარმოდგე-
ნილია 3 და უფრო მეტი წყება უჯრედებით, 3 წყება დამახასიათებელია ოში-
მასათვის, 4 წყება — გრუზიასა, ივერიასა, იტალიურისა და ტატარიკასათვის.
კატლამას მეზოფილში კი წარმოდგენილია ხუთი წყება არატიპური მესერნაი-
რი უჯრედები.

არატიპურ მესერნაირ პარენქიმის შუა ნაწილში კატლამას მეზოფილში —
2 წყება უფრო მომრგვალო უჯრედებია, ხოლო ივერიას მეზოფილში — ერ-
თი წყება.

თუთის ფოთლის მეზოფილის შემცველი უჯრედები ამოცხებულია ქლო-
როპლასტებით. ტიპური გრძელი მესრისებრი უჯრედების შემცველი ქლორო-
პლასტები წვრილმარცვლოვანია, ხოლო პარენქიმიოიდური ჰაბიტუსის მქონე
არატიპური მესერნაირი უჯრედების შემცველი ქლოროპლასტები უფრო მსხვი-
ლია.

არატიპური მესერნაირი უჯრედების შუა ნაწილში გვხვდება გამტარი კო-
ნები, სადაც წარმოდგენილია ჭურჭლები (მერქანი), ლაფნის ელემენტები და
პარენქიმული უჯრედების გარემო.

მეზოფილის, როგორც ტიპურ გრძელ მესრისებრ უჯრედებში, ისე არატი-
პურ მესერნაირ უჯრედებში მეტ-ნაკლები რაოდენობით გვხვდება აგრეთვე
დრუზები (მყაუნმყაეა კალციუმის კრისტალები). გრუზიას მეზოფილში დრუ-
ზების რაოდენობა ყველაზე მცირეა და გვხვდება არატიპურ მესერნაირ უჯრ-
ედებში, ივერიასა და იტალიურის მეზოფილში კი თითქმის თანაბარი რაოდე-
ნობითაა როგორც ტიპურ გრძელ მესრისებრ, ისე არატიპურ მესერნაირ უჯ-
რედებში, ოშიმასა და ტატარიკას მეზოფილში უფრო მეტი რაოდენობით
გვხვდება ტიპურ გრძელ მესრისებრ უჯრედებში, კატლამას მეზოფილში კი პირ-
იქით, მეტი რაოდენობით გვხვდება არატიპურ მესერნაირ უჯრედებში.

ფოთლის მეზოფილის ანატომიური აღნაგობით შეიძლება განვსაზღვროთ
თუთის ჯიშობრივი ნიშან-თვისებები.

Резюме

Изучено анатомическое строение мезофила листа разных сортов (Грузия, Иверия, Ошима, Катлама, Итальянская и несортной шелковицы — Татарика). Установлено, что у всех шести сортов листья и верхняя часть листа окаймлены клетками эпидермиса. Верхний эпидермис по сравнению с нижним состоит из более крупных клеток. В нижнем эпидермисе встречаются устьица, а в верхней части крупные округлые или овальные клетки литоцистов, в которых развиваются цистолиты (кристаллы углекислого кальция). Установлено, что цистолиты всех изучаемых сортов шелковицы характеризуются разным строением.

Мезофил их листа в основном представлен типичными удлиненными палисадными клетками, а также клетками, имеющими паренхимональный габитус. Оба типа клеток мезофила заполнены хлоропластами. В клетках встречаются также друзы (кристаллы щавелекислого кальция).

В средней части нетипичного мезофила встречаются проводящие пучки, которые состоят из сосудов (древесина) и элементов луба окруженных паренхимными клетками.

Анатомическое строение мезофила листа шелковицы может быть использовано при определении ее сортовой принадлежности.

ლიტერატურა

1. ნ. ანდელი, მ. ლოლაძე, ვ. ყარალაშვილი — „ფოთლის ეპიდერმის ფუნქციონალური უჯრედების შესახებ“ — თბ., საქ. სსრ მეცნ. აკადემიის შრომებ, № 1, ტ. 57, 1970.
2. ჭ. ცხაკაია, ვ. შირიანაშვილი — „მცენარეთა ანატომია“, თბ., 1957.
3. И. П. Бородин — «Курс анатомии растений», 1938.
4. Д. А. Шаламберидзе, Н. А. Анели, Г. Э. Звиададзе — «О цистолитах в листьях шелковицы». Журн. Шелк № 4, 1974.



3. ბარძინიძე

თუთის ზომიერტი ჯიშის ფენოფაზების შესწავლა

ბიოლოგიური და სამეურნეო თვალსაზრისით თუთის ამა თუ იმ ჯიშის შესწავლისათვის აუცილებელია ფენოლოგიური დაკვირვების ჩატარება, რის საფუძველზეც შესაძლებელია ფენოლოგიური ფაზების დაწყება-დამთავრების ხანგრძლივობის და თითოეული ჯიშის ღირსების დადგენა.

ჩვენს პირობებში თუთის ხის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა შესასწავლად შერჩეული ჯიშებისათვის ცვალებადობს 208—220 დღის ფარგლებში და მასზე გავლენას ახდენს გარემოს ტემპერატურა, ტენი, სინათლე და სხვა ფაქტორები.

ფენოლოგიურ დაკვირვებას ვაწარმოებდით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, მეთუთეობის განყოფილების თუთის ჯიშთგამოცდის ნაკვეთზე, სადაც იცდებოდა მებაღეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტის მეცნიერ მუშაკების მიერ გამოყვანილი თუთის ახალი ჯიშები: გრუნნიშ—4, გრუნნიშ—5, ივერია, გრუნნიშ—7, ქართლი, დიღმური, უხვი, სამგორული, ფორმა № 68, სტანდარტული ჯიში გრუნია და თუთის უჯიშო ფორმა ტატარიკა.

წვენთა დენის დაწყებიდან მეხუთე ფოთლის გამოჩენამდე დაკვირვებას ვაწარმოებდით ყოველდღიურად, ხოლო შემდეგ ყოველ მეხუთე დღეს.

ყვავილობა და მსხმოიარობის სიძლიერე განისაზღვრა შემდეგნაირად: I ბალით აღვნიშნავდით სუსტ ყვავილობას ან ნაყოფმსხმოიარობას, II ბალით—საშუალო ყვავილობას ან ნაყოფმსხმოიარობას და III ბალით — ძლიერ ყვავილობას ან ნაყოფმსხმოიარობას.

ოთხი წლის დაკვირვებით მიღებული საშუალო მონაცემების საფუძველზე ჯიშები დავაჯგუფეთ ამა თუ იმ ფენოფაზის მასობრივად დადგომის პერიოდის მიხედვით (ცხრ. 1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, კვირტები ყველაზე ადრე დაებერთა ჯიშებს: გრუნნიშ—4 და გრუნნიშ—5 (4.IV), რამდენიმე დღის შემდეგ ჯიშ სამკორულსა და უჯიშო ფორმა ტატარიკას (6—8. IV), ხოლო უფრო მოგვიანებით (10—11. IV) ჯიშებს: გრუნნიშ—7, ქართლსა და უხვს. ყველაზე გვიან კვირტების დაბერვა აღინიშნა ჯიშებზე: დიღმური, გრუნია, ივერია და ფორმა № 68 (12—13. IV).



№ რიგ.	ჯიში	კვირტის დაბერვა	კვირტის გაშლა	სქესი	ყვავილობის სიძლიერე	ფოთლის გაშლა	მეხუთე ფოთლის გაშლა	ფოთლის ფერის ცვლა	სამკვლევი ხანის დასაწყისი
1	ტატარიკა	6.IV	11.IV	♀	III	23.IV	30.IV	16.XI	220
2	გრუზია	13.IV	19.IV	♀	II	23.IV	4.V	18.XI	215
3	გრუზნიიშ—4	4.IV	10.IV	♂	II	22.IV	30.IV	2.XI	208
4	გრუზნიიშ—5	4.IV	10.IV	♂	II	22.IV	30.IV	2.XI	203
5	ივერია	13.IV	19.IV	♀	II	23.IV	4.V	18.XI	215
6	გრუზნიიშ—7	10.IV	18.IV	♀	II	25.IV	4.V	16.XI	216
7	ქართლი	11.IV	15.IV	♀	II ერთ.	24.IV	2.V	16.XI	215
8	დიღმური	12.IV	17.IV	♂ > ♀	II, I	24.IV	3.V	12.XI	210
9	უხვი	11.IV	15.IV	♂ > ♀	II, I	24.IV	3.V	12.XI	211
10	სამგორული	8.IV	15.IV	♂ > ♀	II ერთ.	24.IV	2.V	12.XI	214
11	№ 68	13.IV	19.IV	♂	II ერთ.	27.IV	5.V	18.XI	215

ფოთლები ძირითადად დაკვირვებული სიყვითლად იქნა შეფერილი. ზედა ქვიშის კვირტები 24.XI - 2.I.XI

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ კვირტის მასობრივად დაბერვას უბაზა შესასწავლ ჯიშებში ერთდროულად არ იწყება და სხვაობა მათ შორის 9 დღეს უდრის, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს საჭიროებისამებრ მათი შერჩევისას: იმ რაიონებში, სადაც გაზაფხულის გვიანი ყინვები იცის, თუთის საადრეო ჯიშების გაშენება არაბეზსაყრელია და საშიში მაშინ, როდესაც ის შედარებით თბილ რაიონში ფოთლის მაღალ მოსავალს იძლევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ კვირტის ადრე დაბერვა ყოველთვის არ არის დაკავშირებული ფოთლის ადრე გაშლასთან. იგი უფრო მეტად დამოკიდებულია ჯიშის ბიოლოგიურ თავისებურებაზე, აგროტექნიკასა და კლიმატურ პირობებზე, რაც ჩვენი დაკვირვებით დადასტურდა. ასე, მაგალითად, ჯიში გრუზნიიშ—4 და გრუზნიიშ—5 ჩვენს პირობებში კვირტის დაბერვას იწყებს 9 დღით ადრე (4. IV), ვიდრე ჯიში გრუზია (13. IV) მაშინ, როდესაც სხვაობა ამ ჯიშებს შორის მეხუთე ფოთლის განვითარებაში 4 დღეს არ აღემატება. აღნიშნული ფაზის მხრივ ჯიშებს შორის არსებული სხვაობა, კერძოდ, კვირტის დაბერვა 9 დღით ადრე მიუთითებს იმაზე, რომ საქმე გვაქვს საადრეო ჯიშებთან (გრუზნიიშ—4 და გრუზნიიშ—5) და მათი ეს თავისებურება გათვალისწინებული უნდა იქნეს კალმების დამზადებისა და მყნობის დროს.

მეხუთე ფოთლის გაშლის ვადების მიხედვით, თუთის საცდელი ჯიშები დავალაგეთ სამ ჯგუფად: საადრეო, საშუალო და საგვიანო. ამ მხრივ ადრეულობით ხასიათდებიან გრუზნიიშ—4, გრუზნიიშ—5 და ტატარიკა, შემდეგ მოდიან სამგორული, გრუზნიიშ—7, ქართლი და უხვი, ხოლო ყველაზე გვიან ივითარებენ მეხუთე ფოთოლს გრუზია, ივერია, დიღმური და ფორმა № 68.

როგორც აღვნიშნეთ, მამრობითი მცენარეები გრუზნიიშ—4 და გრუზნიიშ—5 მეხუთე ფოთლის გაშლას უფრო ადრე იწყებენ, ვიდრე მდედრობითი, მიუხედავად ამისა, მდედრობითი ჯიშის მცენარეებს ყლორტები გაცილებით უკეთ აქვთ შეფოთილი, ვიდრე მამრობითს, რაც მდედრობითი მცენარის ბიოლოგიურ თავისებურებებს უნდა მიეწეროს. ის უფრო ადრე იწყებს ფოთლე-



ბის განვითარებას და ამ პერიოდისათვის მათი სიდიდე ორჯერ აღემატება მშრობითი მცენარის ფოთლებს. აღნიშნული მდგომარეობა თუთის მდებარეობით მცენარის საერთო უპირატესობად არ უნდა მივიჩნიოთ, რადგან ქვემოთაა ჩიშის მცენარეები ყვავილობის დამთავრების შემდეგ კარგი შეფოთებას ათლებიან და ფოთლის დიდ მოსავალსაც იძლევიან.

ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით ჩიშების სწორად შერჩევა საშუალებას იძლევა უფრო უკეთ უზრუნველყოთ აბრეშუმის ქიის გამოყვება საქირო რაოდენობის ხარისხოვანი ფოთლით.

ფენოლოგიურ დაკვირვებასთან ერთად აღვრიცხავდით ჩიშის სქესს და ყვავილობისა და მსხმოიარობის სიძლიერეს.

ძლიერი ყვავილობა და მსხმოიარობა უარყოფითი ნიშან-თვისებაა საკვები თუთის თვალსაზრისით, ხოლო ატცილებელია თუთის თესლის დამზადებისათვის.

ძლიერი მსხმოიარობა აფერხებს ფოთლის განვითარებას, აქვეითებს ყლორტების შეფოთვლას და ხელს უშლის ფოთლის დამზადებასა და გამოყენებას, ამასთან მცენარე ნაყოფის ზრდის და განვითარებისათვის ხარჯავს დიდი რაოდენობით საკვებ ნივთიერებას, რაც უარყოფითად მოქმედებს ფოთლის კვებით ღირსებაზე.

ოთხი წლის დაკვირვების შედეგებმა გვიჩვენა, რომ სქესის მიხედვით საცდელი მცენარეები შეიძლება დავეოთ: ჩიშებად, რომლებიც მხოლოდ ერთი სქესის (მამრობითი ან მდედრობითი) ყვავილებს ივითარებს (გრუზნიიშ—4

გრუზნიიშ—5 ბ. გრუზი ა. ივრია ა. და გრუზნიიშ—7 ა) და ჯიშებად, რომლებიც ორივე სქესის ყვავილებს ივითარებენ ერთ-ერთი ნათესის უპირატესობით (ქართლი ბ. დიღმური ბ. სვი ბ. ა. სამგორული ბ. და ფორმა № 68 ბ. ა).

თუთის ჩიშებზე გრუზნიიშ—4 და გრუზნიიშ—5 ყვავილობა რამდენადმე აფერხებს ფოთლის განვითარებას, რის გამოც ვევეტაციის დაწყების პირველ პერიოდში ტოტების ქვედა მესამედი ნაწილი სუსტადაა შეფოთლილი, ხოლო ყვავილობის დამთავრების შემდეგ შეფოთვლა ტოტის მთელ სიგრძეზე თანაბრდება.

ჩიშები გრუზია, ივრია, გრუზნიიშ—4, გრუზნიიშ—5 და გრუზნიიშ—7 ყვავილობის საშუალო სიძლიერით ხასიათდებიან. ერთბინიან ჩიშებზე ქართლი, დიღმური, სამგორული, უხვი და ფორმა № 68, მამრობითი ყვავილები ქარბობს, რომელთა რაოდენობა არც თუ ისე დიდია, ხოლო მდედრობითები გვხვდება მცირე ან ერთეულების სახით. ამ ჩიშების ყვავილობა ვერ ასდენს უარყოფით გავლენას ტოტების შეფოთვლაზე, ხოლო ერთეული ნაყოფები ფოთლის დამზადებისას ცვივა. შედარებით ძლიერი ყვავილობით და მსხმოიარობით ხასიათდება თუთის უჯრო ფორმა ტატარკა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფენოფაზაა ფოთლის ფერისცვლა, რაც მცენარის მოსვენების მდგომარეობის დაწყების მაჩვენებელია. მცენარე, რაც უფრო ადრე შედის მოსვენების მდგომარეობაში, მით უფრო მეტი ყინვაგამძლეობით ხასიათდება. საცდელად აღებული ჩიშებიდან ფოთლის ფერის ცვლა ყველაზე

აღრე გრუზნიიშ—4 და გრუზნიიშ—5-ის მცენარეებზე აღინიშნება (2. XI), შემდეგ დილმურზე, უხესა და სამგორულზე (12. XI), ხოლო ყველაზე გვიან გრუზნიიშ—7, ქართლზე, ტატარიკაზე, გრუზიაზე, ივერიასა და ფორმა № 68 (16—18. XI).

ვეგეტაციის დამთავრების მხრივ ჯიშები ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდებიან, რადგან ჩვენ პირობებში ფოთოლცვენა ძირითადად დაკავშირებულია სიცივეების დადგომასთან. ეს პერიოდი ჩვენი დაკვირვებით საცდელი ჯიშებისათვის აღინიშნება 24. XI—27. XI.

დასკვნა

1. საცდელ ჯიშებში კვირტის მასობრივად დაბერვის ფაზა ერთდროულად არ იწყება და სხვაობა მათ შორის 9 დღეს უდრის. ყველაზე ადრე კვირტის დაბერვა აღინიშნა გრუზნიიშ—4-ზე და გრუზნიიშ—5-ზე (4. IV), შემდეგ სამგორულსა და თუთის უჯიშო ფორმა ტატარიკაზე (6. 8. IV), გრუზნიიშ—7, ქართლსა და უხეზე (10—11. IV). ყველაზე გვიან კვირტის დაბერვა აღინიშნეს დილმურზე, გრუზიაზე, ივერიასა და ფორმა № 68 (12—13. IV).

2. როგორც საადრეო ჯიშები გრუზნიიშ—4 და გრუზნიიშ—5-ის დარგვა იმ რაიონებში, სადაც გაზაფხულის გვიანი ყინვები იცის, არ არის მიზანშეწონილი.

3. მეხუთე ფოთლის გაშლის დაწყების მიხედვით თუთის საცდელი ჯიშები დავაჯგუფეთ: საადრეოდ (გრუზნიიშ—4, გრუზნიიშ—5 და უჯიშო ფორმა ტატარიკა), საშუალო (სამგორული, გრუზნიიშ—7, ქართლი და უხვი) და საგვიანოდ (გრუზია, ივერია, დილმური და ფორმა № 68).

4. სქესის მიხედვით საცდელი ჯიშები იყოფა: 1) ჯიშებად, რომლებიც ერთი სქესის ყვავილებს ივითარებენ (გრუზნიიშ—4 ♂, გრუზნიიშ—5 ♂, გრუზია ♀, ივერია ♀ და გრუზნიიშ—7 ♀). 2) ჯიშებად, რომლებიც ერთ მცენარეზე ორივე სქესის ყვავილებს ივითარებენ ერთ-ერთი მათგანის უპირატესობით (ქართლი ♂ ♀, დილმური ♂ ♀, უხვი ♂ ♀, სამგორული ♂ ♀ და ფორმა № 68 ♂ ♀).

5. თუთის ჯიშების გრუზნიიშ—4-ისა და გრუზნიიშ—5-ის ყვავილობა რამდენადმე აფერხებს ფოთლის განვითარებას, ხოლო ყვავილობის დამთავრების შემდეგ შეფოთვლა ტოტის მთელ სიგრძეზე თანაბრდება.

6. ერთბინიან ჯიშებზე (ქართლი, დილმური, სამგორული, უხვი და ფორმა № 68) მამრობითი ყვავილები ჭარბობს, ხოლო მდედრობითი ყვავილები მცირე ან ერთეულების სახით გვხვდება, რის გამო ყვავილობა ვერ ახდენს უარყოფით გავლენას ტოტების შეფოთვლაზე.

7. ფოთლის ფერისცვლა, ყველაზე ადრე გრუზნიიშ—4 და გრუზნიიშ—5-ზე აღინიშნა (2. XI), შემდეგ დილმურზე, უხესა და სამგორულზე (12. XI), გვიან — გრუზნიიშ—7, ქართლზე, თუთის უჯიშო ფორმა ტატარიკაზე, გრუზიაზე, ივერიასა და ფორმა № 68 (16—18. XI).



Резюме

Для изучения оценки и характеристики сортов как с биологической так и с хозяйственной точки зрения необходимо проведение фенологических наблюдений позволяющих установить: начало, конец и длительность фенофаз, а в связи с этим и ценность отдельных сортов для использования их с хозяйственной точки зрения, а также для селекционной работы.

По данным четырехлетних наблюдений наступление фазы массового набухания почек у изучаемых сортов лежит в пределах 9 дней. К наиболее ранним относятся ГрузНИИШ 4 и 5 (4—IV), за ними следуют сорт Самгорули и местная форма Татарика (6—8—IV). Несколькими позже эта фаза наблюдается у сортов ГрузНИИШ 7, Картли и Ухви (10—11—IV), позднее всех набухают почки у сортов Дигмури, Грузия, Иверия и формы № 68.

Разница в наступлении начального срока вегетации чрезвычайно существенна и должна учитываться при подборе сортов.

Одним из наиболее важных фенопоказателей сорта является дата появления пятого листа. Изучившиеся сорта разбиты по этому показателю на три группы. К первым отнесены сорта: ГрузНИИШ 4, 5 и Татарика. К средним сортам: Самгорули, Дигмури, Картли и Ухви. Позднее всех пятый лист появляется у сортов: Грузия, Иверия, ГрузНИИШ 7 и формы № 68.

Одновременно с фенологическими наблюдениями на участке проводился учет пола, силы цветения и плодоношения.

Для сортов Грузия, Иверия, ГрузНИИШ 7 ГрузНИИШ 5 и ГрузНИИШ 4 отмечена средняя степень силы цветения, несколько задерживающая у мужских сортов (ГрузНИИШ 4 и 5) развитие листьев, благодаря чему в начальный период вегетации нижняя треть побегов облиственность слабо. С окончанием цветения облиственности по всему побегу выравнивается. У однодомных сортов Картли, Дигмури, Ухви, Самгорули и формы № 68 преобладают мужские соцветия, которые образуются в небольшом количестве, а женские единичны. Цветение у данных сортов не отражается на облиственности побегов. Сильное цветение и плодоношение отмечено у несортовой шелковицы Татарика. Сорта Грузия, Иверия и ГрузНИИШ 7 характеризуются средним плодоношением.



ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, Т. XCI, 1975, № 1

ზ. ხარშილაძე

**გამოზრდის პირობების გავლენა წვილფოთოლა სიხუშუპისადმი
გამძლე თუთის ჰიბრიდების ნაწიწნეზე**

ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური საცდელი სადგურის ექსპერიმენტულ ბაზაზე წვილფოთოლა სიხუშუპისადმი გამძლეობაზე შემოწმებას გადის თუთის ჰიბრიდული ფორმების დიდი რაოდენობა.

წინამდებარე შრომა ეძღვნება თუთის ზოგიერთი ჰიბრიდული ფორმის და წვილფოთოლა სიხუშუპისადმი შედარებით გამძლე მაღალმოსავლიან ჯიშ „ივერიას“ ნაწყენი ნერგების ზრდა-განვითარებასა და დაავადებისადმი გამძლეობაზე აღზრდის პირობების გავლენის შესწავლას.

1970 წლის იანვარში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (ჯანსალი ზონა) გამოსაცდელი ჰიბრიდული ფორმების დედა მცენარეებიდან დამზადდა კალამი.

კალამების 3.5–8°C პირობებში შენახვის ხანგრძლივობაზე წარმოებულ დაკვირვებებზე გამოირკვა, რომ ყველა ჰიბრიდული ფორმის კვირტი, გარდა № 23-ისა, მცნობისათვის ვარგის მდგომარეობაში შეინახა.

ცხრილი I

თუთის ნაწყენი ნერგების გახარების მაჩვენებლები

№№	ჰიბრიდების დასახელება	ჯანსალი ზონა (დიღმი)		დაავადებული ზონა (ქუთაისი)	
		გახარების (%)	საკონტროლოსთან შედარებით (%)	გახარების (%)	საკონტროლოსთან შედარებით (%)
1	ივერია (საკონტროლო)	76,6	100	44,1	100
2	№ 2	53,4	76,1	73,6	166,3
3	№ 3	50,9	110,8	84,3	190,2
4	№ 23	54,0	70,4	58,2	132,1
5	№ 25	79,2	104,0	54,2	123,1
6	№ 27	93,6	112,0	31,2	70,0
7	№ 31	22,5	29,3	22,9	51,9
8	№ 38	76,3	99,5	62,4	141,2
9	№ 39	55,9	85,2	32,2	86,5
10	№ 44	29,7	38,7	60,7	137,1
	საშუალო	64,7		53,0	

ორივე ზონაში (დილომი და ქუთაისში) მყნობა ჩატარდა 1970 წლის 24-25 აპრილს ერთგვაროვან საძირეებზე სანერგეში. საძირეებად გამოყენებული იქ-
 ნა ადგილობრივი წარმოშობის ჰიბრიდული თესლნერგები.

აღრიცხული იქნა ნამყენების გახარებისა და ნერგების მაჩვენებლები, დაავადებულ ზონაში (ქუთაისი) კი დაავადების პროცენტი და მისი ხასიათი.

ორივე ზონაში ნამყენების გახარების მაღალი პროცენტი მიღებულია ჰიბ-
 რიდულ ფორმებზე: № 3 (90,9—84,3%) და № 38 (76,6—62,4%).

გახარების საშუალო ხარისხით ხასიათდება ჰიბრიდული ფორმა № 23 (54,0—58,2%), ხოლო ყველაზე ნაკლებით — № 31 (22,5—22,9%). დანარჩენი ჰიბრიდული ნომრების გახარების პროცენტი მნიშვნელოვნად ცვალებადობს ზონების მიხედვით, მაგრამ ზოგიერთი გამოწვევის გარდა ჯანსაღ ზონაში უფრო მაღალია (64,7%), ვიდრე დაავადებულში (53%).

როგორც მეორე ცხრილიდან ჩანს, როგორც საკონტროლო ჯიშ ივერიას, ასევე ყველა ჰიბრიდული ფორმის ნამყენი ნერგები მეტ-ნაკლები სიძლიერით დაავადდნენ თუ საკონტროლოს (ივერია) ნამყენების დაავადების პროცენტს 100%-ად მივიჩნევთ, მაშინ ჰიბრიდ № 2-ის ანალოგიური მაჩვენებელი იქნება 66,7%, ხოლო ჰიბრიდ № 38-ისა — 70,6%. ამგვარად, ახალი ჰიბრიდული ნომრები დაავადების შედარებით დაბალი გამძლეობით ხასიათდებიან.



ცხრილი 2

ნამყენ ნერგზე წვრილფოთოლა სიხუტუპით დაავადების მაჩვენებლები

№№	ჰიბრიდების დასახელება	დაავადების (%)	საკონტროლოსთან შედარებით (%)
1	ივერია (საკონტროლო)	23,5	100
2	№ 2	15,7	66,7
3	№ 3	30,1	128,5
4	№ 23	31,4	133,6
5	№ 25	24,1	100,2
6	№ 27	23,7	100,08
7	№ 31	16,6	70,6
8	№ 38	39,7	168,9
9	№ 39	37,5	159,6
10	№ 44	27,9	101,9

№ 25 და № 27 ჰიბრიდების ნამყენები დაავადების მაჩვენებლებით საკონ-
 ტროლოს უთანაბრდებიან, ხოლო ყველაზე მეტად დაავადდნენ ჰიბრიდები № 33
 და № 39. ჰიბრიდები ურთიერთისაგან განსხვავდებიან, როგორც დაავადების
 დონით, ასევე მისი ხასიათით. დაავადება განსხვავებულად მოქმედებს ნერგ-
 ბის ზრდა-განვითარებაზე. ასე, მაგალითად, № 2, № 23 და № 38 ჰიბრიდების
 ნამყენების ზრდა-განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს დაავადება.

ასევე შეიძლება ითქვას ჯიშ ივერიასა და № 39 და № 44 ჰიბრიდული
 ფორმების ნამყენ ნერგებზე, რომლებზეც ფოთლები მცირე ზომით და ყვითე-



ლი შეფერილობით ხასიათდებიან. ზოგიერთი ჰიბრიდული ფორმის (№ 3 და № 25) დაავადებული ნამყენები ზრდას განაგრძობენ, თუმცა მათი ფოთოლი დაავადებულია.

როგორც ირკვევა გამოსაცდელი ჰიბრიდული ფორმების ავადმყოფობის ხარისხი ზოგჯერ 2-ჯერ და მეტად აღემატება დედა მცენარეებისას. ასე, მაგალითად, დაავადების დონე ნამყენი ნერგებისა შეადგენს: ჯიში ივერია—23,5%. ფორმები № 3—30,1%, № 38—39,7%, № 39—37,5%, ხოლო მოზრდილი მცენარეებისა შესაბამისად — 14,0%, 11,1%, (ცხრ. 2).

ასეთი განსხვავებული ხარისხით დაავადება, ჩვენი აზრით, საძირის გავლენით უნდა იყოს გამოწვეული: ინფექციის ზონაში აღზრდილი (ქუთაისი) საძირე მასალა ფარული ფორმით ინფექციის მატარებელია და მასზე დამყნილი შედარებით გამძლე ჯიშებისა და ჰიბრიდების ნამყენი ნერგები მეტ-ნაკლები სიძლიერით ავადდებიან. აქედან გამომდინარე, დაავადებისადმი გამძლეობაზე თუთის ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდული ნომრების შესწავლა ინფექციის ზონაში ჩვეულებრივ საძირეებზე სანერგეში მყნობის გზით, მიზანშეუწონელია. ამიტომ შესწავლილი ფორმების დაავადებაზე საძირეების გავლენის გამოსათიშად საჭიროა შედარებით გამძლე თუთის ჯიშების საკუთარფესვიანი მასალის გამოყენება საძირედ. დაავადებისადმი ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდული ნომრების გამძლეობა შესწავლილი უნდა იქნეს შედარებით გამძლე საკუთარფესვიან საძირეებზე აღზრდილ ნამყენებზე დაკვირვებით, ან უნდა გამოიცადოს თვით ჯიშებისა და ჰიბრიდების საკუთარფესვიანი მცენარეები წვრილფოთოლა სიხუტუქუსიადმი გამძლეობაზე.

როგორც მესამე ცხრილიდან ჩანს, ორივე ზონაში აღზრდილი ჰიბრიდული ფორმების საღი ნამყენი ნერგების სიმძლვე თითქმის ერთნაირია (129,0—

ცხრილი 3

ნამყენების ნაზარდის მაჩვენებლები

№№	ჰიბრიდების დასახელება	ჯანსაღი ზონა		დაავადების ზონა			
		სიგრძე (სმ)	მატება საკონტროლისთან შედარებით (%)	საღი მცენარეები		დაავადებული მცენარეები	
				სიგრძე (სმ)	მატება საკონტროლისთან შედარებით (%)	სიგრძე (სმ)	მატება საკონტროლისთან შედარებით (%)
1	ივერია (საკონტ.)	179,9	100	126,0	100	32,8	25,3
2	№ 2	122,9	68,4	142,9	113,9	24,9	17,7
3	№ 3	128,1	71,0	141,5	112,3	52,3	36,6
4	№ 23	01,1	56,1	139,2	110,4	21,3	15,2
5	№ 25	127,9	71,0	99,5	72,2	56,8	59,1
6	№ 27	117,9	65,5	121,7	96,7	40,0	38,8
7	№ 31	152,0	84,4	125,8	99,4	52,3	35,5
8	№ 38	100,5	55,8	114,1	91,4	20,9	18,3
9	№ 39	140,8	78,2	113,5	90,0	28,9	25,4
10	№ 44	119,9	66,6	177,5	140,9	34,8	13,4
საშუალო		129,0		130,2		31,3	53



130,2 სმ), ხოლო დაავადებული ნამყენები ზრდის მიხედვით ქლიორ ჩამორჩე-
ბიან და მათი საშუალო სიმაღლე 31,3 სმ-ს არ აღემატება.

შტამბის სიმსხოს მიხედვით ქუთაისის პირობებში აღზრდილი ხალი მცენარეები ამ მხრივ კი არ ჩამორჩება დილოში აღზრდილ ნამყენებს, არამედ ზო-

ცხრილი 4

ნამყენების შტამბის განივკვეთის ფართობი

№№	პიბრიდის დასახელება	დილოში		ქუთაისი			
		სმ²	საკონტროლოსთან შედარებით (%)	სალი		დაავადებული	
				სმ²	საკონტროლოსთან შედარებით (%)	სმ²	საკონტროლოსთან შედარებით (%)
1	ივერია (საკონტ.)	1,9	100	1,7	100	0,6	35,2
2	№ 2	1,6	84,2	2,3	135,2	0,5	21,7
3	№ 3	1,6	84,2	2,0	117,6	0,7	35,0
4	№ 23	1,4	73,6	2,5	117,6	0,3	12,0
5	№ 25	1,6	84,2	1,5	88,2	1,0	66,6
6	№ 27	1,5	78,9	1,9	111,7	0,7	36,8
7	№ 31	1,6	84,2	1,6	94,1	0,5	35,2
8	№ 38	1,3	68,4	1,5	88,2	0,4	26,6
9	№ 39	1,8	94,7	1,8	105,9	0,5	27,7
10	№ 44	1,5	78,9	2,4	141,1	0,6	25,0
საშუალო		1,58		1,92		0,53	

ცხრილი 5

ფოთლის რაოდენობა ნამყენი ნერგის ტოტის 1 მ-ზე

№№	პიბრიდის დასახელება	დილოში	ქუთაისი		
		ფოთლის რაოდენობა 1 მ ტოტზე	ფოთლების რაოდენობა სალი მცენარის ტოტის ერთ მეტრზე	ფოთლის რაოდენობა დაავადებული მცენარის ტოტის 1 მეტრზე	სტეიობა სალი მცენარესთან შედარებით (%)
1	ივერია (საკონტ.)	19,9	22,0	36,3	165,0
2	№ 2	22,1	23,0	52,0	227,0
3	№ 3	23,7	25,9	28,7	115,3
4	№ 23	25,7	31,8	75,1	236,2
5	№ 25	21,8	25,6	42,5	166,0
6	№ 27	21,8	25,6	42,5	166,0
7	№ 31	25,6	28,5	42,1	147,3
8	№ 38	30,4	25,5	66,9	262,4
9	№ 44	21,4	26,1	29,6	113,4
10	№ 39	26,3	30,5	41,4	135,7
საშუალო		23,9	26,3	46,7	



გიერთ შემთხვევაში კიდევაც კარბობენ მათ (0,34 სმ²). რაც შეეხება დაავადებულ ნაყენების შტამბის სიმსხოს, სუსტი განვითარების გამო აღზრდაში ალოდ არ აღემატება 0,3—1 სმ²-ს (ცხრ. 4).

ორივე ზონაში ვსწავლობდით გამოსაცდელი ჰიბრიდული ნომრების ფოთლების ინტენსივობას — ფოთლების რაოდენობა ნაყენი ნერგის 1 მ ნაზარდზე (ცხრ. 5). ამ მხრივ ქუთაისის პირობებში აღზრდილი სალი მცენარეების ტოტის ერთ მეტრზე ფოთლების რაოდენობა უფრო მეტია, ზოლო დაავადებულ მცენარეებზე ფოთლების რაოდენობა უმეტეს შემთხვევაში ორჯერ და მეტად აღემატება სალი მცენარეებისას, მაგრამ ისინი ძაღზე მცირე ზომისაა და გაყვითლებულია.

დასკვნა

1. ინფექციის ზონაში აღზრდილი, დაავადებისადმი შედარებით გამძლე თუთის ჰიბრიდული ფორმების სალი ნაყენი ნერგები, ჯანსაღ ზონაში აღზრდილისაგან ზრდა-განვითარების მაჩვენებლებით თითქმის არ განსხვავდებიან.

2. დაავადებულ ზონაში როგორც ჯიშ ივერიის, ასევე ყველა თუთის ჰიბრიდული ფორმის ნაყენი ნერგები წვრილფოთოლა სიხუტუქით მეტ-ნაკლებად ავადდებიან.

3. ჰიბრიდული ფორმების ნაყენები უფრო მეტი ინტენსივობით ავადდებიან, ვიდრე იმავე ფორმების დედა მცენარეები, რაც, ჩვენი აზრით, საძირის გავლენით უნდა იყოს გამოწვეული, ამიტომ აუცილებელია დაავადებისადმი გამძლე საძირების შერჩევა.

4. დაავადებისადმი თუთის ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამძლეობის შესწავლისათვის საჭიროა საკუთარფესვიანი მცენარეების გამოცდა და ამით საძირების გავლენის გამოთიშვა.

В. В. ХАРШИЛАДЗЕ


ВЛИЯНИЕ УСЛОВИЯ ВЫРАЩИВАНИЯ НА РОСТ ОТНОСИТЕЛЬНО УСТОЙЧИВЫХ К КУРЧАВОСТИ ГИБРИДОВ ШЕЛКОВИЦЫ

Резюме

В настоящей работе приведены показатели развития окулянтов, сравнительно устойчивых гибридов шелковицы выращенных в условиях сильной естественной инфекции (база Кутаисской шелкостанции) и в зоне, где заболевания курчавостью нет (Дигоми).

Проведенные работы показали, что при отсутствии заболевания курчавостью, окулянты выращенные в условиях Кутаиси, по своему развитию не отличаются, от выращенных в Дигоми.

Окулянты всех гибридных номеров, включая сравнительно устойчивый сорт Иверия, при выращивании в зоне сильной инфекции болеют в различной степени «Курчавой мелколистностью».



Значительное увеличение процента заболевания «курчавой мелколистностью», окулянтов по сравнению с заболеваемостью взрослых насаждений тех же относительно устойчивых гибридных подвоев может быть в известной мере объяснено тем, что выращенный на подвое несет в себе вскрытом состоянии инфекцию проявивших у окулянтов.

Исходя из этого, что более устойчивые сорта на подвое выращенным в зоне инфекции болеют, необходимо выявить устойчивые к курчавости подвои и использовать их в дальнейшем для окулировки.

Чтобы отсутствовать влияние подвоя на заболевание изучаемых сортов и гибридов шелковицы, нужно проводить изучение этих сортов и гибридов на корнесобственном материале.



6. კვანძი

გამორჩევის ზოგადი საკითხის შესახებ თუთის სალექციაში

სასლექციო მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს შრობელთა წყვილების შერჩევას, ჰიბრიდიზაციის დროულ და წესიერად ჩატარებას და სხვა საკითხებს. ჩვენ ამჟამად ვიხილავთ ფოთლის პოლიმორფიზმის გათვალისწინებით გამორჩევის შესაძლებლობისა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სხვა საკითხს.

1959 წელს ორწლიანი თუთის მცენარეებზე შევამჩნიეთ სრულიად განსხვავებული ფორმის ფოთლები — ღეროს ქვედა ნაწილში უჭიმო თუთისათვის დამახასიათებელი დანაკვეთულფოთლიანობა და ზედა ნაწილში მთლიანფირფიტის კულტურულფოთლიანობა (სურ. 1).

თუთის მცენარისათვის დამახასიათებელი ფოთლის პოლიმორფიზმი ჩვენ შევისწავლეთ 1960—1968 წწ. (ჩვენი ცდების მონაცემების მიხედვით ფოთლის პოლიმორფიზმი დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მცენარის გენეტიკურ ბუნებაზე) და ის კანონზომიერებანი, რომელთაც უნდა მიექცეს ყურადღება გამორჩევის დროს, შემდეგია:

1. წარმოშობისა და მიუხედავად თუთის თესლნერგები პირველად იეითარებენ მთლიანფირფიტის ფორმის ფოთლებს, ე. ი. ეს ნიშან-თვისება განვითარების ის საფეხურია, რომელიც აუცილებლად უნდა გაიაროს თუთის მცენარემ.

2. პირველადი მთლიანფირფიტის ფორმის ფოთლები მორფოლოგიურად ერთნაირი აღნაგობისა და განვითარების შემდგომ პერიოდში ხდება ინდივიდუალური ნიშან-თვისებების ჩამოყალიბება, მაგრამ ისინი მაქსიმალურად კლინდებიან მცენარის განვითარების ბოლო პერიოდში.

3. თესლნერგები ფოთლის ფორმის მიხედვით სიცოცხლის პირველ წელს იძლევა ძალზე ჭრელ პოპულაციას: მიუხედავად იმისა, რომ ორივე შრობელა შეიძლება მთლიანფირფიტის ფოთლიანი იყოს, შთამომავლობაში მაინც გამოერევა დანაკვეთულფირფიტის და ნაირფირფიტის ფოთლიანი მცენარეების საკმაო რაოდენობა.

4. სიცოცხლის პირველ წელთაშემდარებით თესლნერგებზე მეორე წელს უმეტეს შემთხვევაში ფოთლის ფორმის მკვეთრი ცვლებადობა აღინიშნება და ამ მხრივ გამოიყოფა ხუთი ძირითადი ჯგუფი:



სურ. 1.



- ა) მთლიანფირფიტიან ფოთლიანი მცენარეები;
- ბ) დანაკეთულფირფიტიან ფოთლიანი მცენარეები;
- გ) ნაირფირფიტიან ფოთლიანი მცენარეები;
- დ) მცენარეები, რომლებზეც დანაკეთულფოთლიანობა იცვლება მთლიანით;

ე) მცენარეები, რომლებზეც დანაკეთულფოთლიანობა იცვლება ნაირფირფიტიანით.

5. „ღ“ და „ე“ ჯგუფის ჰიბრიდულ მცენარეებს ღეროს ქვედა ნაწილში უფითარდებთ უჯიშო, დანაკეთული ფორმის ფოთლები, ხოლო ზედა ნაწილში მთლიანფირფიტიანი ან ნაირფირფიტიანი კულტურული ფოთლები.

ჰიბრიდული მცენარეების სხვა ჯგუფები („ა“, „ბ“, „გ“) ღეროს ქვედა ნაწილში ივითარებენ უჯიშო, ხოლო ზედა ნაწილში — კულტურული აღნაგობის ფოთლებს, ე. ი. ჰიბრიდული მცენარე ონტოგენეზის პირველ პერიოდში ავლენს უჯიშო, ხოლო შემდეგ კულტურულ ნიშან-თვისებებს.

6. ყველა ჯგუფის ჰიბრიდული მცენარეები მედეგად ინარჩუნებენ ონტოგენეზის ბოლო პერიოდში გამოვლენილ კულტურულ ნიშან-თვისებებს ყოველგვარ პირობებში.

ზემოთ აღნიშნული დასკვნებიდან გამომდინარე ისმება კითხვა, თუ რატომ ახასიათებს თუთის ჰიბრიდულ მცენარეს ონტოგენეზის პირველ ეტაპზე უჯიშო მცენარისათვის დამახასიათებელი ფოთლიანობა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის მცენარის მემკვიდრული ნიშან-თვისების (ფილოგენეზი) გამოვლინება ონტოგენეზის ადრეულ პერიოდში.

ლიტერატურული მასალებით, ანალოგიურ ნიშან-თვისებებს ავლენს სხვა მრავალწლიანი მცენარეების ჰიბრიდული თაობაც, ავტორთა ერთი ჯგუფი მიუთითებს, რომ ჰიბრიდული მცენარეები განვითარების პირველ ეტაპზე ავლენენ უჯიშო ნიშან-თვისებებს და მათი გამორჩევა ძალიან სიფრთხილით, დაკვირვებულად უნდა ჩატარდეს, რადგან აჩქარებული წუნდებისას შეიძლება ძვირფასი ჰიბრიდები დაკარგოთ.

ი. ჩირიკოვი, ს. ზინკინა, მ. შაბლოვსკაია, გ. ხალათიანი და სხვები აღნიშნავენ განვითარების მოგვიანო პერიოდში თუთის მცენარის საბოლოო გამორჩევის აუცილებლობის შესახებ.

ჩვენს ცდებშიც თუთის ჰიბრიდულ მცენარეებზე გვიან პერიოდში (მე-4, 5 წელს) გამოიმქლავნდა სრულყოფილად კულტურული ნიშან-თვისებები და ისიც მცენარის ხნიერ ნაწილში. ამიტომ ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეში ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტად მიგვაჩნია გამორჩევა, რადგან მის სრულყოფილ ჩატარებაზე დამოკიდებული დადებითი შედეგების მიღება.

ჩვენს ცდებში ზოგჯერ ჰიბრიდული მცენარეების ღეროზე უჯიშო ფოთლიანობა ვლინდება 100—400 სმ-ის სიმაღლეზე, რაც შემდგომში იცვლება კულტურულფოთლიანობით.

ჩვენ პირველ გამორჩევას ვურჩევთ მცენარის სიციცხლის მე-2—3 წლის ბოლოს (სექტემბერ-ოქტომბერი), მეორე გამორჩევას მე-3—4 და საბოლოო მე-4—5 წელს (ივნისი). გამორჩევას ვაწარმოებთ ჰიბრიდული მცენარის ინ-

დღეიდან აღური განვითარების ხნიერ ნაწილში გამოვლენილი ნიშან-თვისებების ერთობლიობის გათვალისწინებით.

პიბრიდული მცენარეების წინასწარი შესწავლისა და მათი მემკვიდრეობის გაანალიზების შემდეგ გამოვყოფთ პერსპექტიულ ფორმებს, მათგან უკეთეს ტურული ნიშან-თვისებების მიხედვითაც კი პიბრიდული მცენარეების გამორჩევისას (ფოთლის სიდიდე, მუხლთშორისი მანძილის სიმოკლე, ზრდის ინტენსივობის სიძლიერე და სხვ.) შეიძლება შეეცდომა დაეუშვათ, რაც გვიწვევს ჯიშთგამოცდის ნაკვეთში ჩატარებულმა ფოთლის მოსავლის აღრიცხვამ და მოსავლიანობის სტრუქტურული ანალიზის შედეგებმა.

შეიძლება პიბრიდულ მცენარეს მუხლთშორისი მანძილი მოკლე და დიდი ზომის ფოთოლი ჰქონდეს, მაგრამ ზრდის ინტენსივობა ძალზე მცირე, ფოთოლი თხელი და მზარდი ყლორტების წარმოქმნის სუსტი უნარი გააჩნდეს. ე. ი. მარტო მუხლთშორისის სიმოკლე და ფოთლის სიდიდე არაა გადამწყვეტი კრიტერიუმი.

შეიძლება პიბრიდულ მცენარეს გრძელი მუხლთშორისი და შედარებით მცირე ზომის ფოთლები ჰქონდეს, მაგრამ ახასიათებდეს ზრდის ძლიერი ინტენსივობა, მძიმე, სქელი ფოთოლი, დიდი რაოდენობით ტოტებისა და მზარდი ყლორტების წარმოქმნის უნარი და ამის საფუძველზე მაღალმოსავლიანი იყოს, ე. ი. გრძელი მუხლთშორისი და შედარებით მცირე ზომის ფოთლები ყოველთვის არ შეიძლება მივიჩნიოთ უარყოფით ნიშან-თვისებად.

შეიძლება პიბრიდულ მცენარეს ძალზე ძლიერი ზრდის ინტენსივობა ახასიათებდეს, მაგრამ ფოთლის ზომა და წონა მცირე ჰქონდეს, მუხლთშორისი გრძელი და არ ახასიათებდეს ტოტებისა და მზარდი ყლორტების წარმოქმნის დიდი უნარიანობა და, მაშასადამე, მცირემოსავლიანი იყოს, ე. ი. შეფასების დროს მარტო ზრდის ინტენსივობაც არაა გადამწყვეტი.

შეიძლება პიბრიდულ მცენარეს ახასიათებდეს დადებითი ნიშან-თვისებების ერთობლიობა (დიდი ზომის და სქელი ფოთოლი, მოკლე მუხლთშორისი, მზარდი ყლორტების წარმოქმნის ძლიერი უნარიანობა) და, მაშასადამე, ფოთლის მაღალი მოსავლიანობა, მაგრამ დაავადების მიმართ მიმდებარე იყოს, ან სამეურნეო ვარგისიანობა მდარე ჰქონდეს.

ამრიგად, თუთის პიბრიდული მცენარეების გამორჩევის დროს საჭიროა დიდი სიფრთხილე, სიზუსტე და დაკვირვება. სრულყოფილი შეფასებისათვის აუცილებელია მრავალჯერადი გამორჩევის ჩატარება, რის შემდეგ შეიძლება მათი შეფასება ისეთი ძირითადი ნიშან-თვისებების ერთობლიობის გათვალისწინებით, როგორცაა: ფოთლის მოსავლიანობა და ხარისხი, სამეურნეო ვარგისიანობა, დაავადების მიმართ გამძლეობა.

ჩვენ მიერ გამოჩეული ფორმების ნაწილი გამოიცადა ჯიშთგამოცდის I სერიაში (დილომი, 1965-68 წწ.), ხოლო ნაწილი 1968 წლიდან გამოცდას გადის დაავადება ხუჭუქა წვრილფოთლიანობის გამძლეობაზე ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ სადგურში.



1. 1959—1971 წწ. შერჩეულია თეთის 400-მდე ჰიბრიდული ფორმები.
2. ჭიშთგამოცდის I სერიიდან გამოყოფილია ფორმები — № 4, № 8, № 13, რომელთა ფოთლის საშუალო მოსავლიანობა 1 ჰა-ზე შეადგენს: გრუზია (საკონტროლო) — 76 ც — 100,0%, ფორმა № 4—84 ც — 110%, ფორმა № 8 — 73 ც — 96,00%, ფორმა № 13 — 78 ც. — 102, 5%.
3. დაავადება თეთის ხეებზე წვრილფოთლიანობის მიმართ გამძლეობაზე გამოცდის შედეგად:
 - ა) ფორმები № 8, 68, 76 (სამი წლის მონაცემებით) გამოირჩევა შედარებით მაღალი გამძლეობით.
 - ბ) ფორმები № 74, № 108, №109, № 121, № 134, № 137, № 138, № 154, № 165 ორი წლის მონაცემებით არ ავადდებიან.

P. B. KBAHADZE

К ВОПРОСУ ОТБОРА ПРИ СЕЛЕКЦИИ ШЕЛКОВИЦЫ

Резюме

При селекции шелковицы обращено особое внимание на следующие закономерности:

1. На сеянцах шелковицы, независимо от ее происхождения, вначале развиваются цельные листья, однородные по морфологическим признакам. В последующие периоды онтогенеза происходит максимальное обособление индивидуальных признаков.

2. Гибридные растения в первые годы жизни проявляют дикие признаки:

а) В группе растений после первичных цельных листьев развиваются в разной степени изрезанные листья, а в дальнейшем больших размеров цельные или разнопластические культурные листья.

б) В другой группе растений, не характеризующихся разнолистностью, в нижней части стебля развиваются листья дикого, а в верхней — культурного происхождения.

3. Гибридные растения шелковицы в последний период онтогенеза характеризуются культуролистностью, сохраняя при всех условиях выявленные признаки.



ბ. ნიკოლეიშვილი, ლ. აბაზაშვილი,
ბ. ნიკოლეიშვილი, ზ. კახიანიძე

საქოლმეურნეო აბრეშუმის პარკის თვითღირებულება და მისი შემცირების გზები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შრომისნაყოფიერების 37—40% გადიდება და პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება.

სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად დიდად განვითარდება მე-აბრეშუმეობა და გაიზრდება ნატურალური აბრეშუმის ქსოვილების წარმოება.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1969 წელს 1 ც აბრეშუმის პარკის თვითღირებულება შეადგენდა საშუალოდ 499,2 მანეთს, 1970 წ. — 556,3 მან. და 1971 წ. — 574,6 მანეთს, ხოლო მისი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი იმდენად დაბალი იყო, რომ კოლმეურნეობები ყოველწლიურად ზარალობდნენ საშუალოდ 3,2 მილიონ მანეთს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით აბრეშუმის პარკის თვითღირებულების ამსახველი მასალები მოტანილია 1-ელ ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, შესწავლას დაქვემდებარებულ წლებში პარკის თვითღირებულება, სპეციალიზაციის ყველა ზონაში მაღალია, მაგრამ იმ რაიონებში, სადაც მეაბრეშუმეობა სუსტადაა განვითარებული უფრო არასახარბიელო სურათია.

სპეციალიზაციის პირველ ზონაში (ახმეტა, თელავი, გურჯაანი, ყვარელი, ლაგოდეხი) მერვე ხუთწლედის თითოეულ წელს აწარმოებდნენ საშუალოდ (416,6 ტ) რესპუბლიკაში დამზადებული პარკის 13,1%. ზონაში 1960 წ. 1 ც პარკის თვითღირებულება იყო 387,5 მან. 1965 წ. — 793,5 და საშუალოდ 1966—1970 წწ. — 474,6 მანეთი.

მერვე ხუთწლედში ლაგოდეხის რაიონზე მოდიოდა ზონის კოლმეურნეობებში წარმოებული პარკის 48,2%, ყვარლის რაიონზე — 18,0%, ხოლო დანარჩენ რაიონებზე — 33,8%.



ზონები	1960	1966-70	
ილიწის ვაკის შეფენახეობის ზონა შეთანხმებული	387,5	793,5	474,6
გარეკახეთის ზეგნის მარცხენა-მეცხოველეობის ზონა	617,2	666,0	690,0
ქვემო ქართლის დაბლობის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა	628,0	390,5	473,5
შიდა ქ. რაჭის დაბლობის მეხილეობის ზონა	1012,5	813,6	857,8
ემკრეთის მაღლობისა და რეკალახუნის ქვე-ბურის შეფენახეობის ზონა	435,2	372,0	436,0
შეთანხმებული და სუბტროპიკული მეხილეობის ქვე-ზონა განვითარებული საგარეუბნო სოფლის მეურნეობით		626	395,6
მეჩაიეობის და სუბტროპიკული მეხილეობის ქვე-ზონა	354,7	578,6	516,6
მეჩაიეობის ქვე-ზონა განვითარებული საგარეუბნო სოფლის მეურნეობით	447,5	520,0	442
სულ სეპარტევის სსრ-ში	396,3	579,1	456,6

ამ პერიოდში ლავოდების რაიონში 1 ც პარკის თვითღირებულება შეადგენდა 366,7 მანეთს და ყვარელში — 473,9 მანეთს, ხოლო ახმეტაში იგი უდრიდა — 571,6, თელავში — 684,5 და გურჯაანში — 650 მანეთს, რაც ბევრად აღემატება ზონისა და რესპუბლიკის შესადარ მაჩვენებლებს.

როგორც პირველ ცხრილში მოტანილი მასალებიდან ჩანს, აბრეშუმის პარკის თვითღირებულება 1965 წ. უფრო მაღალია, ვიდრე შესწავლას დაქვემდებარებულ დანარჩენ წლებში. ეს ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ გაზაფხულის წაყინებმა ძლიერ დააზიანა თუთის ნარგავობა, რასაც თან მოჰყვა მოსახლეობაში დარღვეული ჭიის გარკვეული რაოდენობის იძულებითი განადგურება და პარკის მოსავლიანობის შემცირება.

პარკის თვითღირებულებაზე უარყოფითად იმოქმედა აგრეთვე იმანაც, რომ რეალიზებული ჭიის კოლოფების საერთო რაოდენობაში ძალზე შემცირდა საკოლმეურნეო გამოკვების ხედრითი წონა და გაიზარდა არაპირდაპირი დანახარჯები. არაპირდაპირი დანახარჯები ზოგიერთ რაიონში მაღალი იყო მონდევნო წლებშიც. ასე, მაგ., 1966—1970 წწ. ლავოდების რაიონის საკოლმეურ-

1 ცხრილი შედგენილია კოლმეურნეობების წლიური ანგარიშების მიხედვით.

ნო პარკის თვითღირებულებაში საერთო-საწარმოო და საერთო-სამეურნეო დანახარჯებზე მოდიოდა დაახლოებით 1%, ყვარელში — 11,6%, გურჯაანში — 17,7% და ახმეტაში 18,2%.

სპეციალიზაციის II ზონაში (სიღნაღი, წითელწყარო, საგარეჯო) მარცხენა კის თვითღირებულება 1960 წ. უდრიდა 617,2 მანეთს, 1965 წ. — 666,6 და საშუალოდ 1966—1970 წწ. 680,0 მანეთს, რაც რესპუბლიკის შესადარ მაჩვენებელს აღემატება შესაბამისად 55,6, 15,0 და 37,4%-ით.

მერვე ხუთწლედის თითოეულ წელს ზონაში მზადდებოდა (60,5 ტ) რესპუბლიკაში წარმოებული პარკის საერთო რაოდენობის 1,7%. 1960 წ. სიღნაღის რაიონში 1 ც პარკის თვითღირებულება იყო 535,6, 1965 წ. — 554,2 და საშუალოდ 1966—1970 წწ. — 638,8 მანეთი, ხოლო საგარეჯოში შესაბამისად 1086,7, 1088,0 და 1051,4 მანეთი.

მერვე ხუთწლედის თითოეულ წელს სიღნაღის რაიონის კოლმეურნე მე-აბრეშუშეებმა თითოეული კოლოფი ჭიიდან მიიღეს საშუალოდ 34,3 კგ პარკი. ხოლო საგარეჯოელებმა 22,1 კგ-ი. პირველში მზადდებოდა ზონაში წარმოებული პარკის 87,4% და მეორეში — 12,6%.

სიღნაღის რაიონში არაპირდაპირ დანახარჯებზე მოდიოდა პარკის თვითღირებულების 14%, ხოლო საგარეჯოში — 23%.

სპეციალიზაციის III ზონის მეაბრეშუშე რაიონებში (მცხეთა, მარნეული, ბოლნისი) მერვე ხუთწლედის თითოეულ წელს მოჰყავდათ (42,7 ტ) რესპუბლიკაში დამზადებული პარკის 1,2%.

თითოეული ც პარკის თვითღირებულება 1960 წ. იყო 628,0 მან, 1965 წ. — 390,5 და საშუალოდ 1966—1970 წლებში 473,5 მანეთი. მიუხედავად თვითღირებულების ერთგვარი შემცირებისა მეაბრეშუშეობის მდგომარეობა სახარბიელო მაინც არ არის. ზონაში პარკის წარმოება შემცირების ტენდენციით ხასიათდება და მოსავლიანობაც უფრო დაბალია, ვიდრე რესპუბლიკაში საშუალოდ. ამასთან ერთად ჭიათმევებაობაში მექანიზაციის საშუალებანი არ ყოფილა გამოყენებული და არც მეცნიერების უახლესი მიღწევები დაუწერავთ წარმოებაში. ცხადია ასეთ ვითარებაში თვითღირებულების შემცირების ობიექტური პირობები არ იყო და იგი დანახარჯების არასწორი აღრიცხვა-განაწილების შედეგია.

პარკის თვითღირებულების თვალსაზრისით განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა V ზონის მეაბრეშუშეობის (კასპი, გორი, ქარელი) ყველა რაიონში.

ზონის საშუალო მონაცემებით 1 ც პარკის თვითღირებულება 1960 წელს შეადგენდა 1012,5 მანეთს, 1965 წ. — 813,6 და საშუალოდ 1966—1970 წწ. 867,8 მანეთს, რაც რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებლებს აღემატება შესაბამისად 2,5-ჯერ, 1,4-ჯერ და 1,9-ჯერ.

გორისა და ქარელის რაიონებში 1 ც პარკის თვითღირებულება ზოგიერთ წლებში 1000 მანეთზე მეტია, ხოლო კასპში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. თუმცა ამ უკანასკნელშიც 1965 წ. 1 ც პარკის წარმოებაზე დახარჯეს 866,6 მანეთი, რაც მიღებულ შემოსავალს თითქმის სამჯერ აღემატება.

5. შრომები, ტ. XCI, 1975

მერვე ხუთწლედში კასპის რაიონში პარკის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებში არაპირდაპირ ხარჯებს ეკავა 22,4%, ხოლო გორში — 29,5%.

უნდა აღინიშნოს, რომ არაპირდაპირი დანახარჯები ორჯერ, ჩვეულებრივ მართლებლად მაღალია, მაგრამ ასეთ პირობებშიც გორის რაიონში შემცირებინა კასპის რაიონის დონემდე 1 ც პარკის წარმოება 82,4 მანეთით ნაკლები დაუჯდებოდა.

სეციალიზაციის VIII ზონის რაიონებში (თერჯოლა, ზესტაფონი, ჭიათურა, საჩხერე, ორჯონიკიძე, მაიაკოვსკი, ვანი, ცაგერი, ამბროლაური) მერვე ხუთწლედის თითოეულ წელს აწარმოებდნენ საშუალოდ 354,2 ტ პარკს, რაც რესპუბლიკის შესაღარი მაჩვენებლის 10%-ია.

ამავე პერიოდში საკოლმეურნეო გამოკვების თითოეული კოლოფი ჭიდანღებულობდნენ 35,7 კგ პარკს, ანუ 11,6% მეტს, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში.

ზონაში თითოეული პარკის თვითღირებულება 1960 წ. იყო 435,2 მანეთი, 1965 წ. — 372,0 და საშუალოდ მერვე ხუთწლედში 436,3 მანეთი.

1966—1970 წლების საშუალო მონაცემებით თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებში 1 ც პარკის თვითღირებულება შეადგენდა საშუალოდ 442,0 მანეთს; ზესტაფონში — 464,5; ჭიათურაში — 426,4; საჩხერეში — 440,2; ორჯონიკიძეში — 412,0; მაიაკოვსკში — 573,4; ვანში — 382,0; ცაგერში — 408,9 და ამბროლაურში 483,4 მანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ზონის ბევრ რაიონში პარკის თვითღირებულება დაბალია ვიდრე რესპუბლიკაში, მეაბრეშუმეობა რენტაბელური მაინც არ არის.

სეციალიზაცია X^ა ქვეზონის ზოგიერთ რაიონში (გაგრა, გუდაუთა, სუხუმი, გულრიფში) შეიმჩნევა პარკის თვითღირებულების მკვეთრი ცვალებადობა, მაგალითად, გუდაუთაში 1960 წ. იგი უდრიდა 390,3 მან., 1965 წ. — 878,0 და საშუალოდ 1966—1970 წწ. 388,7 მანეთს.

ზონის საშუალო მონაცემებით 1965 წ. 1 ც პარკის წარმოებაზე გაწეული დანახარჯები შეადგენდა 626,0 მან., ხოლო 1966-70 წლებში — 395,6 მანეთს ანუ 27% ნაკლებს.

ცხადია, პარკის თვითღირებულების შემცირება მეტად მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ საინტერესოა რის საფუძველზე მოხდა იგი? უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ წლებში თითოეული კოლოფი ჭიდან პარკის მოსავლიანობა უკიდურესად დაბალი იყო. ამასთან აბრეშუმის ჭიის გამოკვების პროცესში მექანიზაციის რაიმე საშუალებანი არ ყოფილა გამოყენებული და არც ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშები ან მნიშვნელოვანი მეცნიერული მიღწევა დაუნერგავთ წარმოებაში. ასეთ ვითარებაში პარკის თვითღირებულების შემცირება ნაწილობრივ განაპირობა იმან, რომ 1966 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობებში წარმოებული პარკის რაოდენობა, მაგრამ ძირითადად იგი მაინც არაპირდაპირი დანახარჯების უსწორო განაწილების შედეგია. მაგ., 1965 წ. პარკის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებში საერთო-საწარმოო და

საერთო-სამეურნეო ხარჯებს ეკავა 5,1%, ხოლო 1966-70 წლებში ნელ-ნელა რად შეამცირეს 1%-მდე.

სტეციალიზაციის X. ბ ქვეზონაში მიუხედავად იმისა, რომ თუთის რაიონში და ფართოდაა გავრცელებული 1966-70 წლებში მოიყვანეს კომპლექსურნობებში დამზადებული პარკის 56%-ზე მეტი. ამიტომ ამ ზონის რაიონებში პარკის თვითღირებულების დონე დიდ გავლენას ახდენს რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებლებზე. ზონაში 1 ც პარკის თვითღირებულება 1960 წ. იყო 354,7 მან., 1965 წ. — 578 და საშუალოდ 1966-70 წლებში — 510,7 მანეთი.

1965 წ. პარკის მაღალი მოსავლიანობის მიუხედავად თვითღირებულება ზონის თითქმის ყველა რაიონში მეტია, ვიდრე შესასწავლად აღებულ სხვა წლებში. რაც ძირითადად იმავე მიზეზებით არის გამოწვეული, რაზედაც საუბარი გვექონდა I ზონის მასალების განხილვის დროს.

მერვე ხუთწლედში პარკის შედარებით მაღალი თვითღირებულება მრავალი ფაქტორით იყო გაპირობებული, მაგრამ ყველაზე ცუდად იმოქმედა თუთის დავადების ფართოდ გავრცელებამ. საკვები ბაზის უკმარობის მიზეზით ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ქიების იძულებით მოსპობას და დაბალი იყო პარკის მოსავლიანობაც. კომპლექსურნობები დიდ ხარჯებს ეწეოდნენ აგრეთვე საკვების შექმნა-გადმოზიდვაზე.

პარკის მაღალი თვითღირებულება სხვა ფაქტორებთან ერთად გაპირობებულია იმითაც, რომ ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია მეაბრეშუმეთა შრომის ანაზღაურება და სწორად არ ხდება არაპირდაპირი დანახარჯების განაწილება.

სამწუხაროდ პარკის თვითღირებულება ხშირად მაღალია მეაბრეშუმეთების ძირითად რაიონებშიც. მაგ., მახარაძეში 1960 წ. 1 ც პარკის თვითღირებულება იყო 410,0 მან., 1965 წ. — 607,5 და 1966—1970 წწ. — 609,4 მანეთი. ეს მით უფრო გაუმართლებელია რომ მახარაძეში დასახელებულ წლებში განმეორებითი გამოკვება არ ჩატარებულა და პარკის მოსავლიანობაც მაღალი იყო. მახარაძის რაიონში პარკის თვითღირებულებაზე სხვა ფაქტორებთან ერთად უარყოფითად მოქმედებს ის გარემოებაც, რომ აჭაური კომპლექსურნობები ხშირად მეაბრეშუმეებს კი არ ახდევინებენ გრენის, ფორმალინის, ქალაღდის და ფოთლის ღირებულებას, არამედ თვითონ ეწევიან ამ ხარჯებს, რაც სწორი არ არის.

მერვე ხუთწლედში პარკის თვითღირებულება ზონის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით მაღალი იყო ქობულეთის (847,7), ბათუმის (746,4), ლანჩხუთის (561 მან.), ზუგდიდის (520,7 მან.) და წალენჯიხის (577,6 მან.) რაიონებში, ხოლო უფრო დაბალი ოჩამჩირის (399,5 მან.), ხობის (324,0 მან.), ჩოხატაურის (492,0 მან.), წულუკიძის (448,1 მან.), ცხაკაიას (446,7 მან.), ჩხოროწყუს (458,7 მან.), გალისა (465,4 მან.) და გეგეჭკორის რაიონებში.

X. ბ ქვეზონის (აბაშა, სამტრედია, წყალტუბო, ტყიბული) საშუალო მონაცემებით 1 ც პარკის თვითღირებულება 1960 წ. შეადგენდა 447,6 მან., 1965 წ. — 520,0 და საშუალოდ 1966-70 წლებში 442,0 მანეთს. ვაცილებით მაღალი იყო იგი ტყიბულსა (579,7; 545,8; 563,5 მან) და წყალტუბოში (454,5;

576,4 და 527,0 მან.), ხოლო შედარებით დაბალი აბაშის და სამტრედიის რაიონებში.



მერვე ხუთწლედის საშუალო მონაცემებით აბრეშუმის პარკის ტვითღირებულება ყველაზე მაღალი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების III და IV ზონაში, ხოლო შედარებით დაბალი Xა და X ბ ქვეზონაში.

უნდა აღინიშნოს, რომ პარკის თვითღირებულებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მაგრამ ამჟამად დაწვრილებით განვიხილავთ მხოლოდ არაპირდაპირი დანახარჯების მეაბრეშუმეობაზე მიკუთვნების ზოგიერთ საკითხს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ საკოლმეურნეო აბრეშუმის პარკის თვითღირებულების გაანგარიშების მოქმედი წესი ზუსტად ვერ ასახავს მეაბრეშუმეობის თავისებურებას, ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებით და აუცილებელია მისი სრულყოფა.

როგორც აღნიშნული გვექონდა, საკოლმეურნეო აბრეშუმის პარკის თვითღირებულება მაღალია არა მარტო მეაბრეშუმეობის ჩამორჩენილ, არამედ მიწინავე რაიონებშიც. თუმცა ამ უკანასკნელში იგი უფრო დაბალია, ვიდრე პირველში. მაგალითად, მახარაძის რაიონში 1969 წ. 1 ც პარკის თვითღირებულება შეადგენდა საშუალოდ 594,2 მანეთს, 1971 წ. — 736,4 მანეთს, ხოლო გორის რაიონში, სადაც მეაბრეშუმეობა სუსტადაა განვითარებული, შესაბამისად — 1034,8 და 1098,4 მანეთს.

ამავე რაიონის სოფ. კარბის სტალინის სახ. კოლმეურნეობაში 1968 წ. 1 ც პარკის წარმოება დაუჭდათ 1907 მანეთი და 1970 წ. — 832 მანეთი, ხოლო სოფ. ნიქოზის კიროვის სახ. კოლმეურნეობაში შესაბამისად — 1335,6 და 1041,5 მანეთი.

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, აბრეშუმის პარკის თვითღირებულება მაღალია და წლების მიხედვით დიდი ცვალებადობით ხასიათდება. ამასთან ცვალებადობა შეინიშნება არა მარტო განსხვავებულ ბუნებრივ ეკონომიურ პირობებში მყოფ რაიონებს შორის, არამედ ერთი და იმავე რაიონის ისეთ კოლმეურნეობებშიც, რომელთაც მეაბრეშუმეობის თვალსაზრისით თითქმის ერთნაირი პირობები აქვთ. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფ. მთისპირისა და სოფ. მელექედურის კოლმეურნეობაში 1970 წ. თითოეული კოლოფი ჭიიდან პარკის მოსავლიანობა შეადგენდა 40 კგ, ხოლო 1 ც პარკის თვითღირებულება დიდად განსხვავებული იყო. პირველ კოლმეურნეობაში იგი უდრიდა 434 მანეთს, ხოლო მეორეში — 1151 მანეთს.

გალის რაიონის სოფ. წარჩეს ეშბას სახელობისა და ამავე სოფლის „წითელი დროშის“ სახ. კოლმეურნეობები ერთ სასოფლო საბჭოში შედიან. 1971 წელს ორივე კოლმეურნეობა თითქმის თანაბარი რაოდენობით ჭიის კოლოფებს უღლიდა და საკვები ბაზის მდგომარეობაც ერთნაირი ჰქონდათ. ეშბას სახ. კოლმეურნეობამ თითოეული კოლოფი ჭიიდან მიიღო 34,4 კგ პარკი, ხოლო „წითელი დროშის“ კოლმეურნეობამ — 32,4 კგ. მიუხედავად ამისა 1 ც პარკის თვითღირებულება პირველ კოლმეურნეობაში შეადგენდა 444, 5 მანეთს, ხოლო მეორეში — 13%-ით ნაკლები იყო.

აბრეშუმის პარკის თვითღირებულების შემცირება მისასაღმებელია, თუ იგი



ვაპრობებულია მეცნიერების უახლეს მიღწევათა წარმოებაში დანერგვის, პარკის მოსავლიანობის გადიდების და მექანიზაციის დონის ამაღლების საფუძველზე მაგრამ დასახლებულ რაიონებსა და კოლმეურნეობებში, იგი პირდაპირი დანახარჯების აღრიცხვის მოუწესრიგებლობისა და არაპირდაპირი დანახარჯების უსწორო განაწილების შედეგია. ცხადია, მომავალში ასეთი მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია და უნდა ვიზრუნოთ მისი ნორმალიზაციისათვის. საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ პარკის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურა, მეცნიერულად გავაანალიზოთ იგი და დავსახოთ კონკრეტული დონისძიებანი თვითღირებულების შესამცირებლად.

მეაბრეშუმეობის თავისებურებიდან გამომდინარე პარკის თვითღირებულებაში კველაზე მაღალია შრომის პირდაპირი დანახარჯების ხვედრი წონა, ხოლო მეცხოველეობის სხვა დარგებში — საკვების დანახარჯები. ასე, მაგალითად, 1969—1971 წლების საშუალო მონაცემებით რესპუბლიკის კოლმეურნეობებში წარმოებული პარკის თვითღირებულებაში შრომის პირდაპირ დანახარჯებს ეკავა 73,2% და საკვებისას — 3,6%, ხოლო საშუალოდ მეცხოველეობის სხვა დარგებში 34,4 და 38,9%.

მეაბრეშუმეობა სპეციფიური დარგია და მრავალი თავისებურებით ხასიათდება, რომელთაგან ძირითადია წარმოების მოკლე ციკლი. ეს პერიოდი მოსამზადებელი სამუშაოების ჩათვლით გრძელდება დაახლოებით 1,5—2 თვე და გარდა ჭიის კვების მეხუთე ასაკისა მუშახელის მეტად მცირე რაოდენობას მოითხოვს.

ამასთან ერთად მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ საქართველოში აბრეშუმის ჭიის გამოკვება თითქმის მთლიანად კოლმეურნეთა ბინებში ტარდება წვრილ პარტიებად. გამოკვების მიმდინარეობაზე კონტროლს სათაო პარკსაშრობის წარმომადგენლებთან ერთად კოლმეურნეობებიც ახორციელებენ, მაგრამ ძირითადი პასუხისმგებლობა მაინც მეაბრეშუმეებს ეკისრება.

გადაუპარბებლად შეიძლება ითქვას, რომ კოლმეურნეთა ინდივიდუალურ ბინებში მოწყობილი გამოკვება თავისი შინაარსით არ არის განზოგადებული და ჩვენ ფორმალურად ვაკუთვნებთ მას, რაც დიდ სირთულეებს ქმნის მუშაობაში.

აღნიშნული და სხვა თავისებურებანი არ არის გათვალისწინებული პარკის თვითღირებულების განსაზღვრის ამჟამად მოქმედ მეთოდისაში, რის გამოც მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა საერთო-საწარმოო და საერთო-სამეურნეო დანახარჯების მეაბრეშუმეობაზე მიკუთვნების საქმეში. ასე, მაგალითად, თუ ლაგოდხის რაიონის (1969—1971 წწ) საკოლმეურნეო პარკის თვითღირებულებაში ამ სახის დანახარჯებს ეკავა 0,01%, ზესტაფონში იგი უდრიდა 5,0%, გალში — 7,8%, ზუგდიდში — 12%, საგარეჯოში — 20,0% და გორში — 28,7%. ეს იმაზე მიუთითებს, რომ არაპირდაპირი დანახარჯების განაწილების საქმეში არის სერიოზული წაკლოვანებანი.

ამჟამად საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში პარკის თვითღირებულების შემცირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების უახლეს მიღწევათა წარმოებაში დანერგვისა და მექანიზაციის დონის ამაღლების პარა-

ლეულრად შრომის პირდაპირი დანახარჯების შემცირებას. ამ მიზნით კომპლექსური სრულყოფილი გატარება შესაძლებელია მხოლოდ გამსხვილებული გამოცდების პირობებში და მის წარმოებაში ფართოდ დანერგვას მეტი ყურადღება მიექცეს. პარკის წარმოების გაიაფების დიდი რეზერვია ატარებულია კოლოფი ქიდან მოსავლიანობის გადიდება და პირდაპირი ფულად-მატერიალური დანახარჯების შემცირება.

მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი გარემოება. კერძოდ, საქართველოში საკომეურნეო თუთის პლანტაციის რიგთშორისებში საკმაო რაოდენობით მოჰყავთ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მაგრამ დანახარჯებს მთლიანად მეაბრეშუმეობას აკუთვნებენ. ამიტომ ზუსტად უნდა აღირიცხოს პლანტაციებში წარმოებული ყველა სახის პროდუქცია და მიღებული შემოსავლის პროპორციულად განაწილდეს არაპირდაპირი ხარჯები.

პარკის თვითღირებულების გაანგარიშებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საერთო-საწარმოო და საერთო-სამეურნეო ხარჯების სწორად განაწილებას. ამის აუცილებლობა იქიდან გამომდინარეობს, რომ კომეურნეობებში პარკის წარმოებაზე გაწეული შრომის პირდაპირი დანახარჯები დიდია და რადგანაც არაპირდაპირი დანახარჯებს ანაწილებენ შრომის პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად, ხშირად მეაბრეშუმეობას დაუმსაწურებლად აკუთვნებენ არაპირდაპირი დანახარჯების დიდ რაოდენობას ან პირიქით.

ასე, მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფ. მელექედურის კომეურნეობაში 1970 წელს პარკის წარმოებაზე გაწეული საერთო დანახარჯებიდან (19564 მ.) არაპირდაპირი დანახარჯებზე მოდიოდა (6130) 31,3%, სოფ. ასკანის კომეურნეობაში — 19,2%, ხოლო მთისპირის კომეურნეობაში — 2,2%. არაპირდაპირი დანახარჯების ასეთნაირი განაწილების შედეგად 1 ც პარკის თვითღირებულება სოფ. მელექედურის კომეურნეობაში შეადგენდა 1151 მანეთს, სოფ. ასკანის კომეურნეობაში — 690 მან. და სოფ. მთისპირის კომეურნეობაში — 234 მანეთს.

მელექედურის კომეურნეობაში 1971 წ. მეცხოველეობის დარგებში საერთო-საწარმოო ხარჯები შეადგენდა 42460 მანეთს. ვინაიდან მეცხოველეობის დარგებიდან მიღებულ შემოსავალში მეაბრეშუმეობას ეკავა 10,2%, მას მიეკუთვნა საერთო-საწარმოო დანახარჯები 4 ათას მანეთზე მეტი რაოდენობით.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთო-საწარმოო დანახარჯების ასეთნაირი განაწილებას არავითარი გამართლება არა აქვს იმიტომ, რომ მეცხოველეობის სხვა დარგებში მომუშავე ფერმის გამგეები, ბრიგადირები და ზოოვეტერსონალი სრულებით არ ემსახურებიან მეაბრეშუმეობას.

1971 წელს მთიკოვესკის რაიონის დაბა მთიკოვესკის კომეურნეობის შრომის პირდაპირი დანახარჯებში მეაბრეშუმეობას ეკავა 10,5%. ამავე წელს საერთო დანიშნულების შენობა-ნაგებობათა ამორტიზაციის ანარიცხები შეადგენდა 2138 მანეთს, რომლის 10,5%, ანუ 224,5 მან. მეაბრეშუმეობას დაეწერა.

დასახელებულ წელს საერთო-სამეურნეო ხარჯები შეადგენდა 15364 მან., ხოლო საერთო-საწარმოო — 2691 მან. მათგან მეაბრეშუმეობას მიეკუთვნა

აბრეშუმის პარკის წარმოებაზე ვაჭრული დანახარჯების სტრუქტურის მარკეტინგული
(საშუალოდ 1969—1971 წლებში)¹

№ რ. ბ. ბ.	რაიონის დასახელება	სულ დანახარჯები (სიის მანეთობით)	მათ შორის %				
			შრომის პირდაპირი დანახარჯები	საკვების დანახარჯები	ამორტიზაციის ანარაქსები	დანარჩენი პირდაპირი დანახარჯები	საერთო-საწარმოო და საკუთრივ სემეურნეულო ხარჯები
	ლაგოდეხი	801,3	99,4	0,1	0,1	0,4	0,01
	თელავი	394,6	75,8	1,1	0,1	10,2	12,8
	საგარეუგო	46,0	46,4	6,4	4,2	22,2	20,8
	გორი	72,0	49,0	5,6	1,2	16,5	28,7
	ზესტაფონი	104,0	83,3	1,0	—	10,7	5,0
	მხარაძე	1508,0	60,5	6,8	0,5	12,7	19,5
	გალი	489,6	89,4	0,2	0,07	2,52	7,8
	ზუგდიდი	870,3	70,4	6,3	0,4	10,9	12,0
	ვეჯიკორი	500,6	73,2	1,7	0,2	9,5	15,4
	სულ საქართველოს სსრ-ში	11628,0	73,2	3,6	0,5	10,2	12,5

¹ ცხრილი შედგენილია კოლმეურნეობების წლიური ანგარიშების მიხედვით.

შესაბამისად 1613,2 და 282,5 მან. ისმება კითხვა: სწორია არაპირდაპირი დანახარჯების ასეთნაირი განაწილება? ფორმალურად სწორია, მაგრამ ფაქტიურად სინამდვილეს არ ასახავს. არ შეიძლება შეაბრეშუმეობას მიეკუთვნოს საერთო დანიშნულების მსუბუქი ავტომანქანების, ცოცხალი გამწვევი ძალისა და ელექტრომოწყობილობის ამორტიზაციის 10,5%, რადგან ყოველივე ეს უმეტეს შემთხვევაში სრულებით არ გამოიყენება ან მისი გამოყენება იწყება აბრეშუმის ჰეის გამოკვების მეხუთე ასაკში და მთავრდება პარკის ჩაბარებით, რაც დაახლოებით 10—15 დღეს გრძელდება.

თუ გავითვალისწინებთ შეაბრეშუმეობის სპეციფიკურობას და არაპირდაპირ დანახარჯებს გავანაწილებთ არა უშუალოდ პირდაპირი შრომითი დანახარჯების პროპორციულად, არამედ აბრეშუმის ჰეის გამოკვებისათვის საჭირო დროის მიხედვით (2 თვე), მაშინ შეაბრეშუმეობას მიეკუთვნება ზემოთ დასახელებული ხარჯების ერთი მეექვსედი.

არაპირდაპირი დანახარჯების ასეთნაირი განაწილების წესი მხარაძის რაიონის სოფ. მეღუკელურის კოლმეურნეობის მაგალითზე ნაჩვენებია მესამე ცხრილში. როგორც ცხრილიდან ჩანს, თუ არაპირდაპირ დანახარჯებს გავანაწილებთ არა შრომის პირდაპირი დანახარჯების, არამედ ჰეის გამოკვების ხან-



გრძლივობის მიხედვით პარკის თვითღირებულება შემცირდება 27,6%ით.

პარკის თვითღირებულების გაანგარიშების ასეთი წესი საკმარისი ასახავს მეაბრეშუმეობის თავისებურებას, ხელს უწყობს პარკის ~~მართლმართლებას~~ სწორად გაანგარიშებას და ნათელ წარმოდგენას იძლევა მეაბრეშუმეობის მართლმართლებასზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაცეთოთ დასკვნა:

1. საქართველოში საკოლმეურნეო აბრეშუმის პარკის თვითღირებულება, გაუმართლებლად მაღალია და გადიდების ტენდენციით ხასიათდება. ასე, მაგ., 1969 წ. 1 ც პარკის თვითღირებულება შეადგენდა 499,2 მანეთს, 1970 წ. — 556,3 და 1971 წ. — 574,6 მანეთს, ხოლო მისი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი იმდენად დაბალი იყო, რომ კოლმეურნეობები ყოველწლიურად ზარალობდნენ საშუალოდ 3,2 მილიონ მანეთს.

2. 1969—1971 წლების საშუალო მონაცემებით პარკის თვითღირებულებაში შრომის პირდაპირ დანახარჯებს ეკავა 73,2%, საკვების დანახარჯებს — 3,6%, დანარჩენ პირდაპირ ხარჯებს — 10,7% და არაპირდაპირ დანახარჯებს — 12,5%. ამიტომ პარკის წარმოების გაიაფებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე გაწეული შრომის პირდაპირი დანახარჯების შემცირებას.

ცხრილი 3

დანახარჯების სახეები	არაპირდაპირი დანახარჯების შრომის პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად განაწილების შემთხვევაში	არაპირდაპირი დანახარჯების კუთვნილების განვარტების სანგრაჟის პროპორციულად განაწილების შემთხვევაში
შრომის პირდაპირი დანახარჯები (კაცდღე)	1751	1751,0
შრომის კომპლექსური და არაპირდაპირი დანახარჯები	734	122,3
მათ შორის: ა/ საერთო-საწარმოო	487	81,2
ბ/ საერთო-სამეურნეო	247	41,1
სულ შრომითი დანახარჯები (კაცდღე)	2485	1879,3
შრომის პირდაპირი დანახარჯები /მან/	5402	5402,0
პირდაპირი ფულად-მატერიალური დანახარჯები /გრანდი, ჭალაღი, ფორმალინი, ბინის ქიმიკა, საკვები და სხვ./ მან-ში	3369	3369
არაპირდაპირი ფულად-მატერიალური დანახარჯები /მან/	4329	721
მათ შორის:		
ა/ საერთო-საწარმოო	3984	664
ბ/ საერთო-სამეურნეო	345	57
სულ შრომითი და ფულად-მატერიალური დანახარჯები	13100	9492
წარმოებული პროდუქცია /ც/	16	10
1 ც პროდუქციის თვითღირებულება /მან./	1310	949,2

3. მეაბრეშუმეობა ხასიათდება მრავალი თავისებურებით, რომელთაგან ძირითადია აბრეშუმის პარკის წარმოების მოკლე ციკლი. ეს პერიოდი მოსამ-

ზადებელი სამუშაოების ჩათვლით გრძელდება დაახლოებით 1,5—2 ღვე და მუშახელის დიდ რაოდენობას მოითხოვს მხოლოდ 10—15 დღის განმავლობაში. ამასთან პარკის თვითღირებულებაში უფრო მაღალია შრომის ხარჯების რი დანახარჯების ხვედრი წონა, ვიდრე მეცხოველეობის სხვა დანახარჯების ხვედრი წონაში.

4. აბრეშუმის პარკის თვითღირებულების განსაზღვრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ აღნიშნული თავისებურებანი. ეს საჭიროა იმიტომ, რომ თვითღირებულების გაანგარიშების მოქმედი მეთოდიკით, არაპირდაპირი დანახარჯები ნაწილდება შრომის პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად და მეაბრეშუმეობას დაუმსახურებლად აკუთვნებენ მას დიდი რაოდენობით. მაგრამ ზოგჯერ საწინააღმდეგო სურათსაც ვხვდებით. მაგ., 1969—1971 წლების საშუალო მონაცემებით გორის რაიონის საკოლმეურნეო პარკის თვითღირებულებაში არაპირდაპირი დანახარჯებს ეკავა 28,7%, ხოლო ლავოდეხის რაიონში 0,01%. რაც აღრიცხვის მოუწესრიგებლობის შედეგია.

5. აბრეშუმის პარკის თვითღირებულებაში საერთო-საწარმოო და საერთო-სამეურნეო ხარჯები უნდა შევიტანოთ არა შრომის პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად, არამედ გამოცემების ხანგრძლივობის (2 თვე) მიხედვით, ე. ი. არაპირდაპირი დანახარჯებიდან, მეაბრეშუმეობას უნდა მიეკუთვნოს შრომის პირდაპირი დანახარჯების პროპორციულად განაწილებული თანხის ერთი მეექვსედი.

6. საკოლმეურნეო თუთის პლანტაციის რიგთმორისებში სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების შემთხვევაში ზუსტად უნდა აღირიცხოს ყველა სახის პროდუქცია და მიღებული შემოსავლის პროპორციულად განაწილდეს დანახარჯებიც.

Г. В. НИКОЛЕИШВИЛИ, А. М. АБХАЗАВА,
Ц. М. НИКОЛЕИШВИЛИ, З. КУХЯНИДЗЕ

СЕБЕСТОИМОСТЬ КОКОНОВ ТУТОВОГО ШЕЛКОПРЯДА В КОЛХОЗАХ И ПУТИ ЕГО СОКРАЩЕНИЯ

Резюме

Плановое развитие шелководства в Грузии началось после установления Советской власти и к настоящему времени достигло блестящих успехов, однако возможности снижения себестоимости еще не полностью использованы. Следует учесть также, что действующий метод исчисления себестоимости коконов тутового шелкопряда в колхозах не точно отражает особенности шелководства, характеризуется серьезными недостатками и обязательно требует усовершенствования. Вопрос этот не новый. Он давно обсуждается специалистами, однако положение не изменилось.

В 1969 году в колхозах Грузинской ССР себестоимость 1 ц коко-

нов составляла в среднем 499,2 руб. в 1970 году — 556,3 руб. в 1971 году — 574,6 руб., доходы же, получаемые от их реализации, были настолько низкими, что колхозы ежегодно в среднем терпели убытки в 13,2 млн. рублей.

Себестоимость коконов в колхозах высока не только в отстающих шелководческих районах, но и в передовых.

Исходя из особенностей шелководства, в себестоимости коконов наиболее высокий удельный вес занимают прямые затраты труда, тогда как в остальных отраслях животноводства самым высоким удельным весом представлены затраты на корма. Так, по данным 1969—1971 гг. в себестоимости коконов, производимых в колхозах республики, прямые затраты труда занимают 73,2%, затраты на корма — 3,6%, в остальных же отраслях животноводства в среднем 34,4 и 38,9%.

Особенно незавидное положение создается в деле начисления на шелководство общепроизводственных и общехозяйственных затрат. Так, например, если в себестоимости коконов в колхозах Лагодехского района (1969—1971 гг.) затраты такого вида занимали 0,01%, в Зестафонском районе они составляли 5%, в Гальском — 12%, в Сагареджойском — 20,8% и в Горийском районе — 28,7%. А это говорит о серьезных недостатках в деле распределения косвенных затрат.

Следует отметить, что расчет себестоимости по собственному усмотрению работников учета не отражает действительность, не дает возможности сделать научно-экономический анализ. Однако, несмотря на это, можно сделать вывод о том, что в шелководстве весьма высокий удельный вес занимают прямые затраты труда и что необходимо бороться за их сокращение. А после этого следует уже заботиться о совершенствовании методики исчисления себестоимости коконов и упорядочения остальных вопросов.

В настоящее время решающее значение для снижения себестоимости коконов в колхозах Грузинской ССР имеет внедрение в производство достижений науки, повышение уровня механизации и сокращения прямых затрат труда.

Важным резервом удешевления производства коконов является также повышение урожайности и сокращение прямых денежно-материальных затрат.

Шелководство — специфическая отрасль и характеризуется рядом особенностей, что обязательно следует учитывать при исчислении себестоимости коконов.

Короткий цикл производства основная особенность шелководства. Выкормка шелковичных червей длится примерно 25—35 дней и в первой половине требует весьма незначительное количество рабсилы.

Если учесть специфичность шелководства и распределять косвен-

ные затраты не пропорционально прямым затратам труда, а по времени, необходимому для выкормки гусениц (2 месяца), то тогда к шелководству надо будет относить одну шестую часть вышеуказанных расходов.

Такой способ исчисления себестоимости коконов полностью отражает особенности шелководства, способствует правильному исчислению себестоимости коконов и дает ясное представление о рентабельности шелководства.

Исходя из вышеизложенного, можно сделать следующие выводы:

1. Ввиду того, что шелководством занимаются растениеводческие бригады, общепроизводственные расходы следует исчислять, исходя из затрат по растениеводству, а не по животноводству, так как животноводческие бригады никакого отношения не имеют к шелководству.
 2. При исчислении себестоимости коконов общепроизводственные и общехозяйственные расходы нужно начислять с учетом продолжительности выкормочного периода (2 месяца), т. е. в размере одной шестой части суммы, начисляемой пропорционально прямым затратам труда за год.
 3. При проведении укрупненных выкормок в помещениях, используемых также в других целях (склады, коровники и пр.) амортизационные отчисления и ремонтные расходы следует вносить в себестоимость коконов, исходя из продолжительности использования этих помещений для выкормок.
 4. В колхозах и совхозах необходимо исчислять себестоимость листа шелковицы и учитывать ее при вычислении себестоимости коконов.
 5. При использовании междурядий плантаций шелковицы под другие с/х культуры следует косвенные издержки распределять пропорционально получаемым доходам.
-



ა. ზედაძინია

თუთის ზოვიერთი ჯიშის გამსლეობა წვრილფოთოლა სინუაუზისაღმი ვერტიკალური ზონალოვის მიხედვით

ცნობილია, რომ გარემო ფაქტორებს უდიდესი როლი ენიჭება როგორც დაავადების წარმოქმნაში, ისე მის განვითარებაში. ეს ფაქტორები, ერთი მხრივ, მოქმედებენ პარაზიტზე — ხელს უწყობენ ან აფერხებენ მის განვითარებას და, მეორე მხრივ, პატრონ მცენარეზე — ზრდიან მასში ამა თუ იმ დაავადებისადმი გამძლეობის ან მიძლევიანობის უნარს. ამასთან სხვადასხვა ჯიშში, ხასიათდება რა მეტ-ნაკლები გამძლეობით დაავადების მიმართ, ატაერტინაირად რეაგირებს გარემო ფაქტორების მოქმედებაზე.

სხვადასხვა ეკოლოგიური ფაქტორის მოქმედების შედეგად იცვლება ცალკეული ჯიშის გამძლეობა დაავადებისადმი. ამიტომ შედარებით გამძლე თუთის ჯიშების გამოვლინებასა და წარმოებაში მათ დანერგვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

იპონელი მკვლევარების მონაცემებით, წვრილფოთოლა სინუაუზის ვერტიკალური-განვითარებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ადგილმდებარეობის ზღვის დონიდან სიმაღლეს, რაც საქართველოს პირობებში ჯერ-ჯერობით შესწავლილი არ არის.

თუთის ხის ვერტიკალური მიხედვით, დასავლეთ საქართველოში გამოყოფილია სამი ზონა: 1. დაბლობი (ზღვის დონიდან 250 მ-მდე); 2. შუა (ზღვის დონიდან 1000 მ-მდე) და 3. მთის კალთობი (ზღვის დონიდან 1000—1500 მ-მდე). პირველი ზონა ხასიათდება თბილი კლიმატით, მეორე — შედარებით ზომიერით და მესამე — ცივი ჰავით. მათგან თუთის წვრილფოთოლა სინუაუზი ვერტიკალურად პირველ ორ ზონაში. ამიტომ სტაციონარული ცდებისათვის ადგილები შევარჩიეთ ამ ორი ზონის სამ პუნქტში, კერძოდ, სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (ზღვის დონიდან 28 მ), ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური საცდელი სადგურის ექსპერიმენტული ბაზა (ზღვის დონიდან 156 მ) და წულუკიძის რაიონის სოფ. გორდი (ზღვის დონიდან 638 მ), სადაც 1970 წლის გაზაფხულზე გაშენდა თუთის პლანტაციები შედარებით გამძლე ჯიშების ნერგებით: ოშიმა, ნეზუმიგაესი, ივერია, ვრუზნიიშ—4, თბილისური, ქუთათური, მცხეთური, თბილნიიშ—2, რომლებიც მართალია ფა-

რულ ფორმაში ვირუსის მატარებელი არიან, მაგრამ მათზე პროდუქტიულობის შემცირება ძლიერი ინტენსივობით არ აღინიშნება. ცდაში საკონტროლოდ ავიღეთ მიმღებიანი ჯიში გრუზია.

ერკონული

თითოეულ პუნქტში პლანტაცია გაშენდა 3x3 მ სისქეში ჯიში ოთხი განმეორებით. განმეორებაში 10 მცენარეა.

1970—1971 წწ. მთელი ვეგეტაციის პერიოდში დაკვირვებას ეატარებდით დაავადების პირველ გამოჩენასა და მის შემდგომ განვითარებაზე.

ცხრილი 1

თუთის სხვადასხვა ჯიშის დაავადების მაჩვენებლები (%) ზონალობის მიხედვით (1970 წ.)

თუთის ჯიშები	სამტრედია /ზღ. დ. 28 მ./		ჭუთაისი /ზღ. დ. 156 მ./		გორდი /ზღ. დ. 638 მ./	
	დაავადება	დაავადების განვითარება	დაავადება	დაავადების განვითარება	დაავადება	დაავადების განვითარება
1. ოშიმა	0	0	0	0	0	0
2. ნეზუტივაცია	0	0	0	0	0	0
3. ქუთათური	0	0	0	0	0	0
4. ივერია	2,6	0,8	0	0	0	0
5. თბილისური	0	0	0	0	0	0
6. მცხეთური	3,2	1,1	0	0	0	0
7. გრუზნიში-4	0	0	0	0	0	0
8. პიბრიდი-2	0	0	0	0	0	0
9. გრუზია	25,0	12,4	25,1	15,5	5,0	0,8

1-ელი ცხრილიდან ჩანს, რომ მიმღებიან ჯიშ გრუზიაზე, დაავადება ცდის სამივე ზონაში გამოვლინდა და იგი სამტრედიისა და ჭუთაისის პლანტაციებში 25%-ს აღწევს, ხოლო გორდში — 5%-ს. აღსანიშნავია, რომ დაავადება დაბალ ზონაში უკვე აგვისტოში აღინიშნებოდა.

რაც შეეხება შედარებით გამძლე ჯიშებს, ვეგეტაციის ბოლოს დაავადება უმნიშვნელოდ აღინიშნა მხოლოდ დაბალ ზონაში (სამტრედია) ივერიაზე 2,6%-ით და მცხეთურზე — 3,2%-ით.

ამგვარად, ერთი წლის მონაცემების მიხედვით, დაავადების გამოვლინებაში ვერტიკალური ზონალობის გავლენა რამდენადმე შეინიშნება.

1971 წელს, მთელი ვეგეტაციის პერიოდში განვაგრძობდით დაკვირვებას დაავადების პირველ გამოჩენასა და მის შემდგომ განვითარებაზე (ცხრ. 2). მიღებულ მასალებში ნათლად გამოიკვეთა ვერტიკალური ზონალობის გავლენა დაავადების გამოვლინებაზე როგორც მიმღებიან, ასევე შედარებით გამძლე ჯიშებში. მართალია, ჯიში გრუზია ავადდება ყველა ზონაში, მაგრამ აქცე შეიმჩნევა აშკარა განსხვავება ზონალობის მიხედვით, სახელდობრ, ვეგეტაციის ბოლოს ყველაზე დაბალ ზონაში (სამტრედია) გრუზიას ნარგავობა დაავადებუ-



Երևանի մարզի 1971 թվականի քաղաքացիական տնտեսական ակտիվի ցուցանիշները

№	Երևանի շրջան	Քաղաքացիական տնտեսական ակտիվ								Քաղաքացիական տնտեսական ակտիվի ցուցանիշները							
		Բնակչություն		Գործունե		Գործազուրկ		Բնակչության խտություն	Բնակչություն		Գործունե		Գործազուրկ		Բնակչության խտություն		
		հազ. մ.	միլ. մ.	հազ. մ.	միլ. մ.	հազ. մ.	միլ. մ.		հազ. մ.	միլ. մ.	հազ. մ.	միլ. մ.	հազ. մ.	միլ. մ.	հազ. մ.	միլ. մ.	
20/VII	20/IX	20/VII	20/IX	20/VII	20/IX	20/VII	20/IX	20/VII	20/IX	20/VII	20/IX	20/VII	20/IX	20/VII	20/IX		
1	Ինքն	2,6	11,4	4,9	5,3	0	0	2,5	6,9	1,7	4,0	2,4	4,6	0	0	1,4	2,9
2	Երևանի շրջան	12,8	22,6	2,5	7,2	0	9,1	5,1	10,7	11,1	17,1	0,8	2,4	0	3,0	0,9	7,5
3	Ներքին	2,4	9,5	7,1	26,7	0	5,5	3,2	13,9	2,4	6,3	3,6	13,3	0	1,8	2,0	7,1
4	Արտա	12,9	26,3	0	2,3	0	0	4,6	9,6	9,9	13,2	0	0,8	0	0	3,3	4,7
5	Երևանի շրջան	5,1	9,3	2,4	6,7	0	0	7,5	5,4	2,4	5,4	0,8	3,9	0	0	1,1	2,1
6	Ներքին	18,6	26,5	2,5	12,2	0	0	7,0	12,9	12,4	16,3	1,7	5,7	0	0	4,7	7,1
7	Արտա	0	0	4,6	7,0	0	4,0	1,5	3,7	0	0	3,1	3,9	0	1,3	1,0	3,7
8	Երևանի շրջան	11,6	19,0	0	4,5	0	0	3,9	8,0	5,4	7,8	0	1,5	0	0	1,8	5,0
9	Ներքին	69,8	13,0	14,3	54,7	0	26,6	23,0	58,6	66,2	80,6	11,1	20,2	0	9,5	26,4	40,1
ԸՆԴՀԱՆՈՒՄ ԵՐԵՎԱՆԻ ՄԱՐԶԻ		8,4	16,0	3,0	9,5	0	3,3			5,7	8,4	1,6	4,5	0	0,0		

ლი იყო 93%-ით, ხოლო მალალ ზონაში (გორდი) — 28,6%-ით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმღებიან ჯიშ გრუზიაზე დაბალ (სამტრედია) და საშუალო (ქუთათისი) ზონაში დაავადება ვლინდება ივლისში, ხოლო მალალ ზონაში (გორდი) ამ დროისათვის თითქმის სალია, რაც შეეხება შედარებით დაბალ ზონაში მეტ-ნაკლები რაოდენობით აღინიშნება დაავადება ზონაში, ხოლო მალალ ზონაში — მცირე ინტენსივობით და ისიც მხოლოდ სპაშიზე (ნეზუმიგაესი — 9,1%, ქუთათური — 5,5% და გრუზნიიშ — 4 — 40%).

შედარებით გამძლე ჯიშების ურთიერთშედარებით დაბალ ზონაში (სამტრედია) ყველაზე მეტად დაავადდა ივერია, მცხეთური და ნეზუმიგაესი — შესაბამისად 26,5—26,5 და 25,6%, უფრო ნაკლებად ჰიბრიდი — 2 (19,4%) და კიდევ უფრო მცირედ — თბილისური, ქუთათური და ოშიმა (9,3, 9,5 და 11,4), ხოლო გრუზნიიშ — 4 საღად გამოიყურებოდა.

საშუალო ზონაში (ქუთათისი) შედარებით გამძლე ჯიშებიდან ყველაზე მეტად დაავადდა ქუთათური (26,7%), მცირედ — მცხეთური (12,2%) და კიდევ უფრო ნაკლებად — დანარჩენი ჯიშები (2,3—9,3%-მდე).

ყველაზე მალალ ზონაში (გორდი) დაავადება სრულებით არ გამოძლეინებულა 5 ჯიშზე (ოშიმა, ივერია, თბილისური, მცხეთური, ჰიბრიდი — 2), ხოლო ნეზუმიგაესსა, ქუთათურსა და გრუზნიიშ — 4-ზე არ აღემატებოდა შესაბამისად 9,1, 5,5 და 4%-ს.

სამივე ზონის მონაცემების საშუალოს მიხედვით შედარებით გამძლე ჯიშებიდან ყველაზე მეტად დაავადდა ქუთათური, მცხეთური და ნეზუმიგაესი (13,9, 12,9, 10,7%), ხოლო მცირედ — გრუზნიიშ — 4, თბილისური და ოშიმა (37, 5,4, 6,9%).

ზონების მიხედვით შედარებით გამძლე ყველა ჯიშის დაავადების საშუალო მაჩვენებელი სამტრედიაშია 16%, ქუთათისში — 9,5% და გორში — 2,3%.

დასკვნა

1. თუთის წვრილფოთოლა სიხუჭუჭის განვითარებაზე აღინიშნება ვერტიკალური ზონალობის გავლენა: თუთის როგორც შედარებით გამძლე, ასევე მიმღებიანი ჯიშები ყველაზე მეტად ზიანდება დაბალ ზონაში (სამტრედია).
2. ვერტიკალური ზონალობის გავლენა ვლინდება დაავადების დინამიკაშიც — იგი ადრე აღინიშნება დაბალ ზონაში.
3. ყველა ზონის მონაცემების საშუალოს მიხედვით დაავადების მალალი პროცენტი აღინიშნება ქუთათურზე, მცხეთურსა და ნეზუმიგაესზე (13,9, 12,9, 10,7%), ხოლო ყველაზე დაბალი — გრუზნიიშ — 4-ზე, თბილისურსა და ოშიმაზე (3,7—5,4—6,9%).

М. Г. ЗЕДГИНИДЗЕ

ВЛИЯНИЕ ВЕРТИКАЛЬНОЙ ЗОНАЛЬНОСТИ НА УСТОЙЧИВОСТЬ НЕКОТОРЫХ СОРТОВ ШЕЛКОВИЦЫ К КУРЧАВОЙ МЕЛКОЛИСТНОСТИ

Резюме

Изучается влияние вертикальной зональности на развитие курчавой мелколистности у сравнительно устойчивых сортов шелковицы.

С этой целью в возвышенных и низменных районах зараженной зоны Западной Грузии в полевых условиях, в 1970 году заложены стационарные опыты на сравнительно устойчивых сортах шелковицы (Ошима, Незумигаеси, Иверия, Тбилисури, Мцхетури, ГрузНИИШ-4, Гибрид-ТбилНИИШ-2). Контролем взят восприимчивый сорт Самтрედия. Опыты заложены в трех пунктах с различной зональностью: Самтрედия — колхоз им. В. И. Ленина (28 м. над ур. моря), Кутаисская зональная станция шелководства (156 м. над ур. моря) и село Горди Цулукидзевского района (638 м. над ур. моря).

Двухгодичные данные выявили влияние вертикальной зональности на развитие заболевания курчавой мелколистностью как у восприимчивого сорта, так и у сравнительно устойчивых сортов шелковицы. Наибольший процент заболевания отмечен в низменной зоне (Самтрედия — 28 м. над ур. моря), а наименьший в повышенной зоне (Село Горди, 638 м. над ур. моря).

Влияние вертикальной зональности сказывается и на динамике заболевания; как у восприимчивого сорта, так и устойчивых сортов шелковицы заболевание выявлено раньше всех в низменной зоне.

По средним данным наибольший процент заболевания отмечается на сортах Кутатури, Мцхетури и Незумигаеси, а наименьший — на ГрузНИИШ-4, Тбилисури и Ошима.



4. შპატიანი, ვ. იახანიძე

სასუქების გავლენა თუთის ფოთლის სიხუხუხით დაავადებაზე

მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის პარაზიტულ დაავადებათა მავნეობის შემცირება შესაძლებელია კვების რეჟიმის რეგულირებით.

ლიტერატურაში (კოსიო 1964; ნისიგავა მანავო 1929 და სხვ.) ვხვდებით მონაცემებს თუთის ფოთლის სიხუხუხის ინტენსივობაზე სასუქების გავლენის შესახებ. არსებული მასალების მიხედვით, სასუქების დოზის გადიდებით დაავადება ძლიერდება.

თუთის ფოთლის სიხუხუხით დაავადებაზე სასუქების გავლენის დასადგენად ცდები დაეყენეთ ბიოლ. მეცნ. კანდ. მ. კაკულიას და სოფლის მეურნ. მეცნ. კანდ. ვ. კაფიანის ხელმძღვანელობით. ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური საცდელი სადგურის საცდელ მეურნეობაში (სოფ. სარბევი) და წულუკიძის მეაბრეშუმეობის სასელექციო სადგურის პლანტაციაში, 6- ვარიანტია ნი სქემით თითოეული ოთხ განმეორებად:

I — უსასუქო (საკონტროლო)

II — $P_{90}K_{90}$;

III — $N_{60}P_{90}K_{90}$;

IV — $N_{120}P_{90}K_{90}$;


V — $N_{180}P_{90}K_{90}$;

VI — $N_{60}P_{90}K_{90}$ (ფონი)+ხელატი (200 გ ერთ ხეზე).

სასუქების გამოცდისათვის 1968 წ. სპეციალურად გავაშენეთ პლანტაცია თუთის ფოთლის სიხუხუხის მიმართ შედარებით გამძლე სამი ჯიშისაგან: თბილისური, ივერია და ჰიბრიდი თბილნიშ-2, ხოლო წულუკიძეში ცდას ვატარებდით დაავადების ძლიერ მიმდებთან ჯიშ გრუზიას პლანტაციაში. საცდელად შევარჩიეთ ჯიშ გრუზიას ისეთი პლანტაცია, სადაც წინა წელს დაავადება არ შეინიშნულა.

თითოეულ განმეორებაში იყო 10 მცენარე, სიხშირე 3×3 მ. საცდელ ნაკვეთზე ვეგეტაციის პერიოდში ვაწარმოებდით დაკვირვებას და დაავადების სიძლიერის აღრიცხვას, როგორც ექსპლუატაციამდე, ისე მის შემდეგ.

ფოსფორი და კალიუმი ნიადაგში შეგვექონდა ყოველწლიურად ორ ვადაში: შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, ხოლო აზოტიანი სასუქი დოზის ერთი



ნახევარი ვეგეტაციის დასაწყისში, ხოლო მეორე ნახევარი მცენარის ექსპლუატაციის შემდეგ — ივნისში. ხელატი ნიადაგში შეგვქონდა ორ წელიწადში ერთხელ: დოზის ნახევარი (100 გ ერთ ხეზე) განსავენებული ხანის ექსპლუატაციის დასაწყისში ხის გარშემო სპეციალურად გაკეთებულ მუხის ორმოებში, ხოლო დოზის დანარჩენი ნაწილი ვეგეტაციის მეორე ნახევარში ფესვგარეშე გამოკვების მიზნით 1%-იანი ხსნარის სამჯერადი შესხურებით.

პირველ ცხრილში მოცემულია სასუქების დოზების გავლენა თუთის ფოთლის სისუქუპით დაავადებაზე წულუკიძის მეაბრეშუმეობის სასელექციო საღვურის ჯიშ გრუზიას პლანტაციაში, სადაც 1968 წ. ექსპლუატაციამდე დაავადება შემჩნეული არ ყოფილა. ექსპლუატაციის შემდეგ პირველი აღწერის დროს (აგვისტო) შედარებით მცირე იყო როგორც დაავადება, ისე მისი განვითარების ინტენსივობა, მაგრამ მეორე აღწერისას (ოქტომბერი) უკვე საგრძნობლოდ გაიზარდა.

გამოირკვა, რომ აზოტის დოზის გადიდებით ძლიერდება დაავადება და მაქსიმალურ ინტენსივობას აღწევს აზოტის 120 და 180 კგ-ით განოყიერებულ ვარიანტებზე. აღსანიშნავია, რომ მესამე ვარიანტში დაავადების პროცენტი საკონტროლოს ტოლი იყო, მაგრამ ფოსფორ-კალიუმზე აზოტის დამატებით დაავადება გაძლიერდა, ხოლო NPK-ს ფონზე; ხელატის შეტანით (VI ვარიანტი) დაავადებამ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო.

აღსანიშნავია, რომ 1969 წ. ამ ნაკვეთში სასუქების გავლენა არ გამოძღვანებულია. ყველა ვარიანტის მცენარეები მთლიანად (100%) დაავადდა ინტენსიურად, რის გამოც ნაზარდი უმნიშვნელო იყო, ფოთლები კი ძლიერ ქლოროტიული. ამავე დროს აღინიშნა ხეების ხმობაც, რაც 20%-ს აღწევდა, მაგრამ 1970 წელს უკვე ნაკვეთზე გახმა ხეების ნახევარი (50%), ხოლო დანარჩენი ძლიერ დაავადების გამო მოსავალს აღარ იძლეოდა. ამიტომ ნაკვეთი ამოიძირკვა და მამასადამე, ცდა ჯიშ გრუზიაზე შეწყდა.

მე-2 ცხრილში მოტანილია სოფ. წინაველის (ს. სარბევი) გაშენებულ თუთის პლანტაციის ნაკვეთში სასუქების გავლენის ოთხი წლის (1968—1971 წწ.) საშუალო შედეგები ექსპლუატაციამდე და 1 წლის შედეგები ექსპლუატაციის შემდეგ. თუთის შედარებით გამძლე ყველა გამოცდილი ჯიში ექსპლუატაციამდე ნაკლებად ავადდება, მაგრამ ექსპლუატაციის შემდეგ დაავადება მკვეთრად ვლინდება: ასე, მაგალითად, დაავადების ხარისხი სამივე ჯიშის ვარიანტების საშუალოს მიხედვით ექსპლუატაციამდე 5,7%-ს არ აღემატებოდა, ხოლო ექსპლუატაციის შემდეგ — 15,6%-ს აღწევდა.

ჯიშების ერთიმეორესთან შედარებით ირკვევა, რომ ჯიში თბილისური ექსპლუატაციამდე და ექსპლუატაციის შემდეგ ყველაზე მცირედ (შესაბამისად 4,4 და 13,4%), ხოლო ჯიში ივერია და პიბრიდი თბილნიშ—2 თანაბარი ხარისხით ავადდება (16,3 და 17%).

ჯიშ თბილისურზე დაავადების ხარისხი ექსპლუატაციის შემდეგ ვარიანტების მიხედვით ცვალებადობს 10—16,1%-ის, ჯიშ ივერიაზე 12,5—21,0-ის და პიბრიდ თბილნიშ—2-ზე 7,1—25%-ის ფარგლებში.



მინერალური სასუქების დაზღვის გავლენა ფოთლის ხიხუტუქით თუთის ხის დაველებზე (წილუქების ნაკვეთი, ჭიში გრუნია)

ცხრილი 1

ვარიანტი	დაველების ხარისხი /%/			დაველების განვითარების ინტენსივობა /%/			შენიშვნა		
	1968 წ.		1969 წ.	1968 წ.		1969 წ.			
	ექსპლუატაციის შემდეგ	ექსპლუატაციის შემდეგ		ექსპლუატაციის შემდეგ	ექსპლუატაციის შემდეგ				
		აგვის-ტო	ოქტომბერი		აგვის-ტო	ოქტომბერი			
I. უსასუქო /ცენტროლი/	0	15,3	46,6	100	0	6,9	18,5	99,2	1970 წ. სივრცის ძლიერი დაველებისა და მასობრივი ხიხუტუქით გამოწვეული ამოძირკვა და ცდა შეწყდა
II. P ₉₀ K ₉₀	0	18,3	46,7	100	0	7,6	19,8	90,6	
III. N ₉₀ P ₁₀ K ₉₀	0	20,8	56,6	100	0	6,2	19,5	100	
IV. N ₁₂₀ P ₉₀ K ₉₀	0	29,1	77,7	100	0	7,2	27,6	100	
V. N ₁₅₀ P ₉₀ K ₉₀	0	43,7	80,8	100	0	11,4	32,5	100	
VI. N ₁₈₀ P ₉₀ K ₉₀	0	18,9	64,5	100	0	7,5	22,5	100	
ბელატი/200 გოამი ერთ ზეზე									

მინერალური სასუქების გავლენა თუთის ფოთლის ხიხუტუქით დაველებაზე ოთხი წლის (1968—1971) საშუალოს მიხედვით

ცხრილი 2

ვარიანტი	ივრია		თბილისური		პიბრიდი თბილისში 2		სამიწე ფიჭის საშუალო		
	ექსპლ-მდე	ექსპლ-შემდეგ	ექსპლ-მდე	ექსპლ-შემდეგ	ექსპლ-მდე	ექსპლ-შემდეგ	ექსპლ-მდე	ექსპლ-შემდეგ	
დაველების ხარისხი /%/									
I. /უსასუქო საცენტროლი/	3,0	15,0	4,4	13,8	2,5	7,1	3,3	11,9	
II. N ₁₂₀	7,4	20,0	6,8	15,8	5,1	25,0	6,4	20,2	
III. P ₉₀ K ₉₀	5,4	13,1	5,2	10,5	4,3	15,3	4,9	12,9	
IV. N ₉₀ P ₉₀ K ₉₀	7,2	12,5	4,2	10,0	3,4	12,5	4,9	11,6	
V. N ₁₂₀ P ₉₀ K ₉₀	6,9	17,5	4,3	16,1	10,9	16,6	7,3	16,7	
VI. N ₁₅₀ P ₉₀ K ₉₀	13,1	21,0	4,1	15,0	8,3	22,5	8,5	19,5	
VII. N ₁₈₀ P ₉₀ K ₉₀	12,1	15,0	1,8	12,8	1,0	20,0	4,9	15,9	
ბელატი /100 გოამი ერთ ზეზე									
კველა ვარიანტის საშუალო	7,8	16,3	4,4	13,4	5,0	17,0	5,7	15,6	

ეროვნული

განვითარება

I. უსასუქო /საკონტროლო/	2,4	6,6	3,6	10,0	1,7	4,1	2,5	6,9
II. N 120	5,5	15,8	5,9	12,2	3,7	25,0	5,0	17,6
III. P 90 K 90	3,3	7,0	4,5	8,7	4,0	9,4	3,9	8,3
IV. N 60 P 90 K 90	4,4	10,0	2,6	8,3	2,5	10,0	3,1	9,4
V. N 120 P90 K 90	5,8	16,8	3,6	13,9	8,4	13,3	3,9	14,6
VI. N 180 90 K 90	9,2	16,6	3,1	8,3	4,9	19,1	5,7	14,6
VII. N 60 P 90 K 90	10,2	11,1	3,5	0,3	4,3	18,3	4,6	12,5
ხელატი /100 გრამი ერთ ხეზე/								
ყველა ვარიანტის საშუალო	5,8	11,9	3,8	9,9	3,6	14,2	4,4	11,9

სასუქების დოზების მოქმედების ურთიერთშედარებით ირკვევა, რომ სამივე ჯიში როგორც ექსპლუატაციამდე, ასევე ექსპლუატაციის შემდეგ ყველაზე მეტად ავადდება აზოტის მაღალი დოზის (N₁₂₀ 180) ცალკე და ფოსფორკალიუმთან ერთად გამოყენებისას.

ნიდაგში ფოსფორ-კალიუმის შეტანას და მის ფონზე აზოტის მცირე დოზით (N₆₀) განოყიერებას თუთის სიხუტუქით დაავადებაზე არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია: ასე, მაგალითად, ფოსფორ-კალიუმით განოყიერებულ პლანტაციაში ექსპლუატაციის შემდეგ დაავადება სამივე ჯიშის საშუალოს მიხედვით 12,9%-ს აღწევდა, ხოლო საკონტროლოზე 11,9%-ს, მეოთხე ვარიანტზე კი — 11,6%-ს, რაც თითქმის საკონტროლოს (11,9%) თანაბარია.

N₆₀P₉₀K₉₀-ს ფონზე ხელატის დამატებისას ექსპლუატაციამდე სამივე ჯიში საშუალოს მიხედვით თანაბრად დაავადდა (ორივე შემთხვევაში 4,9%-ს აღწევს), ხოლო ექსპლუატაციის შემდეგ 11,6%-დან გაიზარდა 15,9%-მდე.

ანალოგიური კანონზომიერება აღინიშნება დაავადების განვითარების ხარისხშიც.

დასკვნა

1. სასუქების გავლენა ფოთლის სიხუტუქის დაავადებაზე ძლიერ მიმდებარა ჯიშ გრუზიას შემთხვევაში მხოლოდ დაავადების გამოჩენის პირველ წელს ვლინდება, მეორე წელს ყველა ვარიანტზე მთლიანად (100%-ით) ავადებამცენარეები, ხოლო მესამე წელს გადარჩენილი ხეები ძლიერი დაავადების გამო პრაქტიკულად მოსავალს არ იძლევა და მათი უმრავლესობა ხმება.

2. ექსპლუატაციამდე გამოცდილი შედარებით გამძლე სამივე ჯიში თუთის ფოთლის სიხუტუქით მცირედ ავადდება, მაგრამ ექსპლუატაციის შემდეგ მკვეთრად იზრდება ფოთლის სიხუტუქით დაავადების პროცენტი და მისი ინტენსივობა.

3. გამოცდილი ჯიშებიდან როგორც ექსპლუატაციამდე, ასევე ექსპლუატაციის შემდეგ შედარებით ნაკლებად ავადდება ჯიში თბილისური, ხოლო ჯიში ივერია და ჰიბრიდი თბილნიშ—2, თითქმის თანაბრად.

4. სამივე ჯიშის შემთხვევაში ექსპლუატაციამდე და ექსპლუატაციის შემდეგ ყველაზე მეტი ინტენსივობით ვითარდება დაავადება აზოტის მალალი დოზების (N_{180} , N_{120}) როგორც ცალკე, ასევე ფოსფორ-კალიუმის მარცხენა მონობის მოყენებისას.

5. ნიადაგში ფოსფორ-კალიუმის შეტანით ($P_{90}K_{90}$), აგრეთვე ფოსფორ-კალიუმის ფონზე აზოტის მცირე დოზის ($N_{60}P_{90}K_{90}$) დამატებით ფოთლის სიხუჭუჭით დაავადების ხარისხში არსებითი ცვლილებები არ ხდება.

6. სრული მინერალური სასუქის ფონზე ($N_{60}P_{90}K_{90}$) ხელატი დამატებით ექსპლუატაციამდე ფოთლის სიხუჭუჭით დაავადების პროცენტი არ შეცვლილა, ხოლო ექსპლუატაციის შემდეგ იგი საგრძნობლად გაიზარდა.

Р. А. ЦЕРТЕЛИ, В. А. ЯМАНИДЗЕ

ВЛИЯНИЕ УДОБРЕНИЯ НА ЗАБОЛЕВАНИЕ ШЕЛКОВИЦЫ КУРЧАВОЙ МЕЛКОЛИСТНОСТЬЮ

Резюме

Испытывалось внесение под шелковицу основных удобрений (N_{120} , P_{90} , K_{90}), как раздельно, так и в комбинациях, а также дозы азотных удобрений (N_{60} , N_{120} и N_{180}) и органоминеральный препарат «хелаты» ($F+Mn+Zn$). Опыты проведены в Кутаиси на вновь заложных плантациях трех сравнительно устойчивых к курчавой мелколистности сортов шелковицы — Тбилисური, Иверия и Гибрид Тбил-НИИШ-2 и в Цулукидзе на взрослой плантации малоустойчивого сорта Грузия.

Четырехлетний (1968—1971 гг) учет заболевания курчавой мелколистностью показал, что испытанные сорта до эксплуатации болеют незначительно, но после проведения эксплуатации у них значительно увеличивается как процент заболевания, так и интенсивность развития болезни. Среди испытанных сортов наименьшее заболевание отмечено у сорта Тбилисური (после эксплуатации 13,4%), а сорта Иверия и Гибрид Тбил-НИИШ-2 болели почти одинаково (16,3 и 17,0%).

Установлено, что внесение фосфорно-калийных удобрений как самостоятельно, так и совместно с небольшой дозой азотных (N_{60} , P_{90} , K_{90}), а также внесение хелатов не оказывает существенного влияния на заболеваемость шелковицы. С повышением доз азотных удобрений (N_{120} и особенно N_{180}) увеличивается процент и интенсивность заболевания.

Все деревья сорта Грузия, независимо от внесенных удобрений, заболели на 100% и затем погибли.



ს. თვალზარიძე

თუთის ხის აღვილობრივი ფორმების ფოთლის სისუპვიისადმი გამძლეობის შესწავლისათვის

დასავლეთ საქართველოს ძლიერ დაავადებულ ზონაში, თუთის ადგილობრივ უჯიშო ფორმებს შორის გვხვდება ისეთები, რომლებზეც ფოთლის სახუ-პუპე რამდენიმე წლის მანძილზე ძალზე სუსტად ან სრულებით არ შეიშინევა. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ დაავადებისადმი გამძლეობის შესწავლა უნდა ვაწარმოთ არა მარტო თუთის ჯიშებზე, არამედ ადგილობრივ ფორმებზეც. მა-ღალი გამძლეობის ფორმების გამოვლინების შემთხვევაში, თუ ისინი ამავე ადრეს კარგი სამეურნეო ნიშან-თვისებებისაც აღმოჩნდება, შესაძლებელი იქნე-კია მათი გამოყენება როგორც უშუალოდ კვირტებით და კალმებით გამრავლე-ქებისათვის, ასევე გამძლე საძირებად. გარდა ამისა, ასეთი ფორმები იქნება საუ-კეთესო მასალა შემდგომი სასელექციო მუშაობისათვის იმუნური ჯიშის შესა-ქმნელად.

დაავადებისადმი გამძლე თუთის ადგილობრივი ფორმების გამოვლინებისა-თვის საქართველოს ძლიერ დაავადებულ რაიონებში (წყალტუბო, წულუკიძე, თერჯოლა, მაიაკოვსკი, ზესტაფონი, სამტრედია, აბაშა, ცხაკაია და სხვ.) ჩავა-ტარეთ ექსპერიმენტური და სტაციონარული გამოკვლევები. გამძლეობაზე და-კვირვებას ვაწარმოებდით როგორც ღედა (ელიტური) მცენარეებზე, ისე მათ ნამყენებზე. იმუნოლოგიურ შეფასებას ვატარებდით როგორც ბუნებრივ პრო-ვოკაციულ პირობებში, ასევე ხელოვნური დასენიანების (ტრანსპლანტაციის) მეთოდის გამოყენებით. დაკვირვებას დაავადებაზე ვაწარმოებდით მთელი ვე-გეტაციის მანძილზე — მცენარის ექსპლუატაციამდე და ექსპლუატაციის შემ-დეგ. დაავადების ინტენსივობას ვაფასებდით 4-ბალიანი შკალით, სადაც 0—1 ბა-ლით აღენიშნავდით მალალ გამძლეობას, ხოლო 2—3 ბალით — მალალ მიმლე-ბიანობას. გამძლე ფორმების გამოვლინებისას მხედველობაში ვიღებდით მთელ რიგ ბოტანიკურ-მორფოლოგიურ მანკებებს, რომლებიც უშუალოდ კავ-შირშია ფოთლის მოსავალთან და მის ხარისხთან. ისეთ ფორმებს, რომლებიც დაკვირვების პერიოდში დაავადდნენ. ცდიდან ვთიშავდით. სამეურნეო ღირსე-ბის დადგენის მიზნით ვრიცხავთ ფოთლის მოსავალს და ვსწავლობთ მის კვე-ბით ღირსებას.

მუშაობა გამძლე ფორმების გამოვლინებაზე დაიწყო 1968 წლიდან. დაავადებულ ზონაში შევარჩიეთ თუთის 156 ადგილობრივი ფორმა, რომლებიც ხასიათდებოდნენ კარგი სამეურნეო ნიშან-თვისებებით. უკვე აღნიშნულ შემდარებით მაღალი გამძლეობით. ლატენტურ ფორმაში გამოვლინდა მოსამკლავებლად, გამოყოფილ ელიტურ მცენარეებზე პროვოკაციული ფონის შექმნის მიზნით ყოველწლიურად ვატარებდით მათ ექსპლუატაციას.

1968 წლის ვეგეტაციის დასასრულს, ექსპლუატაციის შემდეგ შერჩეულ 156 ფორმიდან ცდაში დაეტოვეთ თუთის 36 ადგილობრივი ფორმა, რომლებიც ვიზუალური შემოწმებისას გამოირჩეოდა კარგი სამეურნეო ნიშან-თვისებებით და დაავადების მიმართ მაღალი გამძლეობით. დანარჩენი ფორმები დაავადების გამო ცდიდან გამოვითიშეთ.

პირველ ცხრილში მოცემულია 1968 წელს შერჩეული თუთის ადგილობრივი ფორმების ელიტური მცენარეების დაავადების მაჩვენებლები, საიდანაც ირკვევა, რომ შერჩეული 36 ფორმიდან 1969 წელს ექსპლუატაციამდე არც ერთი ფორმა არ დაავადდა, მაგრამ ექსპლუატაციის შემდეგ დაავადება 5 ფორმაზე (№ 5, № 27, № 28, № 29, № 30) საკმაოდ მაღალი ინტენსივობით აღინიშნა, ხოლო 6 ფორმაზე (№ 2, № 6, № 20, № 21, № 22, № 23) — სუსტად. ძლიერ დაავადებული ფორმები 1970 წლისათვის ცდიდან გამოვითიშეთ.

1970 წელს დარჩენილი 31 ფორმიდან ექსპლუატაციამდე არც ერთი ფორმა არ დაავადებულა, ხოლო ექსპლუატაციის შემდეგ დაავადება საკმაოდ ძლიერი ინტენსივობით აღინიშნა კიდევ 1 ფორმაზე (№ 7) და 1969 წელს სუსტად დაავადებულ 5 ფორმაზე (№ 6, № 20, № 21, № 22, № 23), რომლებიც მომდევნო წელს ცდიდან გამოვითიშეთ.

1971 წელს დარჩენილი 25 ფორმიდან ექსპლუატაციის შემდეგ ორი ფორმა (№ 10, და № 11) ძლიერ დაავადდა, ხოლო სამ ფორმაზე (№ 16, № 19, № 24) აღინიშნა სუსტი დაავადება, რომლებზეც დაკვირვება განვაგრძეთ.

ამრიგად, სამი წლის მანძილზე შერჩეული 36 ფორმიდან დაავადებისადმი შედარებით გამძლე აღმოჩნდა 18 ფორმა (№ 1, № 3, № 4, № 8, № 9, № 12, № 13, № 14, № 15, № 17, № 25, № 26, № 31, № 32, № 33, № 34, № 35 და № 36). ძლიერ დაავადდა 13 ფორმა (№ 5, № 6, № 7, № 10, № 11, № 20, № 21, № 22, № 23, № 27, № 28 და № 30), ხოლო სუსტად 5 ფორმა (№ 2, № 16, № 18, № 19, № 24).

გამოვლინებული გამძლე ფორმების ელიტური მცენარეებიდან ვამზადებდით კალმებს და მყნობის გზით მათ ვამრავლებდით 50—50 ცალის რაოდენობით. მიღებული ნაშენების იმუნური შეფასების მაჩვენებლებზე წარმოდგენას იძლევა მე-2 ცხრილი.

ბუნებრივ-პროვოკაციულ პირობებში 1969 წელს დაავადება არც ერთ ფორმაზე არ შეიმჩნეოდა. 1970 წელს აღინიშნა 4 ფორმაზე (№ 9, № 16, № 19, № 34); ხოლო 1971 წელს კიდევ 3 ფორმაზე (№ 24, № 25, № 26). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ფორმაზე (№ 16, № 19, № 34), რომლებზეც დაავადება წინა წელს (1969) გამოვლინდა, მომდევნო (1970) წელს არ შეგვიმჩნევია

და მცენარეები საღად გამოიყურებოდნენ. დაავადების გამოვლინებაში ვ. წ. პერიოდულობა შედარებით გამძლე ჭიშებისათვის დამახასიათებელია.



ეროვნული
მეცნიერებათა
აკადემია

ტ ბ რ ი ლ ი 1

1968 წელს შერჩეული ელიტური მცენარეების დაავადების მარკინგები

მარკინგის ნომერი	1967 წელი		1970 წელი		1971 წელი		შენიშვნა
	მცხეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის	მცხეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის	მცხეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის	მცხეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის	მცხეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის	მცხეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის	
1	0	0	0	0	0	0	
2	0	სუსტი	0	სუსტი	0	0	
3	0	0	0	0	0	0	
4	0	0	0	0	0	0	
5	0	ძლიერი	გამოითიშა	გამოითიშა	—	—	
6	0	სუსტი	0	ძლიერი	გამოითიშა	გამოითიშა	
7	0	0	0	ძლიერი	გამოითიშა	გამოითიშა	
8	0	0	0	0	0	0	
9	0	0	0	0	0	0	
10	0	0	0	სუსტი	0	ძლიერი	1968 წლის ექსპლუატაციის შედეგ 156 ფორმიდან ცდა- ში დავტოვეთ მხოლოდ 36 ფორმა, რომლებიც მაღალ გამძლეობასთან ერთად გამო- ირჩეოდა კარგი საშუაწნეო ნიშან-თვისებებით
11	0	0	0	სუსტი	0	ძლიერი	
12	0	0	0	0	0	0	
13	0	0	0	0	0	0	
14	0	0	0	0	0	0	
15	0	0	0	0	0	0	
16	0	0	0	0	0	სუსტი	
17	0	0	0	0	0	0	
18	0	0	0	სუსტი	0	0	
19	0	0	0	სუსტი	0	სუსტი	
20	0	სუსტი	0	ძლიერი	გამოითიშა	გამოითიშა	
21	0	სუსტი	0	ძლიერი	გამოითიშა	გამოითიშა	
22	0	სუსტი	0	ძლიერი	გამოითიშა	გამოითიშა	
23	0	სუსტი	0	ძლიერი	გამოითიშა	გამოითიშა	
24	0	0	0	0	0	სუსტი	
25	0	0	0	0	0	0	
26	0	0	0	0	0	0	
27	0	ძლიერი	გამოითიშა	გამოითიშა	—	—	
28	0	ძლიერი	გამოითიშა	გამოითიშა	—	—	
29	0	ძლიერი	გამოითიშა	გამოითიშა	—	—	
30	0	ძლიერი	გამოითიშა	გამოითიშა	—	—	
31	0	0	0	0	0	0	
32	0	0	0	0	0	0	
33	0	0	0	0	0	0	
34	0	0	0	0	0	0	
35	0	0	0	0	0	0	
36	0	0	0	0	0	0	

ხელოვნური დასენიანების შედეგად სამი წლის მანძილზე არც ერთი ფორმა არ აღმოჩნდა იმუნური — მეტ-ნაკლებად ყველა დაავადდა. მათ შორის შედარებით მაღალი გამძლეობით გამოირჩევიან ფორმები: № 1, № 3, № 4, № 12, № 13, № 14, № 32, რომლებიც სამი წლის განმავლობაში ბუნებრივ-პროვოკაცი-

ფოთლის სიხუტუქისადმი გამძლე დეამცენარეებიდან მიღებული ნაშენების
დავალება (პროცენტებით)

ეროვნული

გეგმვა

ფორმების ნომრები	1969 წელი		1970 წელი				გეგმვა					
	ბუნებრივ-პროფოკაციულ ფონზე		ხელოვნური დასენიანებით		ბუნებრივ-პროფოკაციულ ფონზე		ხელოვნური დასენიანებით		ბუნებრივ-პროფოკაციულ ფონზე		ხელოვნური დასენიანებით	
	დაავადდა	დაავადების განვითარება %	დაავადდა	დაავადების განვითარება %	დაავადდა	დაავადების განვითარება %	დაავადდა	დაავადების განვითარება %	დაავადდა	დაავადების განვითარება %	დაავადდა	დაავადების განვითარება %
1	0	0	8,7	2,1	0	0	11,5	6,2	0	0	0	0
2	0	0	16,6	4,7	0	0	6,6	2,2	0	0	20,0	20,0
3	0	0	18,1	6,1	0	0	0	0	0	0	0	0
4	0	0	27,7	7,5	0	0	0	0	0	0	0	0
8	0	0	11,1	4,1	0	0	0	0	0	0	33,3	33,3
9	0	0	16,6	8,3	14,2	4,7	33,3	11,1	14,2	1,5	33,3	33,3
12	0	0	11,1	3,6	0	0	0	0	0	0	11,1	11,1
13	0	0	18,7	6,2	0	0	0	0	0	0	0	0
14	0	0	25,0	8,2	0	0	0	0	0	0	0	0
15	0	0	10,5	3,5	0	0	0	0	0	0	20,0	6,6
16	0	0	0	0	8,3	2,7	25,0	25,0	0	0	0	0
17	0	0	12,5	4,1	0	0	0	0	0	0	27,2	9,0
18	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	80,0	33,3
19	0	0	33,3	11,1	26,8	10,6	0	0	0	0	100,0	33,3
24	0	0	13,3	4,4	0	0	0	0	40,0	23,3	50,0	33,3
25	0	0	23,0	7,6	0	0	0	0	42,8	19,0	42,8	42,8
26	0	0	20,0	6,6	0	0	20,0	6,6	50,0	16,6	83,3	27,7
31	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	22,2	14,3
32	0	0	27,5	8,5	0	0	0	0	0	0	0	0
33	0	0	22,2	7,3	0	0	16,6	16,6	0	0	16,6	16,6
34	0	0	18,2	6,0	25,0	21,6	42,8	42,8	0	0	0	0
35	0	0	31,2	10,4	9	0	14,2	4,2	0	0	0	0
36	0	0	33,3	11,1	0	0	23,0	17,8	0	0	0	0

ულ პირობებში არ დაავადდა, ხოლო ხელოვნური დასენიანებისას დაავადება ცვალებადობს 8,7—27,7%-ის ფარგლებში (ცხრ. 2).

1971 წელს შერჩეული მაღალი გამძლეობისა და ვიზუალური შემოწმებით კარგი სამეურნეო ნიშან-თვისებების მქონე საუკეთესო ფორმებიდან გაშენებულია ჯიშთგამოცდის ნაკვეთი, რომელზეც განვაგრძობთ იმუნურ შეფასებას ამასთან შევისწავლით მათ მოსავალს და ფოთლის კვებით ღირსებას.

დასკვნა

1. დასავლეთ საქართველოს ძლიერ დაავადებული რაიონების თეთის ადგილობრივ ფორმებს შორის გვხვდება ეგზემლარები, რომლებზეც დაავადება ბუნებრივ-პროფოკაციულ პირობებში სულ არ ან სუსტი ინტენსივობით შეიმჩნევა.

2. წლების მანძილზე შერჩეული იქნა ფოთლის სიხუტუქისადმი შედარებით გამძლე თეთის მრავალი ადგილობრივი ფორმა, რომელთა უმეტესობა დაა-

ვადლა და ცდიდან გამოითიშა. 1968 წელს შერჩეული ფორმებიდან მალალი გამძლეობით გამოირჩევა 6 ფორმა.

3. შერჩეული 6 საუკეთესო ფორმიდან 1972 წელს გაშენდა ჯიშთვამოცდის ნაკვეთი, სადაც წარმოებს მათი საბოლოო იმუნური შეფასება და ნიშან-თვისებების შესწავლა.



Н. А. ТВАЛЧРЕЛИДZE

К ВОПРОСУ УСТОЙЧИВОСТИ МЕСТНЫХ ФОРМ ШЕЛКОВИЦЫ К КУРЧАВОЙ МЕЛКОЛИСТНОСТИ

Резюме

Выявление местных форм шелковицы устойчивых к курчавой мелколистностью проводится сильно зараженных районах Западной Грузии маршрутными обследованиями и стационарными исследованиями. Выделенные наиболее устойчивые формы шелковицы, характеризующиеся хорошими хозяйственно-ценными признаками размножаются методом окулировки и над ними ведутся дальнейшие исследования. Иммунологическая оценка их проводится в естественно-провокационных условиях и при методе искусственного заражения.

Для определения степени устойчивости исходных семей применяются провокационные условия как низкая температура, одно, двух, трех, четырех и более кратное искусственное заражение.

Одно только действие низкой температуры не дало положительного результата, а при двух, трех и четырехкратном искусственном заражении представилась возможность, по результатам экспериментального заражения и микроскопического анализа бабочек, отобрать наиболее устойчивые семьи и индивиды, что говорит о возможности устойчивой к полиэдрозу тутового шелкопряда. Работа в этом направлении продолжается.



თ. ლაბაძე

**დაბალი ტემპერატურის ხანგრძლივად მოქმედების გავლენა
აბრეშუმსხვეპისა და ჭარბის განვითარებასა და ცხოველყოფილობაზე**

აბრეშუმის ჭიის ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყენებისა და წარმოებაში დანერგილი ჯიშების გაუმჯობესების საქმიანობაში გარდა ბიოლოგიური სამეურნეო ნიშან-თვისებათა მაჩვენებლებისა, დიდ ყურადღებას აქცევენ პარკის ტექნოლოგიური თვისებების გაუმჯობესებას. პარკისა და ძაფის ტექნოლოგიური თვისებების გაუმჯობესებისათვის საჭიროა მოხდეს გამორჩევის დაწყებამდე უკეთესი ოჯახებისა და ინდივიდების პარკის ამოხვევა ნედლად იმ წესით, რომ ჭუპრი ცოცხალი დარჩეს და მისგან შეგვეძლოს ჯახსალი თაობის მიღება. მხოლოდ ნედლი პარკიდან ძაფის ამოხვევის საფუძველზე უნდა მოხდეს ოჯახებისა და ინდივიდების შეფასება ტექნოლოგიური მაჩვენებლებით და შემდგომში მათგან უკეთესების გამორჩევა და გამრავლება.

ნედლი პარკის ინდივიდუალურად ამოხვევა შრომატევადი სამუშაოა, ერთი მუშა რვა საათის განმავლობაში ახვევს მხოლოდ 50 ცალ პარკს მაშინ, როდესაც ერთი ჭიის სხვადასხვა ოჯახიდან ან პარტიებიდან საწყისი მასალის გრენის დამზადებისათვის საჭიროა 500—600 ცალი პარკის ამოხვევა. რადგან სასელექციო სადგურები ერთდროულად სწავლობენ 4 და მეტ ჭიშს, ისინი ვერ ასწრებენ (პარკის გამოკრეფიდან პეპლის გამოსვლის დაწყებამდე დაახლოებით 5 დღეში) ყველა საჭირო პარკის ინდივიდუალურად ამოხვევას, რის გამოც პარკის ტექნოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით ინდივიდების გამორჩევა ფერხდება ან სრულებით ვერ მიმდინარეობს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მიღებულ შედეგებზე.

იმ მიზნით, რომ მორფოლოგიური ნიშნებით ვარგისი გამორჩეული პარკის ამოხვევა მოესწროს პაპლიონაეის დაწყებამდე, საჭიროა ნედლი პარკის შენახვა მაიცვიარში დაბალი ტემპერატურის პირობებში ჭუპრის განვითარების შეწყვეტის მიზნით. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პარკის დროებით შენახვა დაბალი ტემპერატურის პირობებში საჭიროა საგრენაეო ქარხნებში შესაჯვარებელი ჯიშების ჭუპრის განვითარების რეგულირებისათვის ჰიბრიდული გრენის დამზადების მიზნით.

დაბალი ტემპერატურის პირობებში ნედლი პარკის შენახვაზე გამოკვლევები ჩატარებული აქვთ ნ. ბელიაევს (1932 წ.), გოგელიას (1953 წ.) და სხვებს,



რომლებიც მიუთითებენ, რომ ნედლი პარკის ხანგრძლივად შენახვა დაბალი ტემპერატურის პირობებში ჭურის სიცოცხლისუნარიანობაზე უარყოფითად მოქმედებს.

პროფ. ი. დოლიძის მიერ შესწავლილია დაბალი ტემპერატურის მოქმედება ნედლ პარკზე მისი ხშობის წესების შეცვლის მიზნით. ყველა აღნიშნული ცდა ჩატარებულია სხვადასხვა მიზნით და მიღებული შედეგები არ იძლევიან ჩვენთვის საინტერესო პასუხს. ამავე დროს, პრაქტიკაში შემსხვეულია, რომ დაბალ ტემპერატურაზე ხანგრძლივად შენახული ნედლი პარკიდან გამოსული პეპლების მნიშვნელოვანი რაოდენობა დეფექტურია და ამდენად განაყოფიერებისა და ვრენის გამოსავლიანობის დონე დამაკმაყოფილებელი არაა. აქედან გამომდინარე მიზნად დავისახეთ გამოვევრკვია, როგორი ტემპერატურა და ნედლი პარკის შენახვის ხანგრძლივობაა მისაღები, ამასთან, რა გავლენას ახდენს ესა თუ ის დაბალი ტემპერატურა ჭურის განვითარების ხანგრძლივობაზე და სიცოცხლისუნარიანობაზე.

ცდები ტარდებოდა მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტის სელექცია-გრენაჟის კათედრა-განყოფილებაში შ. ლენინფაძის ხელმძღვანელობით 1970-72 წლებში.

საცდელად აღებულ იქნა კახური ჯიშის პარკი. პარკის გაჭრის თავიდან აცილების მიზნით სქესის მიხედვით დანაწილება მოვახდინეთ პარკის სქესად გამოყოფა მანქანაზე.

ცდის თითოეული ვარიანტისათვის აღებული იქნა მდენდრობითი და მამრობითი პარკი 150—150 ცალის რაოდენობით სამ-სამ განმეორებად (განმეორებაში 50 ცალი პარკი), რაც მოთავსდა ერთდროულად მაცივარში 1°—2°, 4°—5°, 7°—8°, 10°—12° და 14°—16° ტემპერატურაზე, 5, 10, 15 და 20 დღის ხანგრძლივობით. შეჯვარების შემდეგ დათიშული დედლები იმავე ოთახში თითო-თითოდ თავსდებოდა იზოლატორებში კვერცხის დასადებად.

დავეგმილი ვადის გავლის შემდეგ მაცივირიდან გამოტანილი პარკი თავსდებოდა საპალიონაჟო ოთახში და მათგან გამოსული პეპლების შეჯვარება და შენახვა წარმოებდა იმავე პირობებში, როგორც საკონტროლოსი. პალიონაჟის დროს და მისი დამთავრების შემდეგ აღირიცხა: პარკიდან პეპლის გამოსვლის თარიღი, პარკში ჩამკვდარი ჭურისა და პეპლის რაოდენობა. ორი წლის საშუალო მაჩვენებლები მოტანილია 1-ელ ცხრილში.

1°—2° და 3°—4° ტემპერატურულ პირობებში შენახულ პარკში ჭურის განვითარება (მაცივარში შეტანიდან პეპლის გამოსვლის დაწყებამდე) გახანგრძლივდა: ხუთი დღით შენახულ პარკში 8 დღე, 10 დღით შენახულში — 12 დღე, 15 დღით შენახულში — 17 დღე და 20 დღით შენახულში — 22 დღე, მაშინ, როდესაც საკონტროლო ვარიანტის პარკიდან, რომელიც მოთავსებული იყო 24°—26° ტემპერატურაზე პეპლის გამოსვლა აღინიშნა მე-5 დღეს. მაცივარში შენახულ პარკში ჭურის განვითარება გახანგრძლივდა საკონტროლოსთან შედარებით ვარიანტების შესაბამისად: 4, 8, 13, 18 დღით (იხ. ცხრ. 1).

7°—8° და 10°—12° ტემპერატურულ პირობებში შენახულ პარკში ჭურის განვითარების გახანგრძლივება შესაბამისი ვარიანტების მიხედვით ყველგან ერ-



თი დღით მცირდება 1°—2° და 4°—5° ტემპერატურულ პირობებთან შედარებით, ხოლო, რაც შეეხება პარკის შენახვას 14—16° ტემპერატურის პირობებში პეპლების გამოხვლა პარკიდან მაკივარში მე-15 დღეს იწყება დიდწილად, ხოლო მხოლოდ ერთეულები არ გამოდიან პარკიდან 20 დღემდე. ამრიგად, უკანასკნელი ვარიანტის 10°—12° და 14°—16° ტემპერატურის პირობებში, მართალია, უფრო დაჩქარებულია ჭუპრის განვითარება, მაგრამ შესაძლებელია საკონტროლოსთან შედარებით 8—10 დღემდე გავახანგრძლივოთ.

ცხრილი 1
დაბალი ტემპერატურის ხანგრძლივად მოქმედების გავლენა ჭუპრის განვითარებაზე და ცხოველმყოფელობაზე (ჩიში კახური 1970-72 წწ.)

პარკის შენახვის ტემპერატურა	პარკის შენახვის ხანგრძლივობა დღე-ღამეში	მაცივარულ კამერებში შენახვის ხანგრძლივობა დღე-ღამეში	პეპლის განვითარების ხანგრძლივობა დღე-ღამეში	საკონტროლოსთან შედარებით ჭუპ.	პარკში ნაშევდარი ჭუპრი		პარკში ნაშევდარი პეპლები		პარკში ნაშევდარი ჭუპრი და პეპლები		ცხრილის აღმნიშვნელი პარკის რაოდენობა
					რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	
1—2°	5	3	8	4	21	4,6	21	4,6	42	9,3	450
	10	2	12	8	24	5,3	28	6,2	52	11,5	
	15	2	17	13	35	7,8	36	8,0	72	15,8	
	20	2	22	18	56	12,4	83	18,4	139	30,8	
4—6	5	3	8	4	15	3,3	13	2,9	28	6,2	450
	10	2	12	8	25	5,5	37	8,2	62	13,7	
	15	2	17	13	30	6,6	39	8,7	69	15,3	
	20	2	22	18	56	12,4	68	15,2	124	27,6	
7—8	5	2	7	3	19	4,3	16	3,5	35	7,8	450
	10	2	12	8	25	5,5	38	8,4	63	14,0	
	15	1	16	12	32	7,1	30	6,7	62	13,8	
	20	1	21	17	58	12,8	76	16,8	134	29,6	
10—12	5	2	7	3	25	5,5	16	3,5	41	9,1	450
	10	2	12	8	15	3,5	26	5,8	41	9,3	
	15	1	15	12	23	6,2	32	7,1	60	13,3	
	20	0	20	16	60	13,3	98	21,7	158	35,0	
14—16	5	2	7	3	17	3,8	18	4,0	35	7,8	450
	10	2	12	8	21	4,7	14	3,1	35	7,7	
	15	1	16	12	30	6,6	28	6,2	58	12,8	
	20	0	16	12	35	7,7	78	17,3	113	25,0	
24—25			4		13	2,2	8	1,8	21	4,6	

პაპლიონაის დამთავრების შემდეგ პარკის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ პარკის ნაწილში ჭუპრი იყო მკვდარი, ნაწილში კი პეპელი, რომელიც ვერ გამოვიდა პარკიდან და ჩაყვდა. ამასთან ერთად გამოირკვა, რომ შენახვის პერიოდში ნედლ პარკზე დაბალი ტემპერატურების ხანგრძლივმა მოქმედებამ გამოავლინა უარყოფითი გავლენა ჭუპრის ცხოველმყოფელობაზე.

ერთი და იმავე ტემპერატურის პირობებში შენახულ პარკში შენახვის ხანგრძლივობა იწყვეს თანდათანობით ჭუპრისა და პეპლის ჩაყვდომის გადიდებას

და მაქსიმუმს აღწევს 20 დღის ხანგრძლივობით შენახვისას, ასევე მათში იქნება 1°—2° ტემპერატურის პირობებში შენახულ პარკში ჭუპრისა და პეპლის ჩაყვდომა აღმოჩნდა 5 დღის ვადით შენახულში 9,3%, 10 დღის ვადით შენახულში — 11,5%, 15 დღით შენახულში — 15,8%, ხოლო 20 დღის ვადით შენახულში — 30,8%, ნაცვლად 4,6%-ისა საკონტროლოში. ასეთივე შედეგები მიიღეს ყველა ტემპერატურის პირობებში შენახულ პარკში. შენახვის განხარკძლივების მიხედვით, ამასთან ერთად, ჩაყვდომა ჭუპრისა და პეპლისა პარკში თითქმის თანაბარია გარდა 20 დღის ხანგრძლივობით შენახულ პარკში, სადაც პეპლის ჩაყვდომა ჭარბობს ჭუპრის ჩაყვდომას 3—4%-ით და ამასთან ერთად, მამლები მეტია ჩაყვდარი, ვიდრე დედლები ამ ვარიანტში. დანარჩენ ვარიანტებში სქესის მიხედვით განსხვავება არ ეტყობა, ტემპერატურების მიხედვით თითქმის ყველა პირობებში 5-დღიანი ხანგრძლივობით შენახვა იძლევა ჭუპრისა და პეპლის ჩაყვდომას 6-დან 8%-მდე, ნაცვლად 4,6%-ისა საკონტროლოში. 10 დღის ვადით შენახვა 1°—2° და 4°—5° ტემპერატურის პირობებში ჩაყვდომის პროცენტი იკლებს თანდათანობით 14%-დან 7%-მდე, ე. ი., რაც მაღალია ტემპერატურა პარკის შენახვის დროს, მით ნაკლებია ჭუპრისა და პეპლის ჩაყვდომის პროცენტი.

15 დღის ხანგრძლივობით პარკის შენახვა 1°—2°, 4°—5° ტემპერატურის პირობებში იძლევა ჭუპრისა და პეპლის ჩაყვდომის 14—15%-ს უფრო მაღალი ტემპერატურის პირობებში თანდათან ეცემა 13%-დან 12%-მდე, ხოლო რაც შეეხება 20 დღის ვადით პარკის შენახვას ყველა ტემპერატურის პირობებში მეტად ცუდია (34—30%). მათ შორის 14—16° ტემპერატურის პირობებშიც კი (25 %).

ამრიგად თუ ვიმსჯელებთ ჭუპრის ცხოველმყოფელობის მაჩვენებლების მიხედვით 20 დღის ვადით ნედლი პარკის შენახვა არცერთი ტემპერატურის პირობებში მისაღები არ უნდა იყვეს, რადგან ის 6—8-ჯერ ზრდის ჭუპრისა და პეპლის ჩაყვდომას პარკში საკონტროლოსთან შედარებით და ამავე დროს მაღალი ტემპერატურის 14—16°-ის პირობებში შენახვის დროსაც ვერ იძლევა ჭუპრის განვითარების განხარკძლივებას იმაზე მეტს, რასაც იძლევა 15 დღის ვადით შენახვა. არც თხუთმეტი დღის ვადით შენახვაა მისაღები, რადგან ჭუპრისა და პეპლის ჩაყვდომა ყველა პირობებში საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა (13% და მეტი საკონტროლოსთან შედარებით).

დასკვნა

ჩატარებული ცდებისა და მიღებული შედეგების ანალიზების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

1. პარკის შენახვა 5—10 დღით სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში 1°—2°-დან 14°—16°-ის ჩათვლით თითქმის ერთნაირად ახანგრძლივებს ჭუპრის განვითარებას. რაც უფრო დიდხანს ინახება პარკი მაღალ ტემპერატურაზე ჭუპრის განვითარება დაჩქარებულია და ჭუპრის განვითარების ხანგრძლივობა კი შემცირებულია.

1°—2° და 4°—5° ტემპერატურებში 5 დღით პარკის შენახვა საკონტროლო-
ლოსთან შედარებით 4 დღით ახანგრძლივებს ჭუპრის განვითარებას, ხოლო
7°—8°, 10°—12° და 14°—16° ტემპერატურის პირობებში 3 დღით. აღნიშნულ
ტემპერატურებში პარკის 10 დღის შენახვით შესაძლებელია საკონტროლო-
ლოსთან შედარებით ჭუპრის განვითარების გახანგრძლივება გამოვიწვიოთ

2. ნედლ პარკზე დაბალი ტემპერატურის მოქმედება 1°—2°-დან 14°—16°-
ზე იწვევს ჭუპრის სიცოცხლისუნარიანობის მეტ-ნაკლებად შემცირებას შენა-
ხვის ხანგრძლივობის მიხედვით. თუ 5 დღის ხანგრძლივობით შენახვამ პირველ
შემთხვევაში გამოიწვია საკონტროლო-ლოსთან შედარებით ჭუპრისა და პეპლის ჩა-
კვლამა პარკში 2—3%-ით მეტი, 10 დღის ხანგრძლივობით შენახვამ 11—12%-ით
მეტი, ხოლო 20 დღით შენახვამ 23—26%-ით მეტი ჩაკვლამა.

3. დაბალი ტემპერატურის პირობებში (1°—8°-ის ჩათვლით) ნედლი პარ-
კის შენახვა 10 დღემდე უფრო უარყოფითად მოქმედებს ჭუპრის ცხოველყო-
ფლობაზე, ვიდრე უფრო მაღალი ტემპერატურის პირობებში (10°—16°-მდე)
შენახვა. ამიტომ, როგორც საგრუნაჟო წარმოებისათვის, ასევე სასელექციო
სემინარობისათვის ჭუპრის განვითარების გახანგრძლივების მიზნით შეიძლება
ბიზანშეწონილად ჩაითვალოს ნედლი პარკის შენახვა 10°—16° ტემპერატურის
ფარგლებში 10 დღემდე.

Т. Р. АЕБСВЕРИДЗЕ

ВЛИЯНИЕ ДЛИТЕЛЬНОГО ДЕЙСТВИЯ НИЗКИХ ТЕМПЕРАТУР НА РАЗВИТИЕ И ЖИЗНЕСПОСОБНОСТЬ КУКОЛОК ТУТОВОГО ШЕЛКОПРЯДА

Резюме

Для выяснения оптимальных условий содержания куколок тутового шелкопряда с замедленным развитием проведены опыты с коконами породы Кахури при температурных условиях 1, 2, 4, 5, 7, 8, 10, 12, 14, 16° и длительности хранения в течение 5, 10, 15, 20 дней с контрольным вариантом 24—25°.

В результате полученных данных выяснилось:

1. Хранение коконов в течение 5 дней при температурах 1—2° и 4—5° замедляется развитие куколок по сравнению с контролем на 4 дня, при 7—8°, 10—12°, 14—16° на 3 дня, а в течение 10 дней при всех вышеуказанных температурах — на 8 дней.

2. При всех взятых нами температурах (1—16°) в зависимости от длительности хранения коконов резко снижается жизнеспособность куколок. Так например, процент гибели куколок и бабочек при 5 дневном хранении больше чем в контроле на 2—4%, при 10 дневном — на 4—8%, при 15 дневном — на 11—12%, а при 20 дневном — на 23—26%.

3. Кокон в течение 10 дней лучше хранить при температурах 10—16°. Хранение коконов при более низких температурах увеличивает процент гибели куколок и бабочек.

4. Исходя из вышесказанного, на гребнях гибридной гены и в научных учреждениях возможно, с целью замедления развития куколок, хранить коконы при температурах 10—16° до 10 дней.



აღმავსა

ზივოლტინური ჯიშებიდან და ზივარიდან მოზამთრე ფორმების მიღების შესაძლებლობა და მათი სამეურნეო ნიშან-თვისებათა მანიპულაციის შესწავლა

თუთის აბრეშუმხვევიას სხვა ნიშან-თვისებათა შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვოლტინობა.

გარემო ფაქტორებით გამოწვეული ნიშან-თვისებების ცვლილებების ვოლტინობის რეგულირების ცოდნით შესაძლებელია წლის განმავლობაში ხარისხოვანი პარკის რამდენიმე მოსავლის მიღება. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ვოლტინობის შესწავლას ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეშიც.

ახლად გამოყვანილ ჯიშებში უმეტეს შემთხვევაში მონაწილეობს ბიოვოლტინური ჯიშის სისხლი, ამიტომ თავს იჩენს ბიოვოლტინობა, მიიღება თვითგამლეიბი და შერეული ნადებების საკმაო რაოდენობა, რაც ნაკლოვან მხარედ ითვლება საგრენაჟო წარმოებაში.

მონოვოლტინური ჯიშებიდან მიღებულ გრენის პარტიაში დიდი რაოდენობითაა შერეული ნადებები და გაზაფხულზე იძლევა გამოცოცხლების მცირე პროცენტს. გარდა ამისა, მათ გრენას აქვს დიაპაუზის შედარებით მოკლე პერიოდი. ზოგიერთი თეთრპარკიანი ჯიშის გრენაში დიაპაუზა ადრე მთავრდება, ჩანასახი იწყებს განვითარებას და ჭიები შემოდგომითვე გამოდიან.

ჩვენ მიზნად დავისახეთ ბიოვოლტინურ ჯიშებსა და მათ ჰიბრიდებში შეგვესწავლა დამოკიდებულება ბიოვოლტინობასა და ზოგიერთ სამეურნეო ნიშან-თვისებათა შორის, დავედგინა დრო, რომელიც დასჭირდებოდა როგორც ბიოვოლტინური ჯიშებიდან, ისე მათი ჰიბრიდებიდან გამორჩევის გზით მყარი მონოვოლტინური ფორმების მიღებას.

ბიოვოლტინური ჯიშებიდან მონოვოლტინური ფორმების გამოყოფის მიზნით ავირჩიეთ პროვოკაციული პირობები, რათა გამოვეყმელავებინა ისეთი ინდივიდები, რომლებსაც მიდრეკილება ექნებოდა მონოვოლტინობისაკენ, რომ, განგვემტკიცებინა იგი თაობათა მანძილზე გამორჩევით.

საკითხის შესწავლა დაიწყო 1965 წელს. დაკვირვებისათვის ავიღეთ ორა ბიოვოლტინური ჯიშები: ტაშხი 112 და ჩინური — 108.

გარემო ფაქტორები: დაბალი ტემპერატურა (14—16°), სიბნელე და 60—65% ჰაერის შეფარდებითი ტენი. ასეთ პირობებში გამორჩეული მონოვოლტი-

ნური ფორმების გამრავლებამ თაობათა მანძილზე უნდა განამტკიცოს შემდგომში ჯიშის ეს თვისება.

პარალელურად ბივოლტინობის დაკარგვის მიზნით, ინკუბაციას ვატარებდით შემდეგ პირობებში: ტემპერატურა — 24—26°, განათება — 16—18 სთ, ტენი — 70—75%.

შესწავლილ იქნა აღნიშნულ ჯიშებსა და მათ ჰიბრიდებში როგორც მოზამთრე ფორმების პროცენტული ზრდა, ასევე ინკუბაციის ხანგრძლივობა, კონცოველმყოფელობა, პარკისა და გარსის საშუალო წონა, აბრეშუმთანობა.

შედგები მონოვოლტინური ფორმების მიღებისა თაობათა და გამოკვების სეზონის მიხედვით მოცემულია 1-ელ და მე-2 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბივოლტინობის დონე (F_1 თაობაში, რომელსაც პირობითად მოსამზადებელ თაობას ვუწოდებთ) ტაშსხი 112-ში 96,0%, ხოლო ჩინური 108-ში 92,0%-ია, ე. ი. ორივე ჯიშში ბივოლტინობის მაღალი დონის ხასიათდება.

F_1 თაობაში მიღებულ იქნა მოზამთრე ფორმები ტაშსხი 112-ში — 13,4%; ჩინურ 108-ში — 8,0%, როცა ჰიბრიდების — F_1 თაობაში მოზამთრე ფორმები ტაშსხი 112×ჩინურზე — 19,0%-ია, ხოლო შებრუნებულ კომბინაციაში — 16,0%. F_2 თაობაში მიღებული მოზამთრე ფორმები ტაშსხი 112-ში შეადგენდა 24,5%, ხოლო ჩინურ 108-ში — 29,2%-ს. ჰიბრიდებში კი შესაბამისად 38,8% და 44,6%-ს. ასევე F_3 თაობაში ჯიშებში 45 და 43,4%-ს, ხოლო ჰიბრიდებში 57,2% 53,4%. F_4 თაობაში ტაშსხი 112-ის მოზამთრე ფორმები შეადგენდა 72,5%, ხოლო ჩინურ 108-ში 74,1%-ს, ჰიბრიდებში კი 79,1 და 82,2%-ს. F_5 თაობებში შესაბამისად მივიღეთ 93,1%; 96,2%; 96,8% და 98%.

მიღებული მოზამთრე ფორმები მონოვოლტინური თვისებებით ხასიათდებიან: დაბალ ტემპერატურაზე ინკუბაციის შემთხვევაში ინარჩუნებენ მონოვოლტინობას. საკონტროლოში კი, სადაც გამორჩევას არ ვაწარმოებდით, მოზამთრე ნადებებს ვლბებულობდით მხოლოდ 24—26°-ზე ინკუბაციის შემთხვევაში, ხოლო ისინი 14—16°-ზე, ინკუბაციის პირობებში იძლევიან თვითგამლევი ნადებებს.

გამორკვეა, რომ წმინდა ჯიშების მონოვოლტინური ფორმების ურთიერთ-შეჯვარებით ჰიბრიდულ კომბინაციებში გაიზარდა მონოვოლტინობა. მაშასადამე, წმინდა ჯიშებთან შედარებით მონოვოლტინური ფორმების მიღება უფრო მეტად შეიძლება ჰიბრიდებში გამორჩევისას.

მონოვოლტინური ფორმების გადიდებით თაობაში გაიზარდა ზოგიერთი ბიოლოგიური მაჩვენებელი (კვების ხანგრძლივობა, პარკისა და გარსის მოსავალი). მიღებული მოზამთრე ფორმების ცხოველმყოფელობა, პარკის საშუალო წონა და გარსის წონა უფრო მეტი აღმოჩნდა, როგორც წმინდა ჯიშებში, ისე ჰიბრიდებში საკონტროლოსთან შედარებით.

ამასთან საგულისხმოა ისიც, რომ დაბალი ტემპერატურის პირობებში ინკუბირებული გრენის მაჩვენებლები ყოველთვის ნაკლებია, ვიდრე მაღალი ტემპერატურის პირობებში ინკუბირებული გრენისა, მაგრამ იქ, სადაც ვახდენ-

კულტურის მოსავლის და ექსპლუატაციის მიხედვით მზის რაოდენობის და მათ
 პირობებში (გრანტული გამოცდები)

ს. ა. ა. ა. ა.



საქართველოს
 სოფლის მეურნეობის
 უნივერსიტეტი

წელი	გამოცდის სი- ნისი	მოსავლის მნიშვნელობა	კულტურის სახეობა	მ. შილა-112			მ. შილა-108			მ. შილა-105			მ. შილა-105 საშუალო წილი (%)	მ. შილა-105 საშუალო წილი (%)	მ. შილა-105 საშუალო წილი (%)	
				მოსავლი გრამა (%)	საშუალო წილი (%)	საშუალო წილი (%)	მოსავლი გრამა (%)	საშუალო წილი (%)	საშუალო წილი (%)	მოსავლი გრამა (%)	საშუალო წილი (%)	საშუალო წილი (%)				
1965	10-1-5-5-0-0-0	F ₁	14-16°	მოსავლი გრამა	2,4	96,6	0,0	8,0	92,0	0,0	-	-	-	-	-	-
			14-16°	საქონელი წილი	3,5	94,0	2,5	1,0	73,3	0,0	-	-	-	-	-	-
1966	10-1-5-5-0-0-0	F ₂	14-16°	მოსავლი გრამა	24,5	75,5	0,0	29,2	71,0	0,0	36,8	91,2	0,0	44,6	95,4	0,0
			14-16°	საქონელი წილი	3,7	87,5	0,0	4,0	89,1	0,0	2,8	97,0	0,0	6,0	100,0	4,0
1967	10-1-5-5-0-0-0	F ₃	14-16°	მოსავლი გრამა	72,5	25,0	2,5	14,1	20,5	5,4	19,1	19,6	1,3	82,2	10,0	7,8
			14-16°	საქონელი წილი	6,6	91,1	2,3	0,0	100,0	0,0	2,5	96,5	0,0	0,0	100,0	0,0



ქართული
 ენციკლოპედია

კულტურის მართვისა და განვითარების მიზნების შესრულებისათვის
 დახმარების მიზნით 1962—1967 წწ. (საბჭოთა კავშირის)

წელი	კულტურის სფერო	მუხი	საბჭოთა კულტურის სფერო	კულტურის სფერო	კულტურის—112			საბჭოთა—108			საბჭოთა—108			საბჭოთა—108		
					საბჭოთა %	საბჭოთა- სფერო %	საბჭოთა %	საბჭოთა- სფერო %	საბჭოთა %	საბჭოთა- სფერო %	საბჭოთა %	საბჭოთა- სფერო %	საბჭოთა %	საბჭოთა- სფერო %	საბჭოთა %	საბჭოთა- სფერო %
1967	მ. მ. მ. მ. მ. მ.	F ₁	14-16 ¹	საბჭოთა ფერო	12,4	66,6	0,0	8,9	92,0	0,0	19,0	11,0	0,0	16,0	64,0	0,0
				საბჭოთა	10,0	87,0	3,0	9,4	85,0	6,6	12,0	80,0	8,0	15,7	84,0	3,3
		F ₂	14-16 ¹	საბჭოთა ფერო	45,0	34,0	0,0	43,4	56,6	0,0	37,2	42,8	0,8	35,1	46,6	0,0
				საბჭოთა	7,0	83,0	10,0	11,0	89,0	0,0	16,0	83,0	1,0	20,0	80,0	0,0
		F ₃	14-16 ¹	საბჭოთა ფერო	93,1	4,8	2,1	16,2	0,8	3,3	16,8	3,7	0,0	90,0	7,0	0,0
				საბჭოთა	14,0	86,0	0,0	9,5	91,0	1,5	12,0	81,0	1,0	10,7	88,3	1,0

დით დაბალ ტემპერატურაზე ინკუბირებული მოზამთრე ფორმების გამორჩევის, მათი ბიოლოგიური მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.

მე-3 და მე-4 ცხრილის მონაცემებით ირკვევა, რომ დაბალი ტემპერატურაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქიშებისა და მათი ჰიბრიდების გაზაფხულის გამოყვების სამეურნეო

მაჩვენებლები (1965-66-67 წწ.)

ჯიშები და მათი ჰიბრიდები	სამეურნეო მაჩვენებლები	ინკუბაციის ტემპერატურა და ვოლტინობა		
		14—16° ზომზ. ფორმ.	24—26° ზომზ. ფორმ.	24—26° საკონტ.
ტაშსი № 112	ინკუბაციის ხანგრძლივობა დღ. ჰიის ცხოველყოფილობა % პარკის საშ. წონა გ-ში გარსის წონა მგ-ში აბრეშუმეიანობა %	31 87,0 1,60 295 18,5	9 89,0 1,70 292 17,0	9 91,0 1,72 318 18,4
ჩინური № 108	ინკუბაციის ხანგრძლივობა დღ. ჰიის ცხოველყოფილობა % პარკის საშ. წონა გ-ში გარსის წონა მგ-ში აბრეშუმეიანობა %	32 23,0 1,60 298 18,5	9 93,0 1,80 370 21,9	9 93,0 1,50 357 18,7
ტაშსი 112 X ჩინური 108	ინკუბაციის ხანგრძლივობა დღ. ჰიის ცხოველყოფილობა % პარკის საშ. წონა გ-ში გარსის წონა მგ-ში აბრეშუმეიანობა %	33 91,0 1,90 391 20,1	8 93,0 1,60 385 21,5	9 93,9 1,70 363 21,3
ჩინური 108 X ტაშსი 112	ინკუბაციის ხანგრძლივობა დღ. ჰიის ცხოველყოფილობა % პარკის საშ. წონა გ-ში გარსის წონა მგ-ში აბრეშუმეიანობა %	33 87,3 1,54 297 19,3	8 93,0 1,80 368 20,3	9 92,6 1,80 353 19,8

რის პირობებში, ხანგრძლივდება რა გრენის ინკუბაციის პერიოდი, მცირდება ჰიის გამოყვების ხანგრძლივობა 2—3 დღით.

ბიოვოლტინური გრენის მაღალ ტემპერატურაზე (24—26°) ინკუბირებით იზრდება ჰიის ცხოველყოფილობა, პარკისა და გარსის საშუალო წონა, რის გამოც საგრძნობლად მატულობს პარკისა და გარსის მოსავალი.

ამასთან საკულისხმოა ისიც, რომ დაბალი ტემპერატურის პირობებში ინკუბირებული გრენის მაჩვენებლები ყოველთვის ნაკლებია, ვიდრე მაღალი ტემპერატურის პირობებში ინკუბირებული გრენისა, მაგრამ იქ, სადაც ვახდენდით დაბალ ტემპერატურაზე ინკუბირებული მოზამთრე ფორმების გამორჩევას, მათი ბიოლოგიური მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.

მე-3 და მე-4 ცხრილის მონაცემებით ირკვევა, რომ დაბალი ტემპერატურის პირობებში, ხანგრძლივდება რა გრენის ინკუბაციის პერიოდი, მცირდება კიის გამოყვების ხანგრძლივობა 2—3 დღით.

ბიოლტინური გრენის მაღალ ტემპერატურაზე (24—26°C) ინკუბაციის დროს, ხანგრძლივდება კიის ცხოველყოფილება პარკისა და გარსის საშუალო წონა, ხის გამოყვ საგრძობლად მატულობს პარკისა და გარსის მოსავლი.

ჯიშებისა და მათი ჰიბრიდების ზაფხულის გამოყვების სამეურნეო ცხრილი

მაჩვენებლები (1965-66-67 წწ.)

ჯიშები და მათი ჰიბრიდები	სამეურნეო მაჩვენებლები	ინკუბაციის ტემპერატურა და ვოლტიზობა		
		14—16° მოზ. დორ.	14—16° იარა მოზ. დორ.	24—26° საკონტ.
ტაშსხი № 112	ინკუბაციის ხანგრძლივობა დღ. კიის ცხოველყოფილება % პარკის საშ. წონა გ-ში გარსის წონა მგ-ში აბრეშუმიანობა %	30 84,3 1,50 284 19,6	28 82,0 1,13 217 19,5	8 90,0 1,60 291 18,5
ჩინური № 108	ინკუბაციის ხანგრძლივობა დღ. კიის ცხოველყოფილება % პარკის საშ. წონა გ-ში გარსის წონა მგ-ში აბრეშუმიანობა %	30 88,0 1,54 271 17,6	28 86,8 1,20 202 17,2	8 89,1 1,56 289 18,5
ტაშსხი № 112 x ჩინური № 108	ინკუბაციის ხანგრძლივობა დღ. კიის ცხოველყოფილება % პარკის საშ. წონა გ-ში გარსის წონა მგ-ში აბრეშუმიანობა %	30 89,6 1,67 286 17,7	28 84,3 1,23 220 17,9	9 87,5 1,59 287 18,1
ჩინური № 108 x ტაშსხი № 112	ინკუბაციის ხანგრძლივობა დღ. კიის ცხოველყოფილება % პარკის საშ. წონა გ-ში გარსის წონა მგ-ში აბრეშუმიანობა %	30 89,8 1,56 280 18,0	28 85,0 1,26 223 17,3	8 91,5 1,48 292 19,8

დასკვნა

1. თუთის აბრეშუმსვევიას თეთრპარკიანი ჯიშების ჩანასახის განვითარებაზე სხვა პირობებთან ერთად, დიდ გავლენას ახდენს დედისეული თაობის გრენის ინკუბაციის რეჟიმი.

2. ტაშსხი-112 და ჩინური-108 ჯიშების ჰიბრიდები დაბალი ტემპერატურის ინკუბაციის პირობებში ამჟღავნებენ ბიოლტინობის მაღალ დონეს.



3. დაბალ ტემპერატურაზე ინკუბაციის პირობებში გამოჩენილი მიღებული მონამთრე ფორმების რაოდენობრივი ზრდა თაობების სისწორის პროპორციულად მატულობს.
4. მონამთრე ფორმების რაოდენობის მატება უფრო მეტად იგრძნობა მონამთრე ფორმებში, ვიდრე წმინდა ჯიშებში: ერთნაირ პირობებში წმინდა ჯიშებში მონამთრე ფორმების გზით 6 თაობაში მიიღება მონამთრე ფორმების 72,5%—74,1%, ხოლო ჰიბრიდებიდან 79,1%—82,2%.
5. მიღებული მონამთრე ფორმების ბიოლოგიური მაჩვენებლები თანაბარია მაღალ ტემპერატურაზე ინკუბირებული გრენის მაჩვენებლებისა, თუნდაც მისი ინკუბაცია ჩატარებული იყოს დაბალ ტემპერატურაზე.
6. განმეორებითი გამოკვებისას ყოველთვის მაღალია მონამთრე ფორმების რიცხვი, ვიდრე განაფხულის გამოკვების თაობებში, რაც თვით ბივოლტინური ქიშის ბიოლოგიური თვისებით უნდა აიხსნას.

А. А. ЛЕЖАВА

ИЗУЧЕНИЕ ВЗАИМОСВЯЗИ БИВОЛЬТИНИЗМА С ХОЗЯЙСТВЕННО ПОЛЕЗНЫМИ ПРИЗНАКАМИ У БИВОЛЬТИННЫХ ПОРОД И ИХ ГИБРИДОВ

Резюме

В 1965—67 гг. нами проведены опыты по получению зимующих форм из бивольтинных пород и гибридов тутового шелкопряда с целью изучения их хозяйственно-полезных признаков.

В результате проведенной работы установлено, что в условиях провакации, в гибридных комбинациях по сравнению с породами ускоряется получение стойких моновольтинных форм.

Так например, при одинаковых условиях, отбор в породах (Таш. СХИ 112—Китайская 108) поколения получено F₁ 13,4 — 8,0% моновольтинных форм, а в гибридах (Таш. СХИ 112—Китайская 108 и обрат.) 19,0—16,0%; F₂ поколения получено в породах — 24,5—29,2%, а в гибридах — 38,8—44,6%. F₃ поколения получено, моновольтинных форм породах 45,0—43,4%, а в гибридах 52,2—53,4%; F₄ поколения в породах 72,5—74,1%, а в гибридах — 79,1—82,2%; F₅ поколения получено моновольтинных форм в породах 93,1—96,2%, а в гибридах 96,8—98,0%.

Показатели полученные с зимующих форм, приравниваются с показателями грены инкубированной при высокой температуре даже в тех случаях, когда инкубация проводилась при низкой температуре.



მედიკალური, ქ. გობინაშვილი

მეტამორფოზის პერიოდში გარემო ტემპერატურის როლი თუთის აბრეშუმხვევიას დიაპაუზის ხანგრძლივობის განსაზღვრავში

თუთის აბრეშუმხვევიას (*Bombyx mori* L) ახალი ჯიშების გამოყენების
როს სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით ერთ-ერთ კომპონენ-
ტად ბილოგეტიურ ჯიშებს იყენებენ. მონოვოლტინურთან შედარებით ისინი
მოკლე დიაპაუზით ხასიათდებიან და ამ თვისებას ხშირად მათგან გამოყვა-
ლი ჯიშები და ჰიბრიდებიც ამჟღავნებენ. ამის გამო როგორც ჯიშის, ისე ოჯა-
ს შიგნით აღინიშნება ესტივაციის პერიოდში დიაპაუზისა და ემბრიოგენეზის
ხანაბრო მიმდინარეობა. ჩანასახი სხვადასხვა დროს იწყებს განვითარებას, ხში-
რად ნაადრევადაც. იგი ან გრენშივე იღუპება, ან გრენიდან გამოსვლის შემდეგ
რთვე შემთხვევაში მცირდება ნორმალური გრენის რაოდენობა, რაც წარმოე-
ვარკვეულ ზარალს აყენებს.

უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში მრავალი ნაშრომი (იუნი, კოპეცი,
რედელსკი, დეტინოვა, შენავიჩი, ფუკუდა, ვილიამსი, მოროპოში, კალანდაძე,
ლეი-ხუნ-შენ, პეტროსიანი, გოგელია, გიგოლაშვილი და სხვ.) მიეძღვნა მწერის
ბიოლოგიის ფაქტორის იმ საკითხის შესწავლას, რომელიც ეხება
მწერის ჰორმონებისა და მათი მოქმედების როლს კანის ცვლის, მეტამორფო-
ზის, სასქესო პროდუქტების მომწიფებისა და ბოლოს დიაპაუზის საქმეში.

შარერმა ჯერ კიდევ 1928 წელს დაადგინა რომ ჰორმონს გამოყოფენ ენდო-
გონული ორგანოები ან ზოგიერთი ნერვული კვანძის ნეირონები, რის გამოც
მა ნეიროსეკრეტული უჯრედები ეწოდათ.

თუთის აბრეშუმხვევიას დიაპაუზას ხახისქვედა ნერვული კვანძის ნეირო-
სეკრეტული უჯრედები განაპირობებს, რომელთა მოქმედებას „თავის ტვინი“
ქსერივებს იმ გარემო პირობების მიხედვით, რომელშიც მწერის დედისეული
ჯიშის განვითარება ხდება.

როგორც მოროპოში აღნიშნავს, ხახისქვედა ნერვული კვანძის ჰორმონუ-
ლ მოქმედება ბიოვოლტინურთან შედარებით უფრო ძლიერია მონოვოლტინურ
ჯიშებში, თანაც ეს პროცესი მათში განსხვავებულ ვადებში მიმდინარეობს.

მრავალი ავტორის აზრით (დანილევსკი, ვოიცკევიჩი, პოლენოვი, ვილი-
ამი, ხინტონი და სხვ.), ნეიროსეკრეტის თვისება და რაოდენობა გარემოს ტემპ-



პერატურის, განათების, ტენიანობის, რადიაციის, ქიმიური ნივთიერების მოქმედებისა და სხვა პირობების მიხედვით იცვლება.

ფერობით, რადგან თუთის აბრეშუმსხვევების დიაპაუზის მქონე ფაზაში გამოიყოფა (ფუკუდა, მოროპოში და სხვ.) იმ პირობებს, რომელშიც ქუპრის განვითარება ხდება, მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ნეიროსეკრეტული ურედეების ქმედითუნარიანობაზე.

დიაპაუზის პორმონის აქტიური ფუნქციონირებისათვის ოპტიმალური ტემპერატურის დასადგენად და გარემოს ტემპერატურის მიმართ მგრძნობიარე მომენტის გამოსარკვევად, რომელიც ტემპერატურის რეგულაციით დიაპაუზის ნორმალური წარმართვის საშუალებას მოგვცემდა, ცდებს ვატარებდით 1968—71 წწ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევით ფაკულტეტზე. საცდელად აღებული იყო მყარი მონოვოლტინური ჯიში ასკოლი და არამყარი ჯიშები თეთრპარკიანი -2 და კახური.

საცდელი ჯიშების მწერის მეტამორფოზის პროცესი ხელოვნურად დაყოფილი იყო 4 „პერიოდად“: 1. ჭიის მეხუთე ასაკის მეხუთე დღიდან ცახზე ასვლამდე; 2. ცახზე ასვლიდან დაქუპრებამდე, 3. დაქუპრების 1—5 დღე და 4. დაქუპრების მეექვსე დღიდან პეპლის გამოსვლამდე. თითოეულ „პერიოდში“ მწერის განვითარება მიმდინარეობდა ოთხი სხვადასხვა ტემპერატურისა (20—21°, 23—24°, 25—26°, 29—30°) და შესაბამისი ტენის პირობებში, რაც ვარიანტებად იყო წოდებული. საკონტროლო ვარიანტში მეტამორფოზის ოთხივე „პერიოდში“ 23—24° ტემპერატურაზე და 75—80% ტენის პირობებში მიმდინარეობდა. მიღებული მონაცემებით საცდელი ვარიანტების შვილეული თაობის დიაპაუზის ხასიათი, რაც გრენის ნაღებების ხარისხით და ჭიის ნაადრევი გამოსვლით დადგინდა, განსხვავებული აღმოჩნდა (ცხრ. 1).

ცხრილიდან ჩანს, რომ დიაპაუზის ხასიათის განსაზღვრის მიხედვით მწერის რეაქცია გარემო ტემპერატურის მიმართ იცვლება მეტამორფოზის პროცესის ცალკეული „პერიოდების“ მიხედვით. ამასთან, ერთსა და იგივე მონაკვეთში ტემპერატურის მოქმედება განსხვავებულ შედეგს განაპირობებს.

ჩვენს ცდებში, თეთრპარკიანი-2 ჯიშის ინდივიდები, რომელთა განვითარება პარკის ახვევიდან დაქუპრებამდე ან დაქუპრების პირველ ხუთ დღეს მალა (29—30°) ტემპერატურაზე მიმდინარეობდა, მომდევნო სამ თაობაში კონონომიერად იძლეოდა უდიაპაუზო და მოზაიკურ ნაღებებს 2,2—5,0%-ის რაოდენობით (ვარ. 6 და 9), ხოლო ამ უკანასკნელში უდიაპაუზო გრენა 2,2—60,0%-ს აღწევდა.

ანალოგიურ პირობებში, კახური ჯიშისათვის უდიაპაუზო ნაღებები მხოლოდ ცდის პირველ წელიწადს აღინიშნა.

როცა მეტამორფოზის პროცესის გარკვეულ „პერიოდში“ ჭიის მეხუთე ასაკის მეხუთე დღიდან პარკის ახვევამდე, მწერის განვითარება 20—21°-ზე მიმდინარეობს, ხოლო შემდეგ პარკის ახვევიდან პეპლის გამოსვლა იმავე 20—21° ან 23—24° ტემპერატურაზე წარმოებდა (ვარ. 1 და 10) ჯიშ ასკოლის, თ-2 და კახურის შვილეული თაობის გრენა მხოლოდ დიაპაუზირებული აღმოჩნდა, რის გამოც ამ ვარიანტის მაჩვენებლები 1-ელ ცხრილში არ მოგვიტანია. დანარჩენ

შეტანობის პერიოდში სხვადასხვა ტემპერატურის გავლენა კარის
ფორმირებულობაზე



კმ	ჯან- მბე	ტემპერატურა ად და შეტანობის ტიპით „პერიოდ“ მხედვა	ტემპერატურის გავლენა კარის ფორმირებულობაზე				
			1969 წ.	1970 წ.	1969 წ.	1970 წ.	
მბ 2	3	ქის V ძაყის მუცის დღიან მარის ძველის დანებებზე	20-30°	—	—	—	—
"	4	მარის ძველის დანებობის დებებებზე	20-21°	—	—	—	—
"	5	"	26-27°	—	—	—	—
"	6	"	29-30°	—	—	—	—
"	8	დებებებს 1-3 დღს	24-27°	2,3	2,3	40,0	2,8
"	9	"	29-30°	—	2,9	—	37,0
საკონტროლო ქობა	2	V ძაყის მუცის ვ მობელებზე	23-24°	4,7	5,0	51,0	10,1
"	3	V ძაყის მუცის დღიან მარის ძველებზე	26-27°	3,2	—	3,3	—
"	4	"	29-30°	3,1	—	3,1	—
"	7	დებებებს 1-3 დღს	20-21°	—	—	—	—
"	9	"	29-30°	2,3	—	4,0	—
"	12	დებებებს მუცის დღიან მუცის ვ მობელებზე	29-30°	—	—	—	—



საცდელ ვარიანტებში და კონტროლში უდიაპაუზო გრენის გამოვლინების შემთხვევებს სისტემატური ხასიათი არ ჰქონია. შეიმჩნეოდა მხოლოდ ერთ-ერთ შემთხვევაში თაობაში, მიუხედავად ჯიშისა თუ მეტამორფოზის ტემპერატურულ ვარიანტებში სხვადასხვა ტემპერატურების მოქმედებისა. ეს მოვლენა განსაკუთრებით 1968 წ. აღინიშნა, როცა გრენა წარმოებინა იქნა მიღებული და მისი წინა თაობის აღზრდა ჩვენი დაკვირვების გარეშე მიმდინარეობდა. მომდევნო წლებში საცდელ გრენას ვამზადებდით დაღვენილი ინსტრუქციის მიხედვით.

მყარი მონოვოლტინური ჯიშ ასკოლის გამოცდისას, ორი წლის განმავლობაში მეტამორფოზის პროცესის სხვადასხვა ტემპერატურულ პირობებში მიმდინარეობის მიუხედავად, უდიაპაუზო გრენა არ განვითარებულა. როგორც ჩანს, ამ ჯიშის მყარი დიაპაუზის მემკვიდრული ხასიათი უცვლელი დარჩა და გარემო ტემპერატურის მოქმედებას არ დაემორჩილა.

ჩვენს ცდებში მეტამორფოზის პროცესის ერთსა და იმავე „პერიოდში“ სხვადასხვა ტემპერატურის მოქმედების შედეგად განსხვავებული ხანგრძლივობის დიაპაუზა აღინიშნა არამარტო ჯიშებს შორის, არამედ ერთ და იგივე ჯიშისა და ოჯახის შიგნითაც კი. ასე „მაგ., ჯიში კახური და განსაკუთრებით თეთრპარკიანი-2-ის ინდივიდები, როცა დაქუპრებიდან პირველ ხუთ დღეს 26—27° ან 29—30° ტემპერატურაზე ვითარდებოდნენ, დიაპაუზა ნაადრევად ეხსნებოდათ გრენის დაღებიდან 3—4 თვის შემდეგ და სექტემბერ-ოქტომბრისათვის უკვე ჭია გამოდიოდა.

ჯიში თეთრპარკიანი-2 ყოველ წელს იძლევა ხანმოკლე დიაპაუზიან ნადებებს (14,2—29,0—4,0%), კახურისა კი მხოლოდ ცდის პირველ წელიწადს (4,4%), (იხ. ცხრ. 2).

საერთოდ მთლიანად ხანმოკლე დიაპაუზიანი ნადებები იშვიათად გვხვდებოდა, ისინი ძირითადად მოზაიკური იყო.

სხვადასხვა ტემპერატურაზე ჭუპრის განვითარებისას მოზაიკურ ნადებებში ხანმოკლე დიაპაუზიანი გრენის რაოდენობა განსხვავებული იყო, რაც აღინიშნებოდა ჯიშების მიხედვითაც. თუ თეთრპარკიანი-2-ის მოზაიკურ ნადებებში ხანმოკლე დიაპაუზიანი გრენის რაოდენობა წლების მიხედვით 3,5—60%-ის ფარგლებში ცვალებადობს, კახურში 5,2—9,4%-ს აღწევდა და მხოლოდ ცდის პირველ წელიწადს აღინიშნებოდა (ცხრ. 2).

ცდით დაღვინდა, რომ თუ მეტამორფოზის პროცესი მიმდინარეობს მაღალ ტემპერატურაზე, განსაკუთრებით დაქუპრების პირველ ხუთ დღეს განპირობებულია უდიაპაუზო ან ხანმოკლე დიაპაუზიანი ინდივიდების მიღება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მაღალი (29—30°) ტემპერატურა უარყოფითად უნდა მოქმედებდეს დიაპაუზის ჰორმონის აქტივობაზე. ამასთან აღნიშნული ტემპერატურების 20—21°-მდე დაწვეას მოყვება მომდევნო თაობის გრენის უდიაპაუზო ან ხანმოკლე დიაპაუზიანი ნადებების შემცირება 29,0-დან 2%-მდე (ცხრ. 2).

როგორც ჩანს, მეტამორფოზის პროცესში გარემოს ტემპერატურული რეჟიმი გარკვეულ როლს ასრულებს არამყარი მონოვოლტინური ჯიშების (თპ-2 და კახური) დიაპაუზის ჰორმონის ქმედითუნარიანობაზე, რაც, თავის მხრივ, განპირობებს მომდევნო თაობის დიაპაუზის ხანგრძლივობას.

მეცხოვეთის სტადიონი სკადისა ტენისკურის კავშირ
 მანხის დამუშის სანჩილეონსზე



სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტი

ჯიშა	ფორმა	ტექნიკადრადი ჩემის მეცხოვეთის ციკლი სტადიონი	ფიქსირებული დამუშის სახეობა	საშუალო დამუშის რაოდენობა %						
				1959წ.	1970წ.	1971წ.	1969წ.	1970წ.	1971წ.	
მ-2	2	V სკადის მესამე დღიდან სკადის ადგილს დაწესებულა	26-27	27,1X	2,9	—	—	1,9	—	—
.	6	სკადის ადგილს დაწესებულა	29-30	"	3,3	—	—	3,2	—	—
.	8	დაქმნის 1-5 დღე	26-27	"	5,0	6,6	—	13,9	60,0	—
.	9	"	29-30	"	14,2	29,0	4,0	16,4	3,5	10
სტრა	10	დაქმნის მესამე დღიდან სკადის ადგილს	20-21	5-6X	2,7	6,6	—	9,4	—	—
.	9	დაქმნის 1-5 დღე	29-30	3-5X	4,4	—	—	5,2	—	—

ამრიგად, სამი წლის მონაცემების მიხედვით, თუთის აბრეშუმის მუხეციას გი-
ში თერბარკიანი-2 და კახურის დიაპაუზის ჰორმონის გაძლიერებული მო-
მყოფა დაქუპრებიდან პირველ ხუთ დღეს ხდება.

დიაპაუზის ჰორმონის აქტიური კმედითუნარიანობის რეგულაციის მიზნით
ბად მივიჩნით მეტამორფოზის მიმდინარეობა 20—24° ტემპერატურაზე.

Л. ГИГОЛАШВИЛИ, К. ГОГИНАШВИЛИ

РОЛЬ ВНЕШНЕЙ ТЕМПЕРАТУРЫ В ПЕРИОД МЕТАМОРФОЗА В ОПРЕДЕЛЕНИИ ДЛИТЕЛЬНОСТИ ДИАПАУЗЫ У ТУТОВОГО ШЕЛКОПРЯДА

Резюме

В 1968—71 гг. на кафедре-отделении червокормления факультета
Шелководства Груз. СХИ изучали роль внешних температурных усло-
вий в определении длительности диапаузы у некоторых пород тутового
шелкопряда.

Установлено, что температурные условия окружающей среды игра-
ют определенную роль в определении длительности диапаузы зародыша
неустойчивых пород БК-2 и Кахури.

При этом отдельные периоды процесса метаморфоза (с пятого дня
V возраста до завивки кокона, с момента начала завивки до окукливания,
первые пять дней окукливания и с шестого дня окукливания до выхода
бабочек) неодинаково реагируют на действие внешних температур.

Наиболее чувствительным периодом следует считать первые пять
дней окукливания.

Для активной дееспособности гормона диапаузы оптимальной тем-
пературой является 20—24°C, что в последующем поколении обуслови-
вает длительную диапаузу.



ლ. შერვაშვილი, ნ. სურგულაძე

თუთის აბრეშუმხვევის საკოლექციო გამოკვებიდან ზოგიერთი ჯიშის შესწავლის შედეგები

ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ საცდელ სადგურში არსებობს თუთის აბრეშუმხვევის საკმაოდ მრავალრიცხოვანი საკოლექციო ფონდი. მისი დაარსება დაწყებულია კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის დაარსებიდან (1887 წ.). აღსანიშნავია, რომ აქ შეგროვილი ჯიშებიდან ზოგიერთი უძველესი დროიდანვე იყო გავრცელებული საქართველოში. ეს ჯიშებია: ქუთაისის ნარინჯოვანი, ქუთაისის ბიოლტინური (ხალხური მონტროზა) და სხვ. საკოლექციო ჯიშებს ძირითადად შენარჩუნებული აქვს დამახასიათებელი ყველა ნიშანთვისება. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ჯიშის სიცოცხლისუნარიანობა წარსულ წლებთან შედარებით რამდენადმე გაუმჯობესებულია. საკოლექციო ჯიშების უმრავლესობას ახასიათებს კარგი სამეურნეო ნიშან-თვისებანი, რის გამოც წარმატებით შეიძლება მათი გამოყენება ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების შესაქმნელად, როგორც საწყისი ფორმები.

ამჟამად კოლექციაშია თუთის აბრეშუმხვევის 110 ჯიში და ჰიბრიდი, რომლებიც გაერთიანებულია 10 ჯგუფში. ესენია: ჩინური, იაპონური, კორეული, შუაზიური, ევროპული, კავკასიური, ბულგარული, თეთრპარკიანი, განსაკუთრებული (ხაზი) და ბიოლტინური. ამ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს მათი გენეტიკური სიახლოვე და ბიოლოგიურ-მორფოლოგიური მსგავსება. კოლექციის ჯიშებში ვხვდებით ხვევრდოვანი, ნოხისებრი, ზებრასებრი, მწვანე, გამკვირვალე და სხვაგვარი შეფერადების ჰიბრის, რომლებიც ახვევენ თეთრი, ვარდისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი, მწვანე და სხვა ფერის პარკს.

ყოველწლიურად ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ სადგურში წარმოებს კოლექციის ჯიშების ექსპერიმენტული გამოცდა. ამასთან მიმდინარეობს სისტემატური შესწავლა ბიოლოგიური და ტექნოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით, რომლის მიზანია უკეთესი სამეურნეო ნიშან-თვისებების მქონე მალაპროდუქტიული ჯიშების გამოვლინება. ამ შრომაში ვიძლევი ჩინური და კორეული ჯგუფის ზოგიერთი ჯიშის ბიოლოგიური და ტექნოლოგიური მაჩვენებლების შესწავლის შედეგებს.

ჩინური ჯგუფის ჯიშები: ამ ჯგუფში წარმოდგენილია 31 ჯიში. ზოგიერთი მათგანი დიდი ხანია, რაც შემოტანილია საქართველოში, მათ კარ-



გად გვიარეს აკლიმატიზაცია, მაგრამ ზოგიერთ ჯიშს მაინც ახასიათებს დაავადებისადმი, განსაკუთრებით სიყვითლისადმი მიდრეკილება.

ჩინურ ჯგუფში შემავალი ჯიშები იძლევა სხვადასხვა ფერის (ყვითელი, ყვითელს, ოქროსფერს, ვარდისფერს, მწვანესა და სხვ. ფორმის) უმრავლესობა ოვალურია, თუმცა გვხვდება სფერულიც და იშვიათად წვეტიანიც (შანტუნგი). ამ ჯგუფის ჯიშები ხასიათდება გამოკვების მოკლე პერიოდით (30—32 დღე) და კანის ოთხჯერი ცვლით. ამ მხრივ გამოიყვანა ჯიშები შანტუნგი, რომელიც სამჯერ იცვლის კანს, რაც იშვიათი ბიოლოგიური მოვლენაა თუთის აბრეშუმზევებში. გრენი პატარა ზომის, წებოვანი, პარკი წვრილმარცვლოვანი და კარგი ხარისხისაა, გააჩნია ამოხვევის შესანიშნავი უნარი, რაც დიდ უპირატესობად უნდა ჩაითვალოს.

ჩინური თეთრი II. მიღებულია ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ საცდელ სადგურში 1953 წელს. ჭიები საშუალო ზომისაა, რძისფერი, ხოლო პარკი თეთრია, ოვალური ფორმით, წვრილმარცვლოვანი. მურის რაოდენობა გრამში — 2644 ცალი, ჭიის ცხოველმყოფელობა — 94,7%. ნედლი პარკის საშუალო წონა — 1,72 მ, გარსის წონა — 284 მგ, აბრეშუმისანობა — 16,4%, პარკის მოსავალი 1 გ ჭიიდან — 4,22 კგ, ძაფის სიგრძე — 853 მეტრი. ძაფის გამოსავალი — 41,6%, ამოხვევის უნარიანობა — 88,1%, ძაფის მეტრული ნომერი — 3630.

დუ-დუ-ი-ბ-ან-ბ-ეს გამოკვება ზონალურ სადგურში დაიწყო 1951 წლიდან. ჭიები საშუალო სიდიდისაა, თეთრი, პარკი ოვალურია, თეთრი შეფერვით, წვრილმარცვლოვანი, გრენი — მწებავი. მურის რაოდენობა გრამში — 2551 ცალი, ჭიის ცხოველმყოფელობა — 93,1%, ნედლი პარკის საშუალო წონა — 1,71 გ, პარკის მოსავალი 1 გ მურიდან — 4,01 კგ, ძაფუნის სიგრძე — 910 მეტრი, ძაფის გამოსავალი — 41,8%, ამოხვევის უნარიანობა — 90,2%, აბრეშუმის ძაფის გამოსავალი 1 გ მურიდან — 576 გ.

გუ-ან-ე-რ-ხ-ა-ო. გრენი მიღებულია 1953 წელს. ჭიები საშუალო ზომისაა, თეთრი ფერის ნახევარმთვარისებრი მოხატულობით. პარკი — თეთრი, ოდნავ წელიანი, გრენი — მწებავი, მურის რაოდენობა გრამში — 2693 ცალი, ჭიის ცხოველმყოფელობა — 93%, გამოკვების ხანგრძლივობა — 32 დღე. ნედლ პარკში აბრეშუმისანობა — 17,1%, ძაფუნის სიგრძე — 885 მ, ამოხვევის უნარიანობა — 91,0%, ძაფის მეტრული ნომერი — 3656. აბრეშუმის ძაფის გამოსავალი 1 გ მურიდან — 608 გ.

ტუ-ერ. გრენი მიღებულია 1953 წელს. ჭიები საშუალო ზომისაა, თეთრა ფერის, პარკი ოვალური ფორმის, ოდნავ გამოყვანილი, წვრილმარცვლოვანი. გრენი — მწებავი. მურის რაოდენობა გრამში — 2550 ცალი, ჭიის ცხოველმყოფელობა — 92,6%, აბრეშუმისანობა ნედლ პარკში — 16%, ძაფუნის სიგრძე — 812 მ. ხველი პარკის აბრეშუმისანობა — 45,6%, ამოხვევის უნარიანობა — 93,3%.

ჩინური თეთრი — 21. ჭიები საშუალო ზომისაა, თეთრი, მკრთალი — ნახევარმთვარისებრი ლაქების მოხატულობით. პარკი თეთრი, ოვალური, წელში გამოყვანილი, წვრილმარცვლოვანი. მურის რაოდენობა გრამში — 2363 ცალი, ჭიის ცხოველმყოფელობა — 94,1%, გარსის საშუალო წონა — 275 მგ,

პარკის მოსავალი 1 გ მურიდან — 3,48 კგ, ძაფის სიგრძე — 884 მ, ნმელი პარკის აბრეშუმთანობა — 47,7%, ამოხვევისუნარიანობა — 90,5%, ძაფის მეტრული ნომერია 3638.

ჩ ი ნ უ რ ი თ ე თ რ ი — 110. გრენი მიღებულია 1951 წელს, ნმელი პარკის სიდიდისაა: თეთრი ფერის, პარკი — ოვალური, ოდნავ გამოყვანილი, თეთრი ფერის, წვრილმარცვლოვანი. მურის რაოდენობა გრამში — 2770 ცალი, ჭიის ცხოველმყოფელობა — 97,5%, ნედლი პარკის საშუალო წონა — 1,64 გ, აბრეშუმთანობა — 18,1%, პარკის მოსავალი გ მურიდან — 4,51 კგ, აბრეშუმის ძაფის გამოსავალი გ მურიდან — 751 გ, ძაფის სიგრძე — 899 მ, აბრეშუმთანობა ხმელ პარკში — 45,4%, ძაფის გამოსავლიანობა — 41,5%. ძაფის მეტრული ნომერია 3074.

ჩ ი ნ უ რ ი თ ე თ რ ი — 40. გამოკვებაშია 1940 წლიდან. პარკი წელში გამოყვანილი, თეთრი ფერის, წვრილმარცვლოვანი. მურის რაოდენობა გრამში — 2225 ცალი. ჭიის ცხოველმყოფელობა — 94,3%, ნედლი პარკის წონა — 1,64 გ, აბრეშუმთანობა — 16,2%. პარკის მოსავალი გ მურიდან — 3,34 კგ, ძაფის სიგრძე — 792 მ, ხმელი პარკის აბრეშუმთანობა — 44,3%, ძაფის გამოსავალი — 40,3%, ამოხვევისუნარიანობა — 90,1%, ძაფის მეტრული ნომერია 3423.

კორეის ჭგუფი

კორეულ ჭგუფში შემავალი ჯიშების გამოკვება სადგურში დაწყებულია 1948 წლიდან. ყველა სხვა ჭგუფში შემავალი ჯიშებისაგან განსხვავებით ახასიათებთ მაღალი აბრეშუმთანობა და უკეთესი სამეურნეო მაჩვენებლები. ჭიები საშუალო ზომის, უმეტეს შემთხვევაში „ნიღბით“ და დამახასიათებელი მოხატულობით.

ჭიობის პერიოდი ხანგრძლივია განსაკუთრებით მეხუთე ასაკი. პარკის ფორმა ოვალური, წელში გამოუყვანელი, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა (კორეის — 011, კორეის — 012) ახასიათებს წელიანი, საშუალო ზომის პარკი სპილრის ძვლისფერი თეთრი შეფერვით, გარსი — მკვრივი, საშუალომარცვლოვანი, გრენი — მწებავი (ცხრ. 1—2).

კ ო რ ე ი ს — 02, ჭიები საშუალო ზომისაა, ნათლად გამოხატული ნიღბებით და ნახევარმთვარეებით პარკი — თეთრი, ოვალური, მკვრივი, საშუალომარცვლოვანი, მურის რაოდენობა 1 გ — 2350 ცალი. ჭიის ცხოველმყოფელობა — 93,9%, ნედლი პარკის საშუალო წონა — 1,61 გ, აბრეშუმთანობა — 17,8 მ, ძაფის სიგრძე — 874, ხმელი პარკის აბრეშუმთანობა — 47,8%, ძაფის გამოსავალი — 42,7%, ამოხვევისუნარიანობა — 89,2%, ძაფის მეტრული ნომერი — 3487.

კ ო რ ე ი ს — 0119. ჭიები საშუალო სიდიდის, თეთრი, მოლურჯო ელფერი. პარკი თეთრი, ოვალური, წვრილმარცვლოვანი, მურის რაოდენობა 1 გრამში — 2513 ცალი, ჭიის ცხოველმყოფელობა — 95,6%, ნედლი პარკის საშუალო წონა — 1,63 გ, აბრეშუმთანობა ნედლ პარკში — 39,3%, აბრეშუმის მოსავალი 1 გ მურიდან — 703 გ, ძაფის სიგრძე — 775 მ, ხმელი პარკის აბრე-

ქორეის ჯგულის აბრეშუნხვევიას ჭიშების ბიოლოგიური მაჩვენებლები



№ რიგზე	ჯიშური წარმოშობა	სამშუპოს ჩატარების წელი	მუცის რაოდენობა (ჭიშები)	ქივის ცხოველყოფილობა (%-ობით)	ვაშლიკების სანერპლეობა (დღეებში)	ცხოველყოფილ კოათა რაოდენობა (ცულ-ობით)	ნელა პარკის საშუალო წონა (გ-ობით)	გარსის საშუალო წონა (ცვ-ობით)	აბრეშუნხანობის %	პარკის წონის ცილის შემოღონ (ცვ-ობით)	აბრეშუნხის მოსავლის შემოღონ (გ-ობით)
1	ქორეის-02	1965	2260	90,2	32	2038	1,81	328	18,2	3,69	746
		1966	2510	93,1	33	2337	1,54	232	17,2	3,60	640
		1967	2230	98,4	31	2242	1,50	272	18,0	3,38	608
		საშ.	2350	93,9	32	2206	1,61	294	17,8	3,55	664
2	ქორეის-0119	1965	2800	94,3	32	2640	1,75	310	17,8	4,62	807
		1966	2170	94,3	33	2235	1,54	266	17,2	3,47	581
		1967	2370	98,2	31	2327	1,53	312	19,0	3,68	721
		საშ.	2513	95,6	32	2400	1,63	296	18,0	3,93	703
3	ქორეის-018	1965	2420	92,2	32	2231	1,70	326	19,4	3,79	707
		1966	2220	96,6	32	2144	1,69	324	19,4	3,62	662
		1967	2424	97,5	32	2366	1,45	311	19,1	4,64	728
		საშ.	2354	95,4	32	2247	1,78	320	19,3	4,01	456

ქორეის ჯგულის აბრეშუნხვევიას ჭიშების ტექნოლოგიური მაჩვენებლები

№ რიგზე	ჯიშური წარმოშობა	სამშუპოს ჩატარების წელი	სწელი პარკის საშუალო წონა (მგ)	პარკის ძივის საშუალო წონა (მგ)	პარკის ძივის სიგრძე (ს)	სწელი პარკის აბრეშუნხანობა (%)	პარკის ძივის განმარტვალადობა (%)	გარსის საშუალო წონა (მგ)	აბრეშუნხის უნარი (%)	ძივის მუტრული ნიშნური	პარკის ხედავრობის ხარისხი	აბრეშუნხის ძივის განმარტვალადობა (მგ. მუტრადან (გ))
1	ქორეის-02	1965	680	280	905	47,0	41,2	220	87,5	3232	2,43	571
		1966	574	246	864	47,0	42,8	270	91,1	3512	2,33	575
		1967	520	230	855	49,6	44,2	258	89,1	3717	2,26	518
		საშ.	591	252	874	47,8	42,7	282	89,2	3487	2,34	554
2	ქორეის-0119	1965	653	262	781	45,2	40,1	295	88,8	2980	2,49	692
		1966	520	229	730	48,8	44,0	254	90,2	3188	2,27	512
		1967	614	272	816	49,0	44,2	301	90,4	3060	2,26	632
		საშ.	575	254	775	47,3	42,7	283	89,8	3056	2,34	612
3	ქორეის-018	1965	649	284	987	48,5	43,8	315	90,2	3475	2,28	634
		1966	632	272	932	47,5	43,0	306	90,7	3426	2,32	583
		1967	600	260	932	48,0	43,3	298	90,2	3584	2,31	620
		საშ.	627	272	933	48,0	43,3	301	90,3	3495	2,30	612

შემიანობა — 47,3%, ძაფის გამოსავალი — 42,7%, ამოხვევისუნარიანობა — 89,8%, ძაფის მეტრული ნომერი — 3056.

კორეის — 018. ჰიები საშუალო ზომის, თეთრი ფერის. პარკი თვალუ-
რი, თეთრი შეფერვით, წვრილმარცვლოვანი, გრენი — მწებავი. მურა
ნობა 1 გ — 2354 ცალი, ჰიის ცხოველყოფილობა — 95,4%, ნელა
საშუალო წონა — 1.78 გ, გარსის საშუალო წონა — 320 მგ, აბრეშუმთანობა
ნელა პარკში — 19,3%, ძაფის სიგრძე — 933 მ, ხმელი პარკის აბრეშუმთანო-
ბა — 48,0%, ძაფის გამოსავალი — 43,3%, ამოხვევისუნარიანობა — 90,3%,
ძაფის მეტრული ნომერი — 3495.

დასკვნა

1. შესწავლილი ჯიშებიდან პერსპექტიულია ჩინური თეთრი — 21, ჩინური
თეთრი — 40, ჩინური თეთრი — 110, კორეის — 02, კორეის — 0119 და
კორეის — 018.

2. კოლექციის ჯიშთა უმრავლესობას ახასიათებს კარგი სამეურნეო ნიშან-
თვისებები, რის გამოც მათი გამოყენება შეიძლება როგორც საწყისი ფორმები
ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოსაყვანად.

А. Д. ВЕРУЛАШВИЛИ, Н. И. СУРГУЛАДЗЕ

РЕЗУЛЬТАТЫ ИЗУЧЕНИЯ НЕКОТОРЫХ КОЛЛЕКЦИОННЫХ ПОРОД ТУТОВОГО ШЕЛКОПРЯДА

Резюме

Коллекционная выкормка тутового шелкопряда на Кутаисской опытной станции шелководства проводится более 50 лет и охватывает свыше 100 пород завезенных как из республик Советского Союза, так и шелководческих стран мира. Имеющий фонд коллекции по численности пород занимает один из первых мест в Советском союзе и с успехом используется для изучения биологии, физиологии и генетики тутового шелкопряда, а также для других научно-теоретических вопросов общей биологии. Кроме того, коллекция является богатейшим материалом для выведения высокоурожайных пород и гибридов.

Среди изученных пород, хорошими хозяйственно-ценными признаками характеризуются из корейских групп: Корейская-018, Корейская-0119 и Корейская-02, а из китайских групп: Китайская белая-21, Китайская белая-40 и другие, которые могут быть использованы, как ценнейший материал в селекционной работе.



ს. ოზობრიძე

სილნალის რაიონის სოფ. ძველი ანაგის ექსპერიმენტულ აბრეშუმის საჭიე ბინაში გამსხვილებული გამოკვების შედეგები

საქართველოში აბრეშუმის ჭიის გამოკვება წარმოებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნე მეაბრეშუმეთა და მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელ ბინებში, რის გამოც გაძნელებულია როგორც აგროღონისძიებების დროულად და მაღალხარისხოვნად გატარება, ისე შრომის სწორი ორგანიზაცია. ამიტომ მიზანშეწონილია განსაზოგადოებული — გამსხვილებული გამოკვება.

სილნალის რაიონის სოფ. ძველი ანაგის კოლმეურნეობაში გაშენებულია თუთის პლანტაცია 25 ჰა ფართობზე, იქვე, აგებულია აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები ექსპერიმენტული შენობა, რომელიც გათვალისწინებულია ერთდროულად 20 კოლოფი აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად.

საჭიე ბინა შედგება შეიდი განყოფილებისაგან. ერთ განყოფილებაში მოთავსებულია ადმინისტრაცია, საწყობი და საინკუბაციო კამერა, ხოლო მეორე განყოფილება გამოყენებულია პირველ სამ ასაკში 20 კოლოფი აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად. ოთხ განყოფილებაში ტარდება ჭიის გამოკვება უფროს ასაკებში, ხოლო მეშვიდე განყოფილება განკუთვნილია ფოთლის შესანახად და საკვების მოსამზადებლად.

შენობები უზრუნველყოფილია ცენტრალიზებული გათბობით, შემწოვი და გამწოვი ვენტილაციით და შექმნილია ოპტიმალური პირობები აბრეშუმის ჭიის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის.

აღნიშნულ ექსპერიმენტულ საჭიე ბინას აქვს გარკვეული საწარმოო მნიშვნელობაც: ჯერ ერთი, აქ შეიძლება აბრეშუმის ჭიის ცენტრალიზებული გამოკვება პირველ ორ ასაკში, რითაც მაქსიმალურად მცირდება ჭიის დანაკარგები და იზრდება პარკის მოსავლიანობა და, მეორეც, ჭიის გამოკვება შეიძლება ჩატარდეს სამჯერად იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს სოფ. ძველი ანაგის კოლმეურნეობაზე გვემით გათვალისწინებულ აბრეშუმის პარკის წარმოებას 70%-ით.

სოფ. ძველი ანაგის ექსპერიმენტული აბრეშუმის საჭიე ბინა ექსპლუატაციაში შევიდა 1968 წლიდან.

ექსპერიმენტული საჭიე ბინა უზრუნველყოფილია არა მარტო გამოკვებისათვის საჭირო ინვენტარით, არამედ აღჭურვილია ზოგიერთი მანქანა-დანადგარით.

შრომები, ტ. XXI, 1975

რით (პირველ ასაკებში ფოთლის საჭრელი, ტოტიდან ფოთლის შეტყეველი და პარკის საპერტყელის გამცლელი მანქანები).

ფოთლის კრეფაზე, მოტანაზე, საკვების დამზადებაზე და ჭიის გამოკვებასათვის მუშახელი გამოყოფილი იყო ანავის კოლომეურნეობის მიერ ჭიის გამოკვება წარმოებდა რგოლური სისტემით. თითოეული რგოლი შედგებოდა ერთი კოლომეურნეობისა და ოთხ აბრეშუმის ჭიას.

გაზაფხულის პირველი გამოკვებისათვის გრენის ინკუბაცია წარმოებდა 15 აპრილიდან მუდმივ ტემპერატურაზე (ტემპერატურა 25°, ტენი 75—80%).

პირველ სამ ასაკში აბრეშუმის ჭიის კვება წარმოებდა 25—27°-ს ტემპერატურაზე და 70—75% შეფარდებითი ტენის პირობებში. პირველ ასაკში მურს საკვებად ეძლეოდა ადგილობრივი თუთის ჭიშების წვრილად დაჭრილი ახალგაზრდა ფოთლები. საკვები პირველ დღეს მიეცა ექვსჯერ, მეორე და მესამე დღეს ხუთ-ხუთჯერ, ხოლო მეოთხე დღეს — ოთხჯერ, ე. ი. სულ პირველ ასაკში ოცჯერ. საკვებ ჭიებს ეძლეოდათ საჭიროების მიხედვით.

პირველი ასაკის ბოლოს 5 კოლოფ ჭიას ეკავა 7,5 მ² ფართობი. ნაცვლად-აგროწესებით გათვალისწინებული 12,5 მ²-ისა, რაც სრულიად საკმარისი იყო პირველ ასაკში ნაძირის გამოცლა არ ჩატარებულა.

ჩვენი მასალების მიხედვით ამ ლიმიტს აკმაყოფილებს მამალი ჭიების მიერ ახვეული პარკის გარსი და მიღებული ძაფი, ხოლო დედალი ჭიების პარკისა და ძაფში სერიცინის შემცველობა შედარებით მაღალია.

ამრიგად, მამალი ჭიების მიერ ახვეული პარკიდან თუ მეტი აბრეშუმის მასა მიიღება და შესაბამისად ძაფის გამოსავალიც მეტია, სამაგიეროდ სერიცინის შემცველობა ნაკლებია, რითაც წარმოებაში მამალი ჭიების გამოყვების საკითხს კიდევ ერთი უპირატესობა ემატება და პერსპექტულ ღონისძიებად მიიჩნევა აბრეშუმხვევიას პროდუქტიულობის გადიდების საქმეში.

СОДЕРЖАНИЕ СЕРИЦИНА В ОБОЛОЧКЕ КОКОНОВ ТУТОВОГО
ШЕЛКОПРЯДА В ЗАВИСИМОСТИ ОТ ПОЛА ГУСЕНИЦ

Резюме

Для выяснения содержания серицина в оболочке кокона в зависимости от пола гусениц работа проведена в 1965—1966 гг. на коконах весенней выкормки породы Белококонная № 2.

Количество серицина в оболочке и коконной нити определялось по методике «УзНИИШП» в 1,5% растворе нейтрального мыла в течение 30 минут двухкратно.

В результате проведенных работ установлено, что содержание серицина в оболочке коконов-самок сравнительно больше (на 2,19—1,64 абсолютных процента), чем самцов и полученная разница статистически достоверна. Также получено большее количество серицина в коконной нити после размотки коконов-самок, составляя 21,83—21,45% против 19,73—19,43%.

Содержание серицина в оболочке коконов как самцов, так и самок внутри одной породы Белококонной № 2, по-видимому, является устойчивым признаком, т. к. полученные данные по годам идентичны.



შ. ასათიანი

პარკის ნიმუშების ხმოვის ოპტიმალური რაჟივის საკითხისათვის

გამოხმობის პროცესში აბრეშუმის ნედლი პარკის ბუნებრივი თვისებების შენარჩუნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ხაში ძაფის მისაღებად.

პარკის პირველადი დამუშავების სრულყოფილი მეთოდების შესამუშავებლად მრავალმხრივი მუშაობაა ჩატარებული, რომელთა ძირითად მიზანს შეადგენდა ნედლი პარკის გარსის ბუნებრივი თვისებების მაქსიმალური შენარჩუნება ჭუპრიდან საჭირო რაოდენობის წყლის აორთქლებით.

პარკში ტენის რაოდენობა იცვლება ჰიის ჯიშის, ჭუპრის სიმწიფისა და კლიმატური პირობების მიხედვით.

აბრეშუმის პარკის ხმოვის პროცესში ტენის მთლიანად მოცილება დაუშვებელია, რადგან ირღვევა სერიცინის სტრუქტურა, რაც იწვევს პარკის ამოხვევის გართულებას, ხაში ძაფის გამოსავლის შემცირებას და პროდუქციის ხარისხის დაცემას.

აბრეშუმის მრეწველობაში პარკის ნორმალურ ხმობად ითვლება, ჭუპრში 10—12%, ხოლო გარსში არანაკლებ 8% ტენის შემცველობა.

ჩვენი ცდის მიზანი იყო შრომის პროცესში წონის დაკლების გავლენის დადგენა პარკის ტექნოლოგიურ მაჩვენებლებზე.

1968-70 წლებში ცდებს ვატარებდით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტის პარკის პირველადი დამუშავების კათედრა-განყოფილებაში სამი წლის მანძილზე. ცდა დაეყენეთ 5-ვარიანტიანი სქემით სამ განმეორებად. თითოეულ განმეორებაში აღებული იყო 3 ნიმუში.

1.	ვარიანტი	—	საცდელი ნიმუშისათვის ტენის მოცილება	20%
2.	"—"	"—"	"—"	"—"
3.	"—"	"—"	"—"	"—"
4.	"—"	"—"	"—"	"—"
5.	"—"	"—"	"—"	"—"
				65%

თითოეული საცდელი ნიმუშისათვის აღებული იყო ერთი საკონტროლო, რომლის საშუალებითაც ვადგენდით ტენის შემცირების რაოდენობას (აწონის საშუალებით).

საცდელი ნიმუშები ტენის სასურველ შემცველობამდე დაყვანის შემდეგ გამოგვქონდა სახმობიდან და ვათავსებდით ისეთ პირობებში, რომ ვაგრძელებულიყო მისი ბუნებრივი შრობა, მუდმივ წონამდე მიყვანის შემდეგ მათგან მაღალი ტენის შემცველ ნიმუშებს დიდი დრო დასჭირდა გარდასახვის ვაწარმოებდით ამოხვევას ვარიანტების მიხედვით.

პარკის საცდელი ნიმუშების ამოხვევის შედეგები

ცხრილი 1

ცდის ჩატარების წლები	ნელლი პარკის წონის (ტენის) დანიკლისი შრობის პროცენტში (%)	კავრამშრალი ხმელი პარკის აბრუნულობა (%)	ძაღვის გამოსავალი (%)	ამოხვევითი უნარიანობა
1968	20	48,60	36,15	74,39
	30	48,65	36,46	74,94
	50	47,97	36,56	74,13
	60	47,47	34,72	73,15
	65	46,50	33,65	72,38
1969	20	49,55	37,34	75,35
	30	49,77	37,61	75,56
	50	48,51	36,25	74,72
	60	48,10	35,43	73,65
	65	47,45	32,07	67,59
1970	20	49,10	36,16	73,65
	30	49,30	36,08	73,20
	50	48,40	35,77	73,90
	60	48,10	35,02	72,80
	65	47,35	32,29	68,20

როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველი და მეორე ვარიანტის პარკის ნიმუშების ტექნოლოგიური მონაცემები, რომელთა ტენის შემცველობა შემცირებული იქნება შესაბამისად 20—30%-ით, სხვა ვარიანტებთან შედარებით უკეთესია, მაგრამ გააჩნია უარყოფითი მხარეც — მაღალი ტენის შემცველობის გამო მოსალოდნელია პარკის დაბეჭა.

ჩვენი მონაცემებით, პარკისათვის 50% ტენის მოცილების (აორთქლების) შემთხვევაში საცდელი ნიმუშები ამოხვევის უკეთეს ტექნოლოგიურ მაჩვენებლებს იძლევა სამი წლის განმავლობაში.

Ж. Д. АСАТИАНИ

К ВОПРОСУ ОПТИМАЛЬНОГО РЕЖИМА МОРКИ КОКОНОВ

Резюме

Целью нашей работы является уменьшение веса сырых коконов в лабораторных условиях.

Опыты проведены в ящичных коконосушилках в 5-вариантах:

1. в куколке влажность сокращается на 20%;



2. «_____» на 30%;
3. «_____» на 50%;
4. «_____» на 60%.
5. «_____» на 65%.

По нашим данным, при сушке коконов лучшие технологические показатели получены в варианте, где влажность в куколке сокращается на 50%.



ა. შონია

აბრეშუმხვევიან პარკის ძაწის შიგა უთანაბრობის განსაზღვრის საკითხისათვის

ძაფსახვევ წარმოებაში ავტომატური დანადგარების დანერგვამ სელექციონერების წინაშე ახალი ამოცანა წამოჭრა, კერძოდ, ისეთი მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა, რომელთაც ექნებათ თანაბარი ყალიბის პარკები და ძაწის ნომრის მცირე რყევადობა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ძაწის მთელ სიგრძეზე მეტრული ნომრის შედარებით მაღალი თანაბრობა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტის სელექციონერები ამ მიზნით შეუდგნენ ახალი ჯიშების გამოყვანას. ჩვენ ამ სტატიაში ვიხილავთ ნ. სანაძის, ბ. გადახაბაძის, დ. იობაშვილის და დ. ხუნდაძის მიერ გამოყვანილი ჯიშის პარკის ძაწის უთანაბრობას, რასაც ვსაზღვრავდით როგორც ცალკეულ პარკებში, ისე პარკებს შორის და შემდეგ ვანგარიშობდით საერთო უთანაბრობას.

სასელექციო მიზნით როგორც ტექნოლოგიური მაჩვენებლები, ისე ძაწის უთანაბრობის განსაზღვრა მოკლე დროში (დაახლოებით 7—8 დღეში), კერძოდ, ჭებრის მეტამორფოზის პერიოდში, უნდა მოესწროს, რადგან მიღებული მაჩვენებლების მიხედვით წარმოების საუკეთესო ინდივიდების შერჩევა შესაძლებლად.

ძაწის უთანაბრობის განსაზღვრისათვის გ. კუკინის მიერ რეკომენდებული და სადღეისოდ მიღებული ფორმულა საკმაოდ შრომატევადია და თითქმის შეუძლებელია მოკლე ვადაში ყველა საჭირო პარკის ამოხვევა და შემდგომ ძაწის უთანაბრობის გაანგარიშება.

ამიტომ ჩვენს მიზანს შეადგენდა გ. კუკინის მეთოდი შეგვედარებინა ნ. ევირბლისის და ბ. გადახაბაძის მიერ რეკომენდებულ მეთოდებთან, რადგან მათ მიერ მოცემული ფორმულები საშუალებას იძლევა მოკლე დროში განსაზღვროთ ხსენებული მაჩვენებელი. გ. კუკინის ფორმულა:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum(g_i - g_{cp})^2}{n-1}}$$

სადაც G_1 არის ცალკეული ასი მეტრი სიგრძის ძაფის წონა (მგ), G_2 — ასი მეტრი სიგრძის ძაფის წონა (მგ), n — ასი მეტრი სიგრძის პასმების რიცხვი.

5. ჟვირბლისმა, შეისწავლა რა კორელაციური დამოკიდებულებები არსებობს სიდიდესა, ძაფის სიმსხოსა და სიგრძეს შორის, აგრეთვე ძაფის სიგრძესა და დაწვრილებას შორის, ძაფის დაწვრილების ხარისხის დასადგენად წარმოადგინა შემდეგი ფორმულა:

$$Cy\% = \frac{(B_1 - B_2)100}{H \times Bc}$$

სადაც Cy არის პარკის ძაფის დაწვრილების ხარისხი,

B_1 — ასმეტრიანი პასმების მაქსიმალური წონა (მგ),

B_2 — ასმეტრიანი პასმების მინიმალური წონა (მგ),

Bc — ასმეტრიანი პასმების საშუალო წონა (მგ),

H — იმ პასმების რიცხვი, რომელთა სიგრძით აღინიშნება ძაფის დაწვრილება.

ძაფის დაწვრილების ხარისხი გვიჩვენებს თუ რამდენი პროცენტით მცირდება ძაფის სიმსხო 100 მეტრის სიგრძეზე.

ძაფის უთანაბრობის განსაზღვრისათვის ბ. ვადახაბაძის მიერ რეკომენდებულია ფორმულა:

$$Ky = \frac{B_1}{B_2}$$

სადაც Ky არის პარკის ძაფის დაწვრილების კოეფიციენტი,

B_1 — პარკის ამოხვევის საწყისიდან მეორე ასმეტრიანი პასმის წონა (მგ),

B_2 — ამოხვევის დასასრულს მიღებული ბოლოდან მეორე ასმეტრიანი პასმის წონა (მგ).

ცდების ობიექტად ავიღეთ აბრეშუმხვევიას ახალი ჯიშები და ჰიბრიდები: 1. თეთრპარკიანი № 2, 2. სუსკაია — 17, 3. ჩინებული, 4. თბილისური, 5. ჩინური — 21, 6. თბილისური × ჩინებული, 7. ჩინებული × თბილისური.

საცდელად აღებული პარკის ნიმუშები ცოცხალი ჭუპრის შენარჩუნების მიზნით ამოვახვეით ექსპერიმენტულ ძაფსახვევ დაზგაზე NaOH-ის 0,3%-იან ხსნარში, 100 მ სიგრძის პასმებად და გამოშრობისა და მუდმივ წონაზე მიყვანის შემდეგ, გადავწონეთ ტორციულ სასწორზე.

პარკის ძაფის უთანაბრობის სამივე მეთოდით განსაზღვრული მაჩვენებლები მოტანილია 1-ელ ცხრილში.

მიღებული შედეგების მიხედვით, სამივე მეთოდით განსაზღვრული ძაფის უთანაბრობის მაჩვენებლები ურთიერთპროპორციულია და ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. მაგალითად, ჩინური-21-ის შემთხვევაში ძაფის უთანაბრობა ვ. კუკინის მიხედვით 17,63%-ს უდრის, 5. ჟვირბლისის ფორმულით 3,47%-ს, ხოლო ბ. ვადახაბაძის ფორმულით 1,61%-ს.

Գրքի №	Գրքի անունը	1963 թ.		1964 թ.		1965 թ.		1966 թ.	
		Գրքի քանակը	Գրքի արժեքը	Գրքի քանակը	Գրքի արժեքը	Գրքի քանակը	Գրքի արժեքը	Գրքի քանակը	Գրքի արժեքը
1	Գրքերի քանակը	100	100	100	100	100	100	100	100
		100	100	100	100	100	100	100	100
2	Գրքերի արժեքը	100	100	100	100	100	100	100	100
		100	100	100	100	100	100	100	100
3	Գրքերի քանակը	100	100	100	100	100	100	100	100
		100	100	100	100	100	100	100	100
4	Գրքերի արժեքը	100	100	100	100	100	100	100	100
		100	100	100	100	100	100	100	100
5	Գրքերի քանակը	100	100	100	100	100	100	100	100
		100	100	100	100	100	100	100	100
6	Գրքերի արժեքը	100	100	100	100	100	100	100	100
		100	100	100	100	100	100	100	100
7	Գրքերի քանակը	100	100	100	100	100	100	100	100
		100	100	100	100	100	100	100	100
8	Գրքերի արժեքը	100	100	100	100	100	100	100	100
		100	100	100	100	100	100	100	100
9	Գրքերի քանակը	100	100	100	100	100	100	100	100
		100	100	100	100	100	100	100	100
10	Գրքերի արժեքը	100	100	100	100	100	100	100	100
		100	100	100	100	100	100	100	100



ՀԱՅԿԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ ԵՎ ԱՐԽԻՎ

ՀԱՅԿԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ ԵՎ ԱՐԽԻՎ

ՀԱՅԿԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ ԵՎ ԱՐԽԻՎ

ՀԱՅԿԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ ԵՎ ԱՐԽԻՎ

ՀԱՅԿԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ ԵՎ ԱՐԽԻՎ

ინდივიდუალური სელექციისათვის პარკის ნედლად ამოხვევის ტარას შესაძლოა ბ. გადახაბაძის მიერ რეკომენდებული მეთოდით დაეკონტროლოს კოეფიციენტის დადგენა. ეს კოეფიციენტი რამდენად ახლოა ერთს, მით თანაბარია ძაფი.

ამრიგად, ჩატარებული სამუშაოს შედეგებით გამოვლენილია, რომ სელექციისათვის პარკის ნედლად ამოხვევის ტარას შესაძლოა ბ. გადახაბაძის მიერ რეკომენდებული ფორმულით ძაფის უთანაბრობის განსაზღვრა გ. კუკინის მეთოდთან შედარებით უფრო მარტივია, მაგრამ მაინც ვერ უზრუნველყოფს მოკლე დროში სელექციონერებისათვის საჭირო მასალების დამუშავებას. ამ მხრივ უპირატესობით ხასიათდება ბ. გადახაბაძის მიერ შემუშავებული მეთოდი, რომლის გამოყენებით შეიძლება პარკის ძაფის უთანაბრობის მანკვინებლების განსაზღვრა უმოკლეს დროში. ამასთან მიღებული შედეგები თითქმის ემთხვევა ნ. კუკინისა და ნ. უვირბლის მეთოდებით განსაზღვრის მონაცემებს.

К. ШОНИЯ

ИСПЫТАНИЕ РАЗЛИЧНЫХ СПОСОБОВ ОПРЕДЕЛЕНИЯ ПОКАЗАТЕЛЯ ВНУТРИКОКОННОЙ НЕРОВНОТЫ НИТИ

Резюме

Внутрикоконная неровнота нити является признаком определяющим качество шелка-сырца.

Селекционная работа — отбор лучших особей по результатам размотки сырых коконов с сохранением живой куколки (метод разработан сотрудниками факультета шелководства Груз. СХИ Гадахабадзе и Озиашвили), должна закончиться в течение 7—8 дней.

При индивидуальной селекции применять метод Кукина, предложенный впервые для определения неровности коконной нити, сложно и поэтому мы пользуемся или методом Жвирблиса — определяющий степень утонения шелковины, или метод Гадахабадзе, определяющий коэффициент утонения коконной нити.

Нами определялась внутрикоконная неровнота нити вышеуказанными методами на одном и том-же материале, в результате чего получены аналогичные результаты с той лишь разницей, что при методе Гадахабадзе ответ получен в более короткий срок.



ბ. ბარამიძე

მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის პირველ ზონაში

სკკ XXIV ყრილობის დირექტივებში, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად გათვალისწინებულია მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარება, რაშიც თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა.

რესპუბლიკაში აბრეშუმის პარკის წარმოების გადიდების საქმეში გარკვეული ხვედრითი წილი მოდის საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის I ზონაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის I ზონა, ანუ „ალაზნის ვაკის მევენახეობისა და მეთამბაქოეობის ზონა“ მოიცავს ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებს, აქ განლაგებულია 5 სათაო პარკსაშრობი, 14 პარკის პირველადი გადამამუშავებელი პუნქტი, 1 მეაბრეშუმეობის სასელექციო სადგური, 1 საგრენაეო ქარხანა და 1 ძაფსაღები ფაბრიკა.

ზონის პირველ ოთხ რაიონში წამყვანი დარგია მევენახეობა, ხოლო ლაგოდეხში—მეთამბაქოეობა.

სოფლის მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეცხოველეობას, სადაც მეაბრეშუმეობის ხვედრითი წილი საკმაოდ მალალია. ასე, მაგალითად, 1960 წ. ახმეტის რაიონის კოლმეურნეობათა მეცხოველეობის მთლიან პროდუქციაში მეაბრეშუმეობაზე მოდიოდა 7,7% (121,5 ათასი მანეთი), ხოლო საშუალოდ 1966 — 1970 წლებში—12,3% (84,6 ათასი მან.), თელავში შესაბამისად—16,9% (211,5 ათასი მან.) და 18,3% (218,6 ათასი მან.), გურჯაანში — 6,7% (191,8 ათასი მან.) და 7,5% (163,2 ათასი მან.), ყვარელში — 16,5% (170,6 ათასი მან.) და 23,5% (263,6 ათასი მან.) და ლაგოდეხში 26,4% (485,3 ათასი მან.), 31,8% (712,0 ათასი მან.).

საერთო პროდუქციაში მეაბრეშუმეობის ხვედრითი წილი კიდევ უფრო მალალი იქნებოდა, პარკის წარმოება მთლიანად კოლმეურნეობებში რომ იყოს თავმოყრილი.

მეაბრეშუმეობა მეტ-ნაკლებად ზონის ყველა რაიონშია წარმოდგენილი, მაგრამ მათგან წამყვანი ადგილი უჭირავს ლაგოდეხს. რომელზეც მოდის დარი-



გებული ჭიის კოლოფების საერთო რაოდენობის 44,7 და წარმოებული პარკის 42,0% (ცხრ. 1).

მეშვიდე ხუთწლედის თითოეულ წელს პირველი ზონის მასშტაბში უცხო-დნენ საშუალოდ 12977 კოლოფ ჭიის და აწარმოებდნენ 450,2 კგ-ს. მესამე წელს დგენს აღმოსავლეთ საქართველოს შესადარი მაჩვენებლის 65,9 და 70,0%-ს, ხოლო რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებლის 10,2 და 10,9%-ს. ზონაში დარიგებული ჭიის კოლოფების საერთო რაოდენობიდან გაზაფხულზე იკვებებოდა 72,7% (9440 კოლოფი), ხოლო განმეორებით გამოკვებაზე — 27,3% (3536,6 კოლოფი).

ცხრილი 1


გრენის რეალიზაციის, პარკის მოსავლიანობისა და საერთო წარმოების მაჩვენებლები სპეციალიზაციის—I ზონაში (1961—1966 წწ.)

რაიონი	რეალიზებული გრენი		პარკის მოსავლიანობა 1 კოლოფი გრენიდან (კგ)	პარკის საერთო წარმოება	
	კოლოფი	% ჯამთან		ც	% ჯამთან
ახმეტა	994,6	7,7	41,5	413,2	9,2
თელავი	1158,6	9,2	51,1	708,8	15,7
გურჯაანი	1864,8	14,4	32,7	613,6	13,6
ყვარელი	3439,6	26,7	26,1	906,3	20,2
ლაგოდეხი	5439,4	42,0	34,0	1800,4	41,3
სულ	12977,0	100	34,9	4502,3	100

ერთი კოლოფი ჭიიდან პარკის მოსავლიანობა შეადგენდა გაზაფხულზე 37,6 და განმეორებით გამოკვებაზე 27,0 კგ-ს. პარკის მაღალ მოსავალს იღებდა თელავისა და ახმეტის რაიონები, ხოლო უფრო ნაკლებს ყვარლის რაიონი.

ყვარელში პარკის მცირე მოსავლიანობა ჭიის კვების აგროწესების დარღვევით იყო გამოწვეული. აქ თითქმის ყოველთვის უხარისხოდ ატარებდნენ დეზინფექციას, არანორმალურად უვლიდნენ ჭიებს, ადგილი ჰქონდა გამოკვების მეთისმეტად გახანგრძლივებას, რის გამოც დიდი რაოდენობით იღუპებოდა ჭიები როგორც დაავადების მიზეზით, ისე მექანიკური მოსპობის გზით. ჭიის ცუდი მოვლისა და დიდი რაოდენობის დაღუპვის გამო 1964 და 1965 წწ. თითოეული კოლოფი ჭიიდან პარკის მოსავლიანობა შეადგენდა შესაბამისად 25,5 და 24,7 კგ-ს მაშინ, როცა თელავსა და ახმეტაში იგი თითქმის 2-ჯერ მეტი იყო.

ზონის ყველა რაიონში ატარებდნენ აბრეშუმის ჭიის ცენტრალიზებულ და გამსხვილებულ გამოკვებას, მაგრამ ამ მხრივ უპირატესობა მაინც ლაგოდეხის რაიონს ჰქონდა. აქ ზოგიერთი კოლმეურნეობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტის მეცნიერ მუშაკთა დახმარებით ფართო მასშტაბით აწყობდა ცენტრალიზებულ გამოკვებას და კარგ შედეგებს ლეზულობდა, მაგრამ ბოლო წლებში შეასუსტეს მისადმი ყურადღება. მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებისა, მეშვიდე ხუთ-



წლებში ზონის მეაბრეშუმეობა ექსტენსიური გზით ვითარდებოდა და კარგად
ტაბელური იყო. მართალია, მომდევნო ხუთწლებში მდგომარეობა ერთგვარად
გაუმჯობესდა, მაგრამ განვითარების ტრადიციული გზა იგივე დარჩა.

საშუალო მონაცემებით, მერვე ხუთწლედის ყოველ წელს მეაბრეშუმეობის
გამოსაკვებად ეძლეოდათ 12775,1 კგ ჭია, თითოეული კოლოფიდან ღებულობდ-
ნენ 38,1 კგ-ს და სულ აწარმოებდნენ 4616,4 ც აბრეშუმის პარკს.

ზონაში 1966—1970 წწ. დარიგებული ჭიის კოლოფების რაოდენობა
1,6%-ით ნაკლები იყო მეშვიდე ხუთწლედთან შედარებით, მაგრამ მოსავლიან-
ობა და პარკის საერთო წარმოება შესაბამისად 9,2 და 2,5%-ით აღემატებოდა
ას.

განმეორებითი გამოკვება საერთოდ მცირე მასშტაბით ეწყობოდა, რაც
1968 და 1970 წელს სრულებით არ ჩატარებულა. ზონაში დარიგებული ჭიის
კოლოფების რაოდენობა შეადგენდა რესპუბლიკის შესაღარი მაჩვენებლის
11,7%-ს, ხოლო დამზადებული პარკის 12,8%.

ზონის მეაბრეშუმეები თითოეული კოლოფი ჭიიდან ღებულობდნენ საშ-
უალოდ 38,1 კგ პარკს, რაც 3,7 კგ-ით აღემატება აღმოსავლეთ საქართველოს და
5,2 კგ-ით რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებლებს. თითოეული კოლოფი ჭიიდან
პარკის უნჯ მოსავალს იღებდნენ თელავისა და ახმეტის რაიონის მეაბრეშუმე-
ები, ხოლო ყვარლები კვლავ ჩამორჩებოდნენ. ზონაში დარიგებული ჭიის
კოლოფების საერთო რაოდენობაში თელავის რაიონზე მოდიოდა 9,6%, ხოლო
პარკის საერთო წარმოებაში 15,2%, ყვარლის რაიონზე შესაბამისად 23,2 და
17,8%. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ყვარელში არ ექცევა სათანადო ყურადღება
მეაბრეშუმეობას და გამოუყენებელია პარკის მოსავლიანობის გადიდების დი-
დი შესაძლებლობანი (ცხრ. 2).

ცხრილი 2

გრენის რეალიზაციის, პარკის მოსავლიანობის, საერთო წარმოებისა და ფულადი შემოსავლის
საშუალო მაჩვენებლები (1966 — 1970 წწ.)

რაიონი	რეალიზებული გრენი		პარკის მოსა- ვლიანობა 1 კოლოფი გრე- ნიდან (კგ)	პარკის საერთო წარმოება		ფულადი შემოსავალი	
	კოლოფი	% ჯამთან		ც	% ჯამთან	ათას მან- ეთობით	% ჯამთან
ახმეტა	1071,7	8,4	43,9	470,6	10,2	174249	10,0
თელავი	1226,0	9,6	56,9	699,7	15,2	306345	17,7
გურჯაანი	1803,9	14,1	35,4	538,7	13,8	231285	13,4
ყვარელი	2955,5	23,2	27,7	822,7	17,8	306561	17,7
ლაგოდეხი	5717,9	44,7	34,7	1984,6	43,0	711552	41,2
სულ 1 ზონაში	12775,1	100	38,1	4616,4	100	1729960	100

ზონის მეაბრეშუმეები სახელმწიფოზე მიყიდული პარკის საფასურად ყო-
ველწლიურად ღებულობდნენ საშუალოდ 1729,9 ათას მანეთს, აქედან ლაგოდე-

ხის რაიონი—711552 ათას მანეთს, თელავის რაიონი—306345 ათას მან. (ცხვარ-
ლის რაიონი — 306561 ათას მან. (ცხვ. 2).

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალიზაციის პირველ ზონაში თითოეული
კოლოფი ჭიიდან ბევრად მეტ მოსავალს ღებულობდნენ და მათი მოსავალი
უკეთესი იყო სხვა ზონებთან შედარებით, მაინც ამ დარგში მოსავლის
ამალღების შესაძლებლობანი სრულყოფილად არ ყოფილა გამოყენებული და
იგი ზარალიანი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად რესპუბლიკის ყველა რაიონში აბრეშუმის
ჭიის გამოკვება ინდივიდუალურ ბინებში წარმოებს წვრილ პარტიებად. ასეთა
გამოკვებისას მაქსიმალურად იზღუდება მეცნიერების უახლეს მიღწევებათა წარ-
მოებაში დანერგვისა და მექანიზაციის საშუალებათა ეფექტიანად გამოყენების
შესაძლებლობა, რის გამოც მნიშვნელოვნად იზრდება პროდუქციის ერთეულის
წარმოებაზე გაწეული შრომის პირდაპირი დანახარჯები. მაგალითად 1966 —
1970 წწ. 1 ც პარკის წარმოებაზე ახმეტის რაიონში დაიხარჯა საშუალოდ
95,6 კაცლდე, თელავში—104,9, გურჯაანში—273,2, ყვარელში—102,7 და ლა-
გოდებში 121,3; ხოლო საშუალოდ I ზონის რაიონებში—132,0 კაცლდე, რაც
რესპუბლიკის შესადარ მაჩვენებელს აღემატება 21,2 კაცლდით. პროდუქციის
ერთეულის წარმოებაზე შრომის პირდაპირი დანახარჯების მალალი დონე ძირი-
თადად გაპირობებულია საკვები ბაზის ნაკლებობით, მექანიზაციის საშუალებათა
გამოყენების უგულვებლყოფით. პარკის დაბალი მოსავლიანობით, ჭიის კოლო-
ფების დიდი რაოდენობით დაღუპვისა და სხვა მიზეზებით. მაგრამ ამასთან ერ-
თად გარკვეულ უარყოფით როლს ასრულებს, აგრეთვე, აღრიცხვის მოუწესრი-
გებლობაც.

ვინაიდან საქართველოში აბრეშუმის ჭიის გამოკვება ძირითადად მიმდინა-
რობს ინდივიდუალურ ბინებში მცირე პარტიებად, ჭიათმკვებობაში მეაბრე-
შუმე ქალებთან ერთად სხვადასხვა ზომით მონაწილეობენ მათი ოჯახის წევრე-
ბიც. ასეთ პირობებში ნამუშევარი დროის ზუსტი აღრიცხვა ძალიან ძნელი და
ზოგჯერ შეუძლებელიცაა: ამიტომ აღრიცხვის დარგის მუშაკები იძულებულ
არიან სუბიექტურად განსაზღვრონ იგი. ეს კი აფერხებს მეაბრეშუმეთა შრომის-
ნაყოფიერების სწორად განსაზღვრისა და მისი აღმავლობისათვის საჭირო ღო-
ნისძიებათა დასახვის საქმეს. ამიტომ მეაბრეშუმეთა შრომისნაყოფიერებ-
(ცხვ. 3) შესაძლებლობაზე ბევრად დაბალია.

განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა ამ მხრივ გურჯაანის რაი-
ონში.

მერვე ხუთწლედის საშუალო მონაცემებით, ახმეტის რაიონში 1 ც პარკის
თვითღირებულება შეადგენდა 571,6 მან., თელავში—684,5, გურჯაანში—684,5,
ყვარელში—473,6 და ლაგოდებში—366,8 მანეთს, ხოლო ზონაში—474,2, და
საშუალოდ რესპუბლიკაში — 485,7 მანეთს.

მაგრამ თითოეული კოლოფი ჭიიდან 40 კგ პარკის მოსავლიანობის შემთ-
ხვევაში თუ დაცული იქნებოდა ხარისხობრივი შემადგენლობა, 1 ც აბრეშუმის
პარკის რეალიზაციით კოლმეურნეობა მიიღებდა 342,5 მანეთს. სინამდვილეში
კი მოსავლიანობისა და ხარისხობრივი შემადგენლობის გეგმური მაჩვენებლები



შრომისნაყოფიერების მაჩვენებლები ერთ კაცზე

საქართველოს
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

რაიონი	1960 წ		1965 წ		1966-70 წწ	
	პარკი კვ	ფული (მან.)	პარკი კვ	ფული (მან.)	პარკი კვ	ფული (მან.)
ახმეტა	0,76	2,46	0,77	2,43	1,0	3,77
თელავი	0,63	2,67	0,76	2,87	0,95	4,1
გურჯაანი	0,82	2,20	0,74	2,63	0,37	1,33
ჯვარელი	0,82	3,20	—	—	0,97	3,71
ლაგოდეხი	1,0	3,37	—	—	0,84	3,0
საშელოდ I ზონაში	0,63	2,20	0,75	2,65	0,76	2,87
საშელოდ რესპუბ.	0,70	—	0,91	2,75	0,89	2,93

თითქმის იშვიათად სრულდებოდა და ამიტომ შემოსავალიც ნაკლები იყო. ამიტომ მერვე ხუთწლედის ყოველ წელს მეაბრეშუმეობიდან კოლმეურნეობები ზარალობდნენ საშუალოდ 347,2 ათას მანეთს, რასაც სხვა დარგებიდან მიღებული შემოსავლით ფარავდნენ.

დასკვნა

1. სპეციალიზაციის პირველ ზონაში პარკის მოსავლიანობითა და პროდუქციის საერთო წარმოებით პირველი ადგილი უკირავს ლაგოდეხის, მეორე—ჯვარლის, მესამე—გურჯაანის, მეოთხე—თელავის და მეხუთე ახმეტის რაიონებს.

2. აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც საუკეთესო ბუნებრივი პირობებუ არსებობს მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის, ჯერ კიდევ გამოუყენებელია სათანადო რეზერვები ამ დარგის აღმავლობისათვის.

3. 1 ც აბრეშუმის პარკის თვითღირებულება როგორც რესპუბლიკაში, ისე სპეციალიზაციის პირველ ზონაში (იგი რესპუბლიკაში 1960 წელს შეადგენდა 396,3 მან. 1966 — 70 წწ — 485,7 მან., ხოლო ზონაში შესაბამისად 387,6 და 574,13 მან.) მაღალია და მისი შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება—გატარება ამ დარგის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

1. შრომისნაყოფიერება განგარიშებულია შრომის პირდაპირ დანახარჯებზე საერთო პროდუქციის მიხედვით.



Резюме

В деле увеличения производства коконов в республике, определенный удельный вес падает на первую зону Специализации сельского хозяйства.

В Восточной Грузии где есть наилучшие природные условия для развития шелководства, еще не полностью использованы все резервы его подьема.

В районах первой зоны специализации сельского хозяйства по урожайности, по общему производству продукции и по данному доходу в шелководстве первое место занимает Лагодехи.

Себестоимость одного центнера коконов в республике в целом так и в первой зоне специализации (в республике себестоимость коконов в 1960 году составляла 393,3 руб., в 1966—1970 — 485,7 руб; а в первой зоне соответственно 387,6 и 574,13 руб.) высокая и проведения нужных мероприятий для ее снижения основной фактор в деле развития данной отрасли.



2. შავაძიძე

მეჩანიზაციის განვითარების დონე მთავრეზინოზავში

მეაბრეშუმეობის მძლავრი საკვები ბაზისა და აბრეშუმის პარკის მოცულობის გაზრდა წარმოუდგენელია მეჩანიზაციის თანამედროვე მიღწევების გამოყენების გარეშე.

თუთის პლანტაციებში მთელი რიგი სამუშაოები ტარდება იმავე მანქანა-იარაღებით, რომლებიც გამოყენებულია სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში, როგორცაა გუთნები, ფარცხები, კულტივატორები, სასუქის მომფანტველი მანქანები და ა. შ.

პლანტაციებში ამ მანქანებით მუშაობის დროს ნარგავების მწკრივებში დამუშავებული რჩება გარკვეული ფართი, სიგანით 60 — 80 სმ, რომელსაც „დამცველი ზოლი“ ეწოდება. მისი დამუშავება ხდება ხელით და მოითხოვს ძალზე დიდ შრომის დანახარჯებს, დაახლოებით 15—20 კაცდღე/ჰა.

დღეისათვის წარმოებაში დანერგილია მწკრივთაშორისების დასამუშავებელი მოწყობილობა პრვნი—72000, რომელიც მონტაჟდება ვენახის მანქანა პრვნი—2,5-ა-ს ჩარჩოზე. მაგრამ ისინი განკუთვნილია 2,0 და 2,5 მეტრი სიგანის რიგთაშორისების დასამუშავებლად. ვინაიდან, თუთის პლანტაციების უმრავლესობა გაშენებულია სქემით 3 X 1,5, 3 X 2 და 3 X 3, ამიტომ საჭიროა მოწყობილობის გადაკეთება აღნიშნული სიგანის რიგთაშორისებში სამუშაოდ.

მეაბრეშუმეობის სასწავლო-საკვლევო ფაკულტეტის მეჩანიზაციის ახლად შექმნილ განყოფილებაში დამუშავებულია პრინციპული სქემა და დამზადებული თუთის პლანტაციებში მწკრივთაშორისების დასამუშავებლად მოწყობილობის ექსპერიმენტული ნიმუში, რომელიც წარმატებით მუშაობს დიდი სასწავლო-სადღედი მეურნეობის თუთის ექსპერიმენტულ ბაზაში. წინასწარი გაანგარიშებებით, თუ მოწყობილობა ცვლის 4-ჯერად თოხნას (ერთდროულად რიგთაშორისების კულტივაციით), ეკონომიური ეფექტი აღწევს 95 მან 1 ჰა-ზე. ხოლო თუ იგი შეცვლის ბარვის ოპერაციას მსუბუქ ნიადაგებში, მაშინ ეკონომიური ეფექტი კიდევ უფრო გაიზრდება.

უკრაინაში მეცნიერებისა და კონსტრუქტორების მიერ (უკრაინის მეჩანიზაციისა და ელექტრიფიკაციის კვლევითი ინსტიტუტი და ზაპოროჟიის სას.-სამ. მანქანების საკონსტრუქტორო ბიურო) შექმნილია და დანერგილია წარმოებაში თუთის პლანტაციაში ტოტომომრევი კომბაინი უშ-1; მანქანა მუშაობს დაბალ-



შტამბიან ან ბუჩქოვან პლანტაციისაში და აგრეგატდება თვითმზარე მასზე ტ-16 მ. მისი მჭრელი აპარატი უზრუნველყოფს ნარგავების გადაჭრას 600—1300 მმ საზღვრებში მოდების განით 800 მმ. გადაჭრილი ტოტები მანქანის დიამეტრია 35 მმ. მანქანის საექსპლუატაციო საიმედოენობაა 0,95—0,99 საზღვრებშია. ტოტების ხელით მოჭრის დროს შრომის დანახარჯები 1 ჰა-ზე შეადგენს 300 კაცდღეს, ხოლო მუშის დღიური საშუალო მწარმოებლურობა კი შეადგენს 200—250 კმ. ტოტმჭრელი მანქანის გამოყენების დროს კი საკვების მოპოვებაზე დახარჯული ფულადი სახსრები მცირდება 8-ჯერ, ხოლო შრომის დანახარჯები 12—14-ჯერ. აგრეგატის გამოყენების დროს წლიური ეკონომიური ეფექტი შეადგენს 456 მან 1 მანქანაზე. ამ მანქანის შემდგომი გამოყენებისა და ექსპლუატაციის და სერიული დანერგვის მიზნით საჭიროა მისი ზოგიერთი კვანძების კონსტრუქციული სრულყოფა და დახვეწა.

პლანტაციის რიგთშორისების გაწმენდა გამხმარი ტოტებისა და ნარჩენებისაგან მეტად შრომატევადი ოპერაციაა. უკრაინის სსრ მეაბრეშუმეობის სამმართველოს მექანიზატორების მიერ გადაკეთებულია შემგროვებელი კნუ-11, რომელიც წარმატებით წმენდავს რიგთშორისებს 2,5—3,0 ჰა/ცვლაში). კნუ-11-ის გამოყენება ზრდის შრომისნაყოფიერებას 20—25-ჯერ.


კონსტრუქტორების მიერ შექმნილია ბუჩქოვან და დაბალშტამბიან პლანტაციის ტოტების საჭრელი ელექტრომრწყობილობა ევა-6-200, რომელიც აგრეგატდება მცირე სიმძლავრის ტრაქტორებთან დტ-20 და ტ-25 კ. მოჭრილი ტოტის მაქსიმალური დიამეტრია 35 მმ, ერთი დასამუშავებელი ნაკვეთის სიგრძეა 30 მ. მწარმოებლობა 0,5 ტ ფოთლოვანი მასა საათში.

აბრეშუმის ჭიის გამოკვებისათვის შექმნილია მთელი რიგი კონსტრუქციის მანქანები, როგორცაა ფოთოლსაჭრელი მანქანა მარკით რტლ-25 და შუა აზიის მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტის კონსტრუქციის, ფოთოლგამცლელი მანქანები (ქ. თბილისის საკონსტრუქტორო ბიურო და ერევნის მეაბრეშუმეობის სადგური) და ა. შ.

მეაბრეშუმეობაში წარმატებით გამოიყენება ქ. ტაშკენტის საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ შექმნილი პარკის საწმენდი მოწყობილობა ჩკ-1-ს, მაგრამ სამწუხაროდ მათი რაოდენობა ძალზე მცირეა.

უკრაინის პარკის საშრობ ბაზაზე პარკის პირველადი დამუშავება წარმოებს პარკის საშრობ აპარატ კსკ-1,5-ით, რომელიც შექმნილია უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტისა და კიევის მეაბრეშუმეობის კომბინატში. ეს ძალზე თანამედროვე მანქანაა, მნიშვნელოვნად ამცირებს შრომის დანახარჯებს პარკის პირველად დამუშავებაზე, ამსუბუქებს მუშების შრომას და ზრდის წარმოების კულტურას.

მეაბრეშუმეობაში ყველაზე დიდ პრობლემად ითვლება ჭიის გამოკვების მექანიზაცია. ტაშკენტის მეაბრეშუმეობის საკონსტრუქტორო ბიუროში უკრაინის მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და სომხეთის მეაბრეშუმეობის სადგურთან ერთად კონსტრუირებულია აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები მექანიზებული ხაზი პროფესორ ს. მ. სარქისიანის წინადადებით. მექანიზებული ხაზი დამონტაჟებულია უკრაინის სსრ ბარიშევსკის



სანერგეში და წარმატებით გადის გამოცდას. ხაზს გააჩნია ზოგიერთი კონსტრუქციული უარყოფითი მხარე, ზოგიერთი კვანძი არასწორადაა გამართული, მაგრამ პრინციპში მეაბრეშუმეობაში ყველაზე შრომატევადი პროცესის მქონე მუშაობის მუქანიზაციის საკითხი გადაწყვეტილია დადებითად.

მიმდინარეობს დიდი სამუშაოები და მეცნიერული კვლევა თანამედროვე საჭივ შენობების კონსტრუქციების დახვეწასა და დანერგვაში. ამ მხრივ დიდი მუშაობაა გაშლილი უზბეკეთისა და უკრაინის რესპუბლიკებში და უახლოეს ხანებში მეაბრეშუმეობის რაიონები აღჭურვილი იქნებიან რენტაბელური თანამედროვე საჭივ შენობებით.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მანქანების და მოწყობილობებისა, ქვეყნის საკონსტრუქტორო ბიუროებში და ცალკეულ სადგურებში იქმნება ახალი ნიმუშები, რომლებიც დღეისათვის გამოცდის სტადიაში არიან და უახლოეს ხანებში ჩადგებიან მწყობრში მეაბრეშუმეობის მექანიზაციის დონის მკვეთრი ამაღლებისათვის.

З. Д. ШАПАКИДЗЕ

УРОВЕНЬ РАЗВИТИЯ МЕХАНИЗАЦИИ В ШЕЛКОВОДСТВЕ

Резюме

В статье рассматриваются вопросы развития механизации в шелководстве, в частности вопросы почвообработки в плантациях шелковицы, механизированная эксплуатация кормовой базы, машины для выкормки шелкопряда и механизированная выкормочная линия, машины для очистки и сушки коконов и т. д.





დ. გოგორიძე

სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება თუთის პლანტაციის რიგთშორისეზო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის კურსი უნდა განხორციელდეს სარწყავი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის, ფართო ჭიმიზაციის ყოველი ღონისძიებით განვითარებისა და კომპლექსური მექანიზაციის გზით.

მეაბრეშუმეობის ინტენსიფიკაცია პარკის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდების მთავარი პირობაა. მეაბრეშუმეობის ინტენსიფიკაცია პარკის მოსავლიანობის მკვეთრ გადიდებასთან ერთად გულისხმობს თუთის პლანტაციის რიგთშორისის რაციონალურად გამოყენებას სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებით. ამ მიზნით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საიკვლევო მეურნეობის თუთის პლანტაციაში 1965—1967 წლებში შევისწავლეთ სიმინდის, ბოლოკის, ისპანახის, კომბოსტოს და ერთწლოვანი ბალახების (ცერცველას) მოყვანის შესაძლებლობა.

ცდისათვის შევარჩიეთ 1961 წ. გაშენებული (სიხშირე 3 X 3 მ) თუთის პლანტაცია, სადაც წინასწარ აღრიცხული იყო მცენარის წლიური ნაზარდი და თუთის ფოთლის მოსავალი.

ცდა დავაყენეთ 8 ვარიანტიანი სქემით, ოთხ განმეორებად:

- I ვარიანტი — სიმინდი (ჰყინტად)
- II ვარიანტი — ერთწლიანი ბალახი — ცერცველა.
- III ვარიანტი — თვის ბოლოკი
- IV ვარიანტი — საშემოდგომო ბოლოკი
- V ვარიანტი — ისპანახი
- VI ვარიანტი — პამიდორი
- VII ვარიანტი — კომბოსტო
- VIII ვარიანტი — საკონტროლო

თითოეული განმეორების ფართობი 450 მ² (150 X 3 მ); ხოლო ვარიანტისა— 1800 მ². განმეორებაში აღებული იყო 25 მცენარე, მათგან 10 სააღრიცხვო.

საიდეალ ნაკვეთზე ყველა ღონისძიება ჩატარდა აგროწესების დაცვით.

საიდეალ ნაკვეთზე აღრიცხული იქნა მცენარის შტამბის განივკვეთის ფართი, ტოტების წლიური ნაზარდი, თუთის ფოთლისა და შეთესილი კულტურების მოსავალი, მათზე გაწეული დანახარჯები და წმინდა შემოსავალი.



ცდაში აღებულ კულტურებს საკონტროლოდ ცალკე ვთესვდით. თავისუფალ ნაკვეთზე და მიღებულ მოსავალს, გაწეულ ხარჯებს ვაჯერებდით. პლანტაციების რიგთშორისებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესაბამის მონაცემებს.

პირველ და მეორე ცხრილში აღნიშნულია თუთის პლანტაციის რიგთშორისებში და თავისუფალ ადგილზე ცალკეული კულტურების მოსავლის მიღებისათვის გაწეული ხარჯები და წმინდა შემოსავალი, როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს 1 ჰა თუთის პლანტაციაში ფოთლის მოსავლის მისაღებად გაწეული ხარჯები 49,7 მანეთია, ხოლო თუთის ფოთლის რეალიზაციის ფულად შემოსავალი 298,5 მან. ამ შემთხვევაში წმინდა შემოსავალი შეადგენს 248,8 მანეთს.

თუთის პლანტაციის რიგთშორისებში სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა საგრძნობლად ზრდის წმინდა შემოსავალს და ქმნის ხელსაყრელ პირობებს ახალგაზრდა თუთის ნარგავობის უკეთ მოვლისათვის. ასე, მაგალითად, თუთის პლანტაციის რიგთშორისებში თვის ბოლოკის მოყვანა, საკონტროლოსთან შედარებით, თუთის ხის შტამბის სიმსხოს ნაზარდი 26,5%-ით მეტია, ისპანახის მოყვანის შემთხვევაში—23,8%-ით, სიმინდისა და სამშემოდგომო ბოლოკის მოყვანისას კი 13%-ით მეტი.

თუთის პლანტაციის რიგთშორისებში სხვადასხვაგვარი სას.-სამ. კულტურების მოყვანით მნიშვნელოვნად მატულობს თუთის ფოთლის მოსავალი, რაც საცდელ წლებში შეადგენდა 60—90—103 ცენტნერს, რომლის ფულადი შემოსავალი 1,5 ჰექტარზე შესაბამისად შეადგენს 233—392—450 მანეთს. სას.-სამ. კულტურების მოყვანის შემთხვევაში წმინდა შემოსავალი 1 ჰექტარ თუთის პლანტაციიდან საკონტროლო ვარიანტზე მიღებული 248,8 მანეთის ნაცვლად შეადგენს 411,5—154,9 მანეთს.

ცხრილი 1

1 ჰა თუთის პლანტაციის რიგთშორისებში სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და თუთის ფოთლის მოსავალზე გაწეული ხარჯები და მიღებული წმინდა შემოსავალი

ვარიანტი	კულტურა	თუთის ფოთლის მოსავალი (ა)	რიგთშორისებში გაწეული ხარჯების მოსავალი (ა)	1965—1967 წ.წ. საშუალო				წმინდა შემოსავალი
				სულ დანახარჯები (მან)	თუთის შემოსავალი (მან)			
					თუთის ფოთლიდან	რიგთშორისებში გაწეული ხარჯების კულტურებიდან	სულ	
I	სიმინდი კუინტად	60,0	17,7	154,0	300,0	265,5	565,5	411,5
II	ერთწლოვანი ბაობახი (ცურცველა)	44,5	175,7	85,2	221,5	1405,5	1627,1	1541,9
III	თვის ბოლოკი	65,2	571,7	171,4	326,0	577,0	903,0	731,6
IV	სამშემოდ. ბოლოკი	59,6	100,0	171,4	285,0	1000,0	1298,0	1126,6
V	ისპანახი	62,5	82,5	166,3	327,0	825,0	1152,5	986,2
VI	პამიდორი	63,8	94,9	413,1	319,0	949,0	1268,0	854,9
VII	კომბოსტო	67,1	71,6	370,7	335,5	716,0	1051	680,8
VIII	საკონტროლო	59,1	—	49,7	298,5	—	298,5	248,8



ვარიანტი	ელტერა	მოსავალი (ც)	დანახარჯები (მან.)	წმინდა შემოსავალი (მან.)
I	სიმინდი ჭყინტად	29,6	207,3	237
II	ეროვნული ბაზისი (ცერცველა)	234,1	128,0	744,0
III	თვის ბოლოტი	93,3	330,4	602,6
IV	სამეურნეობის ბოლოტი	168,3	330,4	1352,6
V	ისპანახი	134,1	360,8	930,2
VI	პამიდორი	244,1	1225,1	1216,0
VII	კომბოსტო	112,5	642,3	462,7

Д. ГОГОРИШВИЛИ

ПРОИЗВОДСТВО С. Х. КУЛЬТУР В МЕЖДУРЯДИЯХ ШЕЛКОВИЦЫ

Резюме

Для интенсификации шелководства большое значение имеет рациональное использование междурядий шелковицы под сельскохозяйственные культуры.

С этой целью в Дигомском учебно-опытном хозяйстве Грузинского сельскохозяйственного института в междурядьях шелковицы с густотой стояния 3x3 посеяли кукурузу, редиску, шпинат, капусту, помидоры и однолетние травы.

В результате учетов и наблюдений установлено, что использование междурядий не сказывается отрицательно на рост и развитие шелковицы, а урожайность овощных культур составляет 117—121% по сравнению с контролем взятым за 100%. Исключения составляют однолетние травы процент которых ниже контроля на 32%.

С 1 га плантации шелковицы при использовании междурядий под овощные культуры получен следующий денежный доход:

- кукуруза — 411,5 руб.,
- редиска — 731,6 руб.,
- шпинат — 986,2 руб.,
- помидоры — 854,9 руб.,
- капуста — 680,9 руб.,

а при реализации только листа шелковицы — 248,0 рублей.

Исходя из вышесказанного использование междурядий шелковицы может дать большую экономию.



ბ. მინაძე

შენახვის ხანგრძლივობის გავლენა თუთის მტვრის მარცვლის ცხოველმყოფელობაზე

თუთის მტვრის მარცვლის შენახვის ხანგრძლივობის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ჰიბრიდიზაციის წარმატებით ჩატარებისათვის.

ჩვენ მიერ 1973—74 წლებში შესწავლილ იქნა შეგროვების შემდეგ თუთის მტვრის მარცვლის დაყოვნების გავლენა თესლკვირტის განაყოფიერებაზე. შერჩეული იქნა შესაჯვარებელი ჯიშები: ფ — ქუთათური, რუსული, ოშიმა და თუთის უჯიშო ფორმა ტატარიკა, რომლებიც დამტვერიანებული იქნა 4 — გრუნნიშ—4, გრუნნიშ—5 და ჰიბრიდი თბილნიშ № 2-ის ნარევი მტვრით. მდებრობითი მცენარეების დამტვერვა მოხდა მტვრის მარცვლის შეგროვებიდან პირველ, მეორე, მესამე და მეხუთე დღეს. ამ ხნის განმავლობაში მტვრის მარცვლი შენახული იყო ჩვეულებრივ პირობებში.

აღრცხული იქნა დამტვერიანებული ყვავილეებისა და გამონასკველანაყოფედის რაოდენობა, რომელთა შეფარდებით დადგინდა იქნა გამონასკვის პროცენტი. შედეგები მოცემულია 1-ელ ცხრილში. როგორც ცხრილიდან ჩანს, განაყოფიერების პროცენტი იცვლება მტვრის მარცვლის შეგროვებიდან დაყოვნების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. მტვრის მარცვალს შეგროვებიდან მეორე და მესამე დღეს განაყოფიერების უკეთესი უნარი აქვს ვიდრე შეგროვების ან მეხუთე დღეს. სახელდობრ: ჯიშ ქუთათურის მაგალითზე, შეგროვებიდან მეორე და მესამე დღეს მტვრის მარცვლებით დამტვერიანების შემთხვევაში გამოინასკვა საშუალოდ 40,6 და 38,2 პროცენტი, ხოლო შეგროვებიდან პირველ და მეხუთე დღეს დამტვერიანების შემთხვევაში — 37,8 და 23,6 პროცენტი.

ამავე ცხრილიდან ჩანს აგრეთვე, რომ გამონასკვის პროცენტი ცვალებადობს ცალკეული წლების მიხედვით, რაც მტვრის მარცვლის შეგროვებისა და შეჯვარების პერიოდში არსებული ამინდის პირობებით უნდა აიხსნას.

თესლკვირტის განაყოფიერების უნარი დამოკიდებულია დამტვერიანების სახეზეც. (თვითდამტვერვა ან ჯვარედინი დამტვერვა). პეიტენოგამიაზე დაკვირვების ჩასატარებლად ჩვენ შევარჩიეთ თუთის ჯიში „თბილისური“ რომელიც ერთსახლიანია. დამტვერიანება ჩატარდა ორ ვარიანტად:

1. თუთის მტვრის მარცვლებით დამტვერიანდა იმავე ყლორტზე განწყობილი მდებრობითი ყვავილეები.

შეჩვენებს წინააღმდეგობის უნარი რეპროდუქციის განვითარებაში



მ. რაიონი	შესაქმებელი წყაროები		შექმების წილი	დამატებითი ვარიანტების რაოდენობა				გამონაკვასი %				ეროვნული		
	მ	მ		მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ	მ
1	ქვემოთ	ერგონი 4	1973	203	212	242	270	40,4	34,2	48,3	30,5	547	46,7	
		ერგონი 5	1974	120	171	116	123	25,2	24,8	28,2	37,5	100	29,7	
		საშუალო 26 2	ს.წ.	172	192	179	197	32,5	44,5	35,7	34,1	728	33,2	
2	ჩველი	—	1973	159	148	110	100	36,2	40,3	45,6	31,3	517	38,5	
		—	1974	120	151	114	98	23,1	38,9	23,3	11,7	483	23,9	
		ს.წ.	139	149	112	99	29,6	35,6	34,4	21,5	500	31,4		
3	ოშის	—	1973	160	120	80	90	40,4	45,1	40,8	35,0	440	40,4	
		—	1974	200	112	122	98	25,2	36,2	23,5	12,3	532	23,8	
		ს.წ.	170	116	101	94	37,8	40,6	28,2	23,6	485	34,6		
4	ბატონი	—	1973	180	200	144	100	41,2	52,5	40,7	36,3	644	42,3	
		—	1974	220	170	110	143	34,0	28,3	38,4	32,1	645	31,6	
		ს.წ.	200	195	125	122	37,6	45,4	30,5	34,2	664	37,9		



საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
საქონლის
სამეცნიერო ცენტრი

2. ერთი და იმავე მცენარის სხვადასხვა ყლორტიდან აღებული მტვრის მარცვლებით დამტვერიახდა იმავე მცენარეზე არსებული მდედრობითი ყვავილეები.

პირველ ვარიანტში 30 ყვავილედის დამტვერიახებით არც ერთი მცენარე განვითარდა, ხოლო მეორე ვარიანტში 40 ყვავილედის დამტვერიახებით განვითარდა მხოლოდ 3 ნაყოფი.

ამით ერთხელ კიდევ დადასტურდა კ. ტიმირიაზევის მითითება—ჩვენთვის ცნობილია დამაჯერებელი ფაქტები, რომლებიც მიგვიჩვენებენ, რომ კვრცხუჯრედის განაყოფიერება ამავე ყვავილედისაგან აღებული მტვრის მარცვლებით იძლევა ნაკლებ შედეგებს და ნაკლებად ჯანმრთელ შთამომავლობას, ვიდრე სხვა ყვავილის მტვრის მარცვლებით განაყოფიერების დროს“ [1].

სხვა მკვლევართა მიერ აღწერილია შემთხვევები, სადაც თვითდამტვერვა მომშაპველად მოქმედებს და აზიანებს ბუტკოს.

თუთის თესლკვირტის განაყოფიერების უნარი კიდევ უფრო იზრდება მაშინ, როცა ერთი ჯიშის მდედრობითი ყვავილეები დაიმტვერება სხვადასხვა ჯიშის ნარევი მტვრით, რაც ნათლად ჩანს ცხრილში მოტანილი მასალებიდან. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ჩარლზ დარვინის მითითება იმის შესახებ, რომ მცენარის დინგი მასზე მოხვედრილი მტვრის მარცვლების უამრავი ოდენობიდან, შეუცდომელი სიზუსტით არჩევს მისთვის შესატყვის მტვრის მარცვალს [2].

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მასალიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა:

1. თუთის მტვრის მარცვალი შეგროვების დღეს მოუმწიფებელია ფიზიოლოგიურად და შენახვის პირობების დაცვით თანდათანობით მწიფდება, რის გამოც მისი ცხოველმოქმედების უნარი იზრდება.

2. ხელოვნური ჰიბრიდიზაციის ჩატარებისას თუთის დამტვერვის ოპტიმალურ ვადად უნდა ჩაითვალოს მტვრის მარცვლის შეგროვებიდან მეორე და მესამე დღე.

Ю. ОНИАНИ

ВЛИЯНИЕ ДЛИТЕЛЬНОСТИ ХРАНЕНИЯ ПЫЛЦЕВОГО ЗЕРНА ШЕЛКОВИЦЫ НА ЕЕ ЖИЗНЕСПОСОБНОСТЬ

Резюме

В 1973—1974 гг. нами были проведены наблюдения над влиянием длительности хранения пыльцевого зерна шелковицы на ее жизнеспособность, в результате чего сделаны следующие выводы:

1. В день сбора пыльцевое зерно шелковицы является физиологически незрелым, а в условиях хранения постепенно зреет, в виду чего ее жизнеспособность возрастает.

2. При искусственной гибридизации шелковицы оптимальными сроками опыления следует считать второй и третий день со дня сбора пыльцевого зерна.



1. Дарвин Ч. — Действия перекрестного опыления в растительном мире, М., 1939.
 2. ტომირიაზევიკი. — მცენარის სიცოცხლე, „საბლიტგამი“
ეროვნული
ბიბლიოთეკა
-



სტრუქტურული
ინსტიტუტი

ა. ბარასიძე, ა. ლალაიშვილი

კალიუმისა და მაგნიუმის შემცველობის თანაფარდობის გვალეზაფლოზა სხვადასხვა ჯიშის თუთის ფოთლებში ეპილოგიუმის პიროზების მიხედვით

საქართველოში თუთის ჯიშებში ნაცრის ელემენტების შემცველობა და დინამიკა საკმარისად არ არის შესწავლილი მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ აღინიშნა მიკროელემენტების ფიზიოლოგიური როლის შესწავლის მიზნით ფართო კვლევითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა. ცნობილია, რომ კალიუმი გვლენას ახდენს მცენარეთა ნახშირწყლოვან ცვლაზე და ფოთლებში იწვევს მონო- და დისაქარიდების შემცველობის ზრდას. ლეონტიევა [5] მიუთითებს კალიუმის გვლენით ფესვებში ამინომჟავათა სინთეზის მნიშვნელოვან გააღვივებაზე. აღსანიშნავია, რომ მაგნიუმი მოქმედებს ფერმენტებზე, რომლებიც აქტიურებენ ფოსფორმჟავასთან შაქრების შეერთებას. ეს ელემენტი არაპირდაპირ გვლენას ახდენს ნახშირწყლოვან ცვლაზე; მისი ნაკლებობა აქვეითებს მცენარის ზრდას [1], არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება ქლოროფილსა და საკვებ არეში მაგნიუმის კონცენტრაციას შორის.

ნაცრის ელემენტების აბსოლუტური ოდენობების გარდა მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათი შემცველობის თანაფარდობებს, რასაც უკანასკნელი წლების ლიტერატურაში საკმარისი ადგილი აქვს დათმობილი [6].

სატო კოიტი [8] აღნიშნავს, რომ არსებობს ანტაგონიზმი კალიუმსა და მაგნიუმს შორის, რომელიც მკვეთრად მქადავდება კალიუმის დიდი კონცენტრაციის დროს.

კალიუმი და მაგნიუმი გვლენას არ ახდენენ თითოეული მათგანის შთანთქმაზე, თუმცა ერთის მაღალ დოზას შეუძლია მცენარის ქსოვილში მეორის შემცველობის შემცირება. მათი ეკვივალენტური ოდენობით გამოყენებისას კალიუმის გვლენა მაგნიუმის კონცენტრაციის შემცირებაზე ფოთლებში მეტია, ვიდრე მაგნიუმის გვლენა კალიუმის კონცენტრაციის შემცირებაზე. ამ ელემენტთა „ანტაგონიზმს“ აქვს შინაგანი მიზეზები და არ არის დამოკიდებული საკვები ნივთიერებებით მომარაგებაზე [7].

შრომში განხილულია კალიუმისა და მაგნიუმის შემცველობის თანაფარდობის ცვლადობა გრუზიასა და თბილისურის ჯიშის თუთის ფოთლებში დიდმისა და ქუთაისის პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ თუთის ფოთლების ნიმუშების აღებისას მხედველობაში გვჭონდა აბრეშუმხვევიას განვითარების პერიოდები ასაკების მიხედვით.

ფოთლის ქიმიური ანალიზები სრულდებოდა შემდეგი მეთოდებით: კალიუმის განსაზღვრა — მაგნიუმის ფეროციანიდის გამოყენებით [3] — მაგნიუმისა — კომპლექსომეტრული მეთოდით [2].

ერქინული

როგორც სამი (1959, 1960, 1961) წლის ექსპერიმენტის შედეგად ვენებენ (ცხრ. 1, 2) კალიუმის შემცველობა თუთის ფოთოლში მის მომწიფებასთან ერთად თანდათანობით მცირდება. გრუზიას ჯიშის თუთის ფოთლებში 2,43%-დან შემცირდა 1,88%-მდე, ქუთაისში 1,94%-დან—1,60%-მდე. თბილისურის ჯიშის თუთის ფოთლებში დილოში 2,34%-დან—1,91%-მდე და ქუთაისში 1,64%-დან — 1,49%-მდე. მაგნიუმის შემცველობა კი პირიქით, თუთის ფოთლის მომწიფებასთან ერთად იზრდება. ასე, მაგალითად, გრუზიას ჯიშის თუთის ფოთლებში დილოში 0,28%-დან—0,38%-მდე, ხოლო ქუთაისში 0,27%-დან—0,32%-მდე.

თბილისურის ჯიშის თუთის ფოთლებში 0,34%-დან—0,45%-მდე დილოში და 0,30%-დან—0,35%-მდე ქუთაისში.

ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ რომ, კალიუმის მაღალი შემცველობით გამოირჩევიან დილოშის პირობებში განვითარებული თუთის ჯიშები. ქუთაისის პირობებში განვითარებულ თუთის ჯიშებთან შედარებით.

ასე, მაგალითად, გრუზიას ჯიშის თუთის ფოთლებში დილოში კალიუმის საშუალო შემცველობა არის 2,01%, ხოლო ქუთაისში 1,71%. თბილისურის ჯიშში შესაბამისად—2,14% და 1,47%, რაც აიხსნება დასავლეთ საქართველოს განსხვავებული კლიმატური პირობებით.

რაც შეეხება მაგნიუმს, ეკოლოგიური პირობების მიხედვით, მისი მნიშვნელოვანი ცვალებადობა არ შეინიშნება. ასე, მაგალითად, თუ დილოში გრუზიას ფოთლები აღნიშნულ ელემენტს შეიცავენ 0,33%, ქუთაისში—0,30%, თბილისურის ფოთლები შესაბამისად—0,37% და 0,33%.

მე-3 ცხრილში მოცემულია K : Mg-ის რაოდენობრივი თანაფარდობა დილოშისა და ქუთაისის პირობებისათვის, რომელიც გრუზიასა და თბილისურის თუთის ფოთლებში იცვლება როგორც ჯიშების, ისე ეკოლოგიური პირობების მიხედვით. ასე, მაგალითად, ეს თანაფარდობა უფრო მაღალია გრუზიას ჯიშში, ვიდრე თბილისურში, შესაბამისად დილოში 6,20 და 4,94-ის, ხოლო ქუთაისში 5,77 და 4,58-ია.

ამასთან უნდა აღვნიშნოს, რომ K : Mg-ის რაოდენობრივი თანაფარდობა უფრო მაღალია დილოშის პირობებში, ქუთაისთან შედარებით, თუ გრუზიას ჯიშში დილოში ეს თანაფარდობა არის 6,20, ქუთაისშია 5,77.

დასკვნა

1. კალიუმის შემცველობა თუთის ფოთოლში მის მომწიფებასთან ერთად მცირდება, ხოლო მაგნიუმისა—იზრდება.

2. კალიუმის მაღალი შემცველობით გამოირჩევიან დილოშის პირობებში განვითარებული თუთის ჯიშები ქუთაისის პირობებში განვითარებულ თუთის ჯიშებთან შედარებით, რაც აიხსნება დასავლეთ საქართველოს განსხვავებული კლიმატით.



საბჭოთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ჩრდ-აღმოსავლეთი კავკასია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
საბუნებისმეტყველო განყოფილება

ფეხის ჯიშა	ჩრდ-აღმოსავლეთი კავკასია					საბუნებისმეტყველო განყოფილება				
	ფეხის ჯიშის წარმოშობის წინა					I	II	III	ჯიშ	საშ.
	I	II	III	ჯიშ	საშ.					
კატეგორია I-ისა	2,66	2,89	3,04	7,29	2,40	2,54	1,69	1,58	3,81	1,94
— II-ისა	1,73	2,25	2,03	6,21	2,07	2,70	1,29	1,52	3,61	1,97
— III-ისა	1,68	1,78	1,93	5,44	1,51	1,76	1,37	1,91	3,04	1,98
— IV-ისა	1,84	1,38	2,37	5,39	1,86	1,40	1,24	1,69	4,43	1,48
— V-ისა	1,92	1,70	2,40	5,65	1,88	1,57	1,23	1,90	4,80	1,50
კატეგორიის ჯიშის საშუალო	10,03	9,33	10,82	10,05	9,77	7,12	6,60	6,57	6,57	6,57
საშუალო	2,01	1,87	2,16	6,04	2,01	1,99	1,43	1,72	5,13	1,71
კატეგორია II-ისა	2,42	2,30	2,30	7,02	2,24	1,99	1,39	1,54	4,92	1,64
— II-ისა	2,18	2,30	2,46	6,94	2,21	1,94	1,30	1,37	3,94	1,31
— III-ისა	2,02	1,84	2,44	6,20	2,10	1,84	1,27	1,52	4,02	1,34
— IV-ისა	2,01	1,54	2,33	6,10	2,03	1,58	1,23	1,32	4,03	1,31
— V-ისა	1,76	1,32	2,45	5,72	1,91	1,43	1,26	1,69	4,48	1,47
კატეგორიის ჯიშის საშუალო	10,89	9,30	12,20	10,89	8,18	6,28	2,24	2,24	7,32	2,22
საშუალო	2,12	1,84	2,44	6,42	2,14	1,64	1,32	1,45	4,41	1,47



ქართული
საბუნებისმეტყველო
აкадеია

ფეხის კონსტრუქცია	მგ-ის წყვეტი 100 გ მძ. წინაშე მდ. დღობა					მგ-ის წყვეტილი 100 გ მძ. წინაშე მდ. კუთხის				
	დატვირთვის წელი					დატვირთვის წელი				
	I	II	III	კონსტრუქცია	საშუალო	I	II	III	კონსტრუქცია	საშუალო
კონსტრუქცია I - მძეო	0,28	0,28	0,28	0,84	0,28	0,17	0,33	0,28	0,80	0,27
— II - მძეო	0,30	0,29	0,27	0,85	0,28	0,33	0,28	0,31	0,81	0,27
— III - მძეო	0,32	0,37	0,31	1,00	0,33	0,10	0,18	0,35	0,83	0,28
— IV - მძეო	0,37	0,45	0,31	1,14	0,38	0,38	0,28	0,39	1,05	0,35
— V - მძეო	0,37	0,45	0,31	1,14	0,38	0,34	0,42	0,31	0,97	0,32
კონსტრუქცია	1,64	1,88	1,48	—	1,65	1,33	1,49	1,64	—	1,49
საშუალო	0,33	0,37	0,29	0,99	0,33	0,27	0,30	0,33	0,90	0,30
კონსტრუქცია I - მძეო	0,37	0,31	0,43	1,01	0,34	0,20	0,28	0,40	0,89	0,30
— II - მძეო	0,37	0,31	0,43	1,01	0,34	0,27	0,27	0,39	0,93	0,31
— III - მძეო	0,37	0,37	0,31	1,08	0,35	0,30	0,28	0,39	0,97	0,32
— IV - მძეო	0,38	0,51	0,31	1,20	0,40	0,34	0,31	0,39	1,05	0,35
— V - მძეო	0,41	0,50	0,43	1,34	0,45	0,35	0,32	0,37	1,04	0,35
კონსტრუქცია	1,90	1,80	1,91	—	1,88	1,49	1,48	1,76	—	1,63
საშუალო	0,38	0,36	0,38	1,12	0,37	0,30	0,29	0,37	0,98	0,33



ქვეყნის
სტატისტიკის
სახელმწიფო
სსსს

თვეს ქონა	K - მგ-ის ბალანსის მანუალური მანუალური					K - მგ-ის ბალანსის მანუალური მანუალური				
